## პრეზიდენტი

# „ჩვენ ყოველთვის დავუჭერთ მხარს საქართველოს პრეზიდენტს და ვიქნებით მის გვერდით“



– განაცხადა ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორმა ქენ უოლაკმა 28 ივნისს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე.

ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი რამდენიმე წელიწადია საქართველოსთან თანამშრომლობს. იგი შეისწავლის იმ პროცესებს, რომლებიც ქვეყანაში დემოკრატიული გარანტიების შექმნას განსაზღვრავს.

მხარეებმა ისაუბრეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემის შესახებ.

„ვოცნებობ, საქართველომ მიაღწიოს პოლიტიკური კულტურის იმ დონეს, რომელზეც იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატები. ამას დრო სჭირდება, მაგრამ პროცესი დაწყებულია და, რაც მთავარია, იგი შეუქცევადია“,– აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორმა საქართველოს პრეზიდენტს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის მოკითხვა გადასცა და განაცხადა: „ქალბატონ ოლბრაიტს თქვენდამი, როგორც თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკოსისადმი, განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს და ახლო მომავალში თქვენთან შესახვედრად თბილისში ვიზიტს გეგმავს“.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

## აღშფოთება

# ედუარდ შევარდნაძე: „თითოეული მოქალაქის ვალია, პატივი სცეს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას“

**გუშინ ჟურნალისტ თამარ მოლაშვილის ბინის დარბევას ცდილობდნენ, რასაც თან სდევდა სატელეფონო ზარები – მუქარა და დაშინება.**

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღშფოთება გამოხატა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. „ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, ცივილიზებულ სახელმწიფოს, რომლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი სიტყვის და პრესის თავისუფლებაა, – განაცხადა ქვეყნის მეთაურმა. – ჟურნალისტების მიმართ დამოკიდებულების ამგვარი, აგრესიული ფორმით გამოვლენა ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და თითოეული ასეთი ფაქტი მკაცრი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს“.

სახელმწიფოს მეთაურმა ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ ტენდენციებზე და აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად აქვეყნებენ ხელისუფლებისა და უშუალოდ პრეზიდენტის მიმართ არაკეთილგანწყობილ, ხანდახან კი შეურაცხმყოფელ სტატიებსა თუ ინტერვიუებს, მე მიმაჩნია, რომ თითოეული მოქალაქის, – ხელისუფლების რომელიმე შტოს წარმომადგენელი იქნება იგი თუ სხვა, – ვალია პატივი სცეს სიტყვის და პრესის თავისუფლებას. ამ მონაპოვარს გაფრთხილება სჭირდება“.

„მივმართავ სამართალდამცავ ორგანოებს, ყურადღებით მოეკიდონ ამ საქმეს. მეტიც, კატეგორიულად მოვითხოვ დაუყოვნებლივ გამოიძიონ და საზოგადოებას აცნობონ შედეგები“, – ასეთია საქართველოს პრეზიდენტის რეაქცია ჟურნალისტის მიმართ მუქარისა და დაშინების, მისი ბინის დარბევის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**


ჩვენი გაზეთი ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„...ილა ამ გაზეთის ...ამლით ...იწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა



GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation



გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №157 (4216) შაბათი, 29 ივნისი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.


## ღლავები

# დიდ კორუფციაში ვის ჯიბეში ჩაიღვარა „დაღვრილი“ ასობით ტონა ბენზინი და ავიანავთი?

საქართველოს კონტროლის პალატამ კომპლექსურად შეამოწმა სააქციო საზოგადოება „თბილნავთობპროდუქტის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა. ირკვევა, რომ 90-იან წლებში დანაშაულებრივი ჯგუფების ინტერესთა სფეროში მოქცეულ „თბილნავთობპროდუქტში“ კვლავაც უხეშად ირღვევა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნები. დარღვევა-ნაკლოვანებები და მძიმე ფინანსური მდგომარეობა გამოწვეულია სააქციო საზოგადოების ყოფილი ხელმძღვანელების დანაშაულებრივი გარიგებებით.

იგი ქვეყნის მასშტაბით ნავთობპროდუქტების ერთ-ერთ მსხვილ საწარმოს წარმოადგენდა. შემდგომ ქაოსმა, არამართლზომიერმა საქმიანობამ, დიდი ოდენობით ქონებისა და ფულად-მატერიალურ საშუალებათა დატაცება-განიავებამ საწარმო მძიმე ფინანსურ კრიზისამდე მიიყვანა, რის გამოც, 1998 წლიდან მან, ფაქტობრივად, დაკარგა ძირითადი დანიშნულება და ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსწორება ერთობ პრობლემურია.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულებით, სს „თბილნავთობპროდუქტის“ აქციები მუნიციპალურ საკუთრებაში ქ. თბილისის მერიას გადაეცა. ამავე ბრძანებულებით მერიას დაევალა, დარგობრივ სამინისტროსთან ერთად, სააქციო საზოგადოების მართვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარება დაევალა.

დავალება არ შესრულებულა.

კვლავ სრული ქაოსია საზოგადოების მართვის სფეროში.

იხ. მე-2 გვ.

## პარლამენტის თავმჯდომარე

# ეკლესიების დაახლოება ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტია

**27 ივნისს გაგრძელდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ოფიციალური ვიზიტი იტალიაში. ამ დღეს პარლამენტის თავმჯდომარე ქრისტიანული ერთობის ხელშეწყობის საპონტიფიკო საბჭოს პრეზიდენტს, კარდინალ ვოლტერ კასპერს შეხვდა.**

კარდინალმა კასპერმა აღნიშნა, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ვატიკანს ეწვია, რაც რომის პაპის საქართველოში ვიზიტის გაგრძელებას წარმოადგენს. კარდინალის თქმით, ვატიკანი წუხდა იმის გამო, რომ რომის პაპის ვიზიტის საპასუხო ვიზიტი გაჭიანურდა და კმაყოფილება გამოხატა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტის გამო.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ ეკლესიების დაახლოებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს პროცესი ხელს უწყობს ხალხებს შორის მშვიდობიან თანაარსებობას. ვატიკანი მხარს უჭერს და ცდილობს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის თანამშრომლობას. ეს ორი ეკლესია ერთად უნდა უპირისპირდებოდეს რელიგიურ ექსტრემიზმს.

შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მართლმადიდებელი და კათოლიკური სასულიერო აკადემიების სტუდენტების გაცვლის საკითხს, ითქვა, რომ საქართველოს საპატრიარქოს მიერ რეკომენდებულ კანდიდატს შესაძლოა სტიპენდია დაენიშნოს.

იხ. მე-2 გვ.



**1996 წელს დაღვრილად არის გაფორმებული ქუთაისის მერიის მშენებლობის მატერიალური რესურსებით მომარაგების სამსახურის 128,5 ტონა და ფირმა „თოკოს“ 16,6 ტონა ბენზინი. მსგავსადვე, 1997 წლის ნოემბერ-დეკემბერში დაღვრილად არის გაფორმებული ფირმა „ჯორჯია-1“-ის მიერ შესანახად შეტანილი 78,7 ტონა ავიანავთი, რაც ინვენტარიზაციის აქტებში არ არის შეტანილი.**

## შევეწიოთ!

# სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| შპს დამოუკიდებელი რეგისტრატორი „რეესტრცენტრი“ | – 24 ლარი |
| სს ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანია „ინდუსტრია-ინვესტი“ | – 82 ლარი |
| გიორგი | – 37 ლარი |
| მზია თოფურია | – 30 ლარი |
| ირინა და ხათუნა ხაჩიძე | – 20 ლარი |
| მზია ხაჩიძე | – 50 ლარი |
| კონსტანტინე ცერცვაძე | – 100 დოლარი |
| სერგი კულუმბეგაშვილი | – 100 დოლარი. |

## ოფიციალური ვიზიტის წინ

# რუმინეთის პრეზიდენტი იონ ილიესკუ



დაიბადა 1930 წლის 3 მარტს რუმინეთის ქალაქ ოლტენიცაში. ბუქარესტში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და უმაღლესი სკოლები, ასევე ბუქარესტის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (ელექტროტექნიკის ფაკულტეტი) და მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტი.

პროფესიული საქმიანობა დაიწყო 1955 წელს ბუქარესტის ენერგიის ინჟინერიის ინსტიტუტში დიზაინერ-ინჟინრად. 1979 წლიდან 1984 წლამდე იყო წყლის რესურსების ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელი და მხარს უჭერდა ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტთა მეცნიერულ მოსაზრებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ დიქტატორული მართვის მეგალომანიურ პროგრამებს. ამის გამო 1984 წელს დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

1984 წლიდან 1989 წლამდე იყო ტექნიკური საგამომცემლო სახლის დირექტორი.

1948 წელს დააარსა რუმინეთის სტუდენტური ასოციაციების კავშირი, 1956 წელს კი ჩამოაყალიბა რუმინეთის სტუდენტური ასოციაციების კოლეჯის კავშირი.

იონ ილიესკუ 60-იან წლებში აქტიურად უჭერდა მხარს რუმინეთის ახალ პოლიტიკურ მიმართულებას, რომელიც მოითხოვდა რუმინეთის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

1967-1971 წლებში იგი ახალგაზრდობის მინისტრი იყო. 1968 წელს გამართულ რუმინეთის პარლამენტის საგანგებო სესიაზე თავისი ოპოზიციური დამოკიდებულება გამოთქვა საბჭოთა ჯარების მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციისა და „შეზღუდული სუვერენიტეტის“ შესახებ ბრეჟნევის თეორიის თაობაზე.

1971 წელს, როდესაც ილიესკუ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო, როგორც პიროვნების კულტის მოწინააღმდეგე, წინ აღუდგა ჩაუშესკუს „კულტურული რევოლუციის“ პოლიტიკას. პარტიულ იერარქიაში თანამდებობის დაკარგვის შემდეგ, მან განაგრძო თავისი კრიტიკული პოზიციის გამოხატვა „კულტურული რევოლუციის“ დოგმის თაობაზე მაშინაც კი, როდესაც ტიმის რაიონის საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო შემდეგ – ლასის რაიონის საბჭოს პრეზიდენტი იყო. იგი დაადანაშაულეს „ინტელექტუალურ გადახრაში“ და ნელ-ნელა ჩამოაშორეს პოლიტიკურ ცხოვრებას.

თავისი მოღვაწეობით იონ ილიესკუ სულ უფრო ცნობილი გახდა რუმინეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. იგი იმჟამად არსებული ტოტალიტარული რეჟიმის უმთავრესი ოპონენტი იყო და იცავდა თავისუფლებას, სამართლიანობასა და დემოკრატიას.

1989 წლის 22 დეკემბერს, რუმინეთის რევოლუციის პირველივე საათებიდან იგი რუმინეთის წამყვანი ორგანოს – ეროვნული გადარჩენის ფრონტის საბჭოს პრეზიდენტი ხდება.

1990 წლის თებერვალ-მაისში ხელმძღვანელობდა ეროვნული ერთიანობის საბჭოს.

1992 წლის 11 ოქტომბერს ახალი კონსტიტუციის მიხედვით გამართულ პრეზიდენტის არჩევნებში ილიესკუმ მოიპოვა 7 მილიონზე მეტი ხმა, ანუ 61,5 პროცენტი. მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მის პროგრამას – „მშვიდი რუმინეთის შეცვლა უკიდურესობის გარეშე“. სახელმწიფოს მეთაურობისას მისი პრიორიტეტები იყო: ეროვნული ერთიანობა, ყველა პოლიტიკური ძალის ერთობლივი მუშაობა ქვეყნის სტაბილურობისა და აღორძინებისათვის, ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, სოციალური უსაფრთხოება და მსოფლიოსკენ შემობრუნება.

1996 წლის ნოემბერში გამართულ არჩევნებში იონ ილიესკუ აირჩიეს სენატორად რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. ერთი წლის შემდეგ პარტიის საგანგებო კონფერენციაზე – პარტიის პრეზიდენტად. ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრთან ადრიან ნასტასესთან ერთად იგი მონაწილეობდა თანამედროვე ევროპული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბებაში.

2000 წლის 10 დეკემბერს პრეზიდენტის არჩევნებში რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერით ილიესკუ აირჩიეს სახელმწიფოს მეთაურად, 2002 წლის 20 დეკემბერს კი პარლამენტის ორივე პალატის მხარდაჭერით იგი მომდევნო 4 წლით რუმინეთის პრეზიდენტი გახდა.

იონ ილიესკუს ეკუთვნის მრავალ ენაზე თარგმნილი ნაშრომები და ესსეები, არის მრავალრიცხოვანი ნაშრომებისა და პუბლიკაციების ავტორი.

ფლობს ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე – ქალბატონი ელენა ილიესკუ.

## თანამშრომლობა



# ნატოს სწავლება დასრულდა

ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სწავლება „Cooperative best effort-2002“, რომელშიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე 17 ივნისიდან მიმდინარეობდა, გუშინ დასრულდა.

როგორც დახურვის საზეიმო ცერემონიაზე სწავლების მეთაურმა, ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელმა, თურქმა გენერალმა ოქტარ ატამანმა განაცხადა, საქართველოში ჩატარებულმა სწავლებამ აჩვენა, რომ ნატო და ალიანსის პარტნიორები მზად არიან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

პრაიმ-ნიუსი.

## ინფორმაცია

### რუსეთის პროექტი

რუსეთმა დსთ-ის აღმასკომში შეიტანა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა გადაწყვეტილების პროექტი აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის 2002 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების შესახებ, იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი მოსკოვიდან.

როგორც ჟურნალისტებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტში განუცხადეს, კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფნა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში აუცილებელია, რამდენადაც მშვიდობისმყოფელები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მხარეთა დაშორიშორების ზონაში ცეცხლის განუახლებლობის რეჟიმის უზრუნველსაყოფად.

### ურანი შეიძლება ტერორისტებისთვის მიეყიდათ

სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი ვალტერ კაშია აცხადებს, რომ აშშ და საერთაშორისო ორგანიზაციები შეშფოთებას გამოთქვამენ ამ ინსტიტუტის საცავის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელშიც უნდა ინახებოდეს 244 დასახელების რადიაქტიული ნივთიერება და მასალა, მათ შორის გარკვეული რაოდენობით გამდიდრებული ურანი – 235. მისი თქმით, გამდიდრებული ურანი და სხვა რადიაქტიული ნივთიერებები აფხაზ სეპარატისტებს შეეძლოთ ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ან ერაყისთვის მიეყიდათ.

### მოქკავშირს იმედი არ დაუკარგავს

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე აკაკი ზოიძე, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გაწევრიანდა პარტია „მოქალაქეთა კავშირში“, დარწმუნებულია, რომ მომავალ, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოქალაქეთა კავშირი ამომრჩეველთა ხმების მინიმუმ 35-40 პროცენტს დააგროვებს. მისი აზრით, სავსებით რეალურია ამომრჩეველთა ორი მესამედის პარტიისკენ შემობრუნება, თუ მოქკავშირი დაპირებებს შეასრულებს.

### ბაქოში სუუამის კოორდინატორთა სხდომა გაიმართება

1 ივლისს ბაქოში სუუამის ეროვნულ კოორდინატორთა რიგგარეშე სხდომა გაიმართება. საქართველოს მხრიდან სხდომის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორი ზურაბ ბერიძე.

2 ივლისს კი ბაქოში დაგეგმილია სუუამის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა, რომელზეც, სავარაუდოდ, ერთობლივ დოკუმენტს მიიღებენ.

### ორი აფეთქება გალის რაიონში

28 ივნისს დილით გალის რაიონის სოფელ წარჩეში ორი აფეთქება მოხდა. ერთი – ავტობუსის გაჩერებაზე, მეორე – სოფლის ადმინისტრაციის შენობაში. მსხვერპლი არ არის, ადმინისტრაციის შენობა მნიშვნელოვნად დაზიანდა. სამართალდაცვის ორგანოებმა აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს ძიება.

### ევროპული სტანდარტებით

საქართველოს სასაზღვრო ჯარების რეფორმირების გეგმას გერმანიის სასაზღვრო უწყების ექსპერტთა ჯგუფი შეიმუშავებს, რომელიც საქართველოში 30 ივნისს ჩამოვა და 17 ივლისამდე დარჩება.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**

## გიხაროდენ!

# ხელოიშვილების ნანატრი გიორგი



**ქუთაისელებს ინგა გვენეტაძეს და გია ხელოიშვილს ამ დღეებში მესამე შვილი – გიორგი შეეძინათ.**

ინგამ აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და სამეანო-გინეკოლოგიის კვლევით ცენტრში ექიმმა ზურა დარახველიძემ ბებია ქალის მანანა ჩოფიკაშვილის დახმარებით ამშობიარა. უკვე სამი შვილის დედა თავის ახალშობილთან ერთად თავს კარგად გრძნობს.

შინ გიორგის სიხარულით დახვდნენ ბებია-ბაბუასთან ერთად დები – ექვსი წლის მარიამი და ხუთი წლის ნინიკო.

ინგასა და გიას ქართული ტრადიციების მოყვარულ ახალგაზრდა ოჯახში სამი შვილი გაიზრდება.

**გაიხარონ და გაიზარდონ!**

**კესო ჩაკვეტაძე.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– გთხოვთ, განგვიმარტოთ, მოქმედი კანონმდებლობით, რა სახის შეღავათებია დაწესებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ომის ვეტერანებისათვის?**

**გია გიორგაძე.**

– საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილეები სარგებლობენ 50-პროცენტიანი შეღავათით კომუნალური მომსახურების (ელექტროენერგიის გარდა) გადასახადისას, თუ ამ მომსახურებას სახელმწიფო ახორციელებს. ელექტროენერგიის უფასო მოხმარება თვეში 30 კვტ. საათის ოდენობით განესაზღვრებათ, ხოლო ოჯახში შეღავათის მქონე ორი ან მეტი პირის არსებობისას – 45 კვტ. საათი.

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქში მცხოვრები ომის მონაწილეები სარგებლობენ შემდეგი შეღავათით: გათავისუფლებული არიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის გადასახადისაგან, მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადზე სარგებლობენ 50-პროცენტიანი შეღავათით, ბუნებრივი აირის უფასო მოხმარება კი თვეში 20 მეტრ. კუბის ოდენობით განესაზღვრებათ.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 5 მარტის №96 ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეებს უფლება მიეცათ ერთჯერადი დახმარების სახით უფასოდ მოიხმარონ 870 მეტრი კუბი ბუნებრივი აირი.

**ირინე ღლონტი.**

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

## ლექსპრომტი

### წინასაარჩევნოდ თქმული

მე ვიცი, რომ ყველა მიცნობთ
როგორც სისხლით ქართველსა,
გვარზე მხტომი მე ვარ კვიცი,
და ვერ ვიტან ქათმებსა.

ერის აკვნის გამთლელი ვარ,
მივარღვევ და წინ მივალ,
ხალხნო, ნაღდი ქართველი ვარ,
ამბარცუმაშვილი ვარ.

მაღლებიც რომ დამესიონ,
შეგპირდებით ნამეტანს,
თუ ამირჩევთ, საპენსიოდ
დაგიწესებთ ცამეტ ლარს.

ჯ. ჩ.

## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| დაბლობში: | ღამით +17; | დღისით +23; |
| მთაში: | ღამით +13; | დღისით +20; |

**აღმოსავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| ბარში: | ღამით +18; | დღისით +27; |
| მთაში: | ღამით +14; | დღისით +22; |

**თბილისში**

მოღრუბლულობა, დროგამოშვებით წვიმა ელჭექით. ღამით +18; დღისით +27.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

## ლარის კურსი

*27 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.351 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.22 ლარი |
| ევრო | 1 | 2.1652 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0699 ლარი. |

## უკანასკნელ საათს

19 ჯარისკაცი და მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა ავღანეთის სამხრეთში, ქალაქ სპინ ბოლდაკში იარაღის საწყობში მომხდარ აფეთქებათა რამდენიმე საათიანი სერიის გამო. რამდენიმე ადამიანის ბედი კვლავ გაურკვეველია, აფეთქების მიზეზი კი – უცნობი. არ გამორიცხავენ უბედურ შემთხვევასაც.

გუშინ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ დაამტკიცა მთავრობის შეტანილი კანონპროექტი ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის შესახებ. პირველად რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, წვევამდელებს უფლება აქვთ უარი თქვან სამხედრო სამსახურზე. კანონი ორი წლის შემდეგ შევა ძალაში.



## ინტერპანორამა

არგენტინის პრეზიდენტმა ედუარდო დუალდემ აღამაშფოთებელი უწოდა პოლიციელების მიერ ანტისამთავრობო დემონსტრაციის ორი მონაწილის მკვლელობას. ამ ინციდენტთან დაკავშირებით დააპატიმრებულია ორი პოლიციელი.



ალბანეთში ბრუნდება დევნილობაში მყოფი სამეფო ოჯახი, რომელსაც სათავეში უდგას განსვენებული მეფის ახმედ ზოგუს ვაჟი ლეკა ზოგუ. მთავრობამ მათი ამნისტია გამოაცხადა, თუმცა 1997 წელს ჩატარებული რეფერენდუმის თანახმად, მოსახლეობის 2/3 მონარქიის აღდგენის წინააღმდეგია.



ყირგიზეთში სააპელაციო სასამართლომ შეწყვიტა წამყვანი ოპოზიციონერისა და პარლამენტის დეპუტატის აზიმბეკ ბეკნაზაროვის საქმე. მისმა დაპატიმრებამ და სასამართლო პროცესმა მასობრივი ანტისამთავრობო დემონსტრაციები გამოიწვია. ბეკნაზაროვს თანამდებობის ბოროტად გამოყენება ედებოდა ბრალად.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 157, შაბათი, 29 ივნისი, 2002 წელი.

პარლამენტის თავმჯდომარე

# ეკლესიების დაახლოება ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტია

(პირველი გვერდიდან)

ამავე დღეს, პარლამენტის თავმჯდომარე ვატიკანის იუსტიციისა და მშვიდობის მთავარი საბჭოს მდივანს, ეპისკოპოს ჯანპაოლო კრეპალდის შეხვდა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ძეგლების განადგურების საკითხს. აღინიშნა, რომ ვატიკანის წმინდა საყდარს დიდი ავტორიტეტი აქვს მთელ მსოფლიოში, რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ძეგლების განადგურებისაგან დასაცავად.

ვატიკანში ქალბატონი ნინო ბურჯანაძე კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციის „კარიტასის" თანამშრომლობის განყოფილების დირექტორის მოადგილეს ქალბატონ ესტერ მაისერს შეხვდა. მაღალი შეფასება მიეცა „კარიტასის" საქმიანობას საქართველოში. აღინიშნა, რომ არსებობს ბიუროკრატიული დაბრკოლებები, რაც ხელს უშლის ორგანიზაციის საქმიანობას. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ სთხოვა „კარიტასის" ხელმძღვანელობის წარმომადგენელს, რომ ეს ორგანიზაცია კიდევ უფრო გააქტიურდეს ლტოლვილებისა და მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების თვალსაზრისით. პირველ რიგში უნდა შეიქმნას პროგრამები დაუცველი ბავშვებისათვის. მით უმეტეს, რომ ამ საკითხზე შეთანხმება მიღწეულია ქალბატონი ნინო ბურჯანაძის შეხვედრისას იტალიელ ქალ პარლამენტარებთან.

ქალბატონი ნინო ბურჯანაძის „კარიტასში" ვიზიტის შემდეგ მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოს მიწისძვრით დაზარალებული სკოლებისა და ბაღების გარემონტების შესახებ. აღნიშნული მიზნით გამოიყო დახმარება, რომლის ნაწილი რომის პაპის პირადი ფონდის შემოწირულობაა, ხოლო მეორე ნაწილი – გერმანული „კარიტასის" დახმარება.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ლახურულ კარს მიღმა შეხვდა ვატიკანის წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანს კარდინალ ანჯელო სოდანოსა და მის მოადგილეს, არქიეპისკოპოს ლეონარდო სანდრის.

დასასრულ, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ გამართა პრესკონფერენცია, რომელსაც იტალიის მასმედიის წამყვანი გაზეთების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური.

კადრები

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 27 ივნისი ქ. თბილისი

რ. ადამიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს რევაზ ადამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად.

ედუარდ შევარდნაძე.



## რევაზ ადამია

დაიბადა 1952 წლის 20 ივლისს ქ. თბილისში. 1969 წელს დაამთავრა ქ. თბილისის № 1 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1974 წელს. ამავე წლიდან მუშაობს გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში გენური ინჟინერიისა და ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1982 წლიდან კი – უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1988 წლიდან დაინიშნა ამ ლაბორატორიის გამგედ, სადაც დღემდე მოღვაწეობს. არის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

1992 წლიდან არის საქართველოს პარლამენტის წევრი. 1992–95 წლების მოწვევის პარლამენტში იყო თავდაცვისა და უშიშროების კომისიის მდივანი, ხოლო 1995-99 წლების მოწვევის პარლამენტში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. 1999 წელს არჩეულ პარლამენტში 2000 წლის ოქტომბრამდე იყო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო 2000 წლის ოქტომბრიდან 2001 წლის ნოემბრამდე – ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე. ამავე დროს 1999 წლის მაისიდან 2000 წლის ოქტომბრამდე იყო ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, ხოლო 2000 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის აპრილამდე – ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი. 2001 წლის მანძილზე იყო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი. 1993-94 წლებში გაიარა სპეციალური კურსები ევროპის საბჭოს მოსკოვის პოლიტიკურ კვლევათა სკოლაში.

რევაზ ადამია წლების განმავლობაში იყო გაეროს ეგიდით წარმართული „ჟენევის პროცესის" საკოორდინაციო საბჭოს წევრი, „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ნატოს პროგრამის ფარგლებში – საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობის სახელმწიფო საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, 40-იან წლებში სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეაბილიტაციისა და რეპატრიაციის სამთავრობო კომისიისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუწყებათაშორისო კომისიის წევრი.

გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი ბიოლოგიასა და პოლიტოლოგიაში.

ფლობს ინგლისურ, რუსულ ენებს.

### „საქგაზი" დათანხმდა

სააქციო საზოგადოება „საქგაზი" დათანხმდა მისთვის დავალიანების ნაწილის – მილიონ 700 ათასი ლარის გადახდას დედაქალაქისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების აღსადგენად. ამის შესახებ განაცხადა „თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ პარასკევს, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში, „საქგაზს", დედაქალაქის გაზგამანაწილებელ კომპანია „თბილგაზსა" და თბილისის მერიას შორის გამართული მოლაპარაკების დასრულების შემდეგ.

ვახტანგ ცაავას თქმით, გამოიძებნა სახსრები მილიონ შვიდასი ათასი ლარიდან დიდი ნაწილის დასაფარად, თუმცა მოსახლეობიდან ამოსაღები დანარჩენი 200 ათასი ლარი, რომლის გადახდის შემთხვევაში დედაქალაქს გაზის მიწოდება ეტაპობრივად მომავალი კვირიდან აღუდგება.

ინფორმაცია მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

მაღალი სტუმარი

# რუმინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის შემდგომი ურთიერთობის გაღრმავებასა და ახალი პერსპექტივების გამოვლენას

**1 ივლისს საქართველოს სამდღიან ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა რუმინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იონ ილიესკუ. ვიზიტის მიზანია საქართველოსა და რუმინეთს შორის როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და გაფართოება.**

– საქართველოში რუმინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის იონ ილიესკუს ვიზიტი მიზნად ისახავს არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებასა და ჩვენი ხალხების ერთმანეთთან დაახლოებას, არამედ განხილული იქნება რეგიონალური და საერთაშორისო მასშტაბის საკითხთა ფართო სპექტრი, – განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კონსტანტინ გირბეამ.

როგორც რუმინელმა დიპლომატმა თქვა, საქართველომ და რუმინეთმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ შავი ზღვის სიერცეში მეზობლობა. „ჯერჯერობით არც ისე ეფექტიანად ფუნქციონირებს შავი ზღვის დასავლეთი და აღმოსავლეთი სანაპიროების შემაერთებელი საბორნე გადასასვლელი, მაგრამ მას დიდი პოტენციალი აქვს. საბორნე გადასასვლელის მუშაობაში უნდა ჩაებან ტრასეკას მონაწილე ქვეყნები. სათანადო ინვესტიციების გამოყენებით შესაძლებელი გახდება მნიშვნელოვანი მოგების მიღება და „დიდი აბრეშუმის გზის" აღორძინების პროექტის სრულყოფილი განხორციელება, რომლის ერთ-ერთი ინიციატორიც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეა", – აღნიშნა ელჩმა.

რუმინეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე 2001 წლის სექტემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარ ტრაგედიამდე იმყოფებოდა. რუმინეთის პრეზიდენტის საქართველოში საპასუხო ვიზიტის ფარგლებში ყურადღებას მიაპყრობენ სწორედ იმ პროცესებს, რომლებიც მსოფლიოში 11 სექტემბრის ტრაგედიას მოჰყვა, – განაცხადა კონსტანტინ გირბეამ.

მისი თქმით, საქართველოც და რუმინეთიც აქტიურად მონაწილეობენ ანტიტერორისტულ მოძრაობაში და აღნიშნული მიმართულებით ამ ორი ქვეყნის კოორდინირებულმა მოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ იმ ქვეყნების სტაბილურობისა და კეთილდღეობისათვის, რომლებიც ტერორიზმის აღმოფხვრას ცდილობენ.

როგორც კონსტანტინ გირბეამ აღნიშნა, რუმინეთის პრეზიდენტის მომავალი ვიზიტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოსა და რუმინეთის რესპუბლიკას შორის არსებული სამართლებრივი ბაზის გაფართოებას. კერძოდ, საქართველოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის განცხადების თანახმად, მხარეები ხელს მოაწერენ სამთავრობათაშორისო შეთანხმებას საბაჟო საკითხებთან დაკავშირებით. ასევე ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ფარგლებში საბოლოოდ შეთანხმდებიან განათლების ბლოკის თაობაზე.

რუმინეთის პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში გაიმართება რუმინელ და ქართველ ბიზნესმენთა შეხვედრა, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკის სფეროში შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

– რუმინეთის მთავრობა მზადაა დახმარება გაუწიოს საქართველოს მიწისძვრის შედეგთა აღმოფხვრაში,– განაცხადა რუმინელმა დიპლომატმა – კერძოდ, უკვე გამოყოფილია თანხა, რომელიც ანთიმოზ ივერიელის სახელობის ლიცეუმის აღდგენასა და მის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას მოხმარდება.

– იმედი მაქვს, რუმინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მომავალი ვიზიტი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის შემდგომი ურთიერთობის გაღრმავებასა და ამ თვალსაზრისით ახალ მიმართულებათა გამოვლენას, – განაცხადა კონსტანტინ გირბეამ.

საქინფორმი.

დანიშვნა

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით **თენგიზ ახობაძე** დაინიშნა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წევრად ხუთი წლის ვადით.

თ. ახობაძის სამსახურებრივი უფლებამოსილების მეორე ვადის ათვლის თარიღია 2002 წლის 10 აგვისტო.

საქინფორმი.

რეპლიკა

# უყურეთ, უსმინეთ „რუსთავი-2"-ს და ნუ დაუჯერებთ საკუთარ თვალებსა და ყურებს

გუშინ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში გაიმართა შეხვედრა, სადაც კოლეგებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ჟურნალისტ თამარ მოლაშვილს. მას გაუტეხეს ბინის საკეტი, რასაც მოჰყვა სატელეფონო ზარები – მუქარა და დამინება.

საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც კი ჟურნალისტზე ზეწოლის ფაქტის შესახებ შეიტყო, თავისი დამოკიდებულება გამოხატა მომხდართან დაკავშირებით.

პრეზიდენტის კომენტარი (და არა განცხადება ან მიმართვა!) მე გავაცანი ფედერაციაში მეკრებილ ჟურნალისტებს, ხოლო შემდეგ ტექსტიც გადავეცი მათ.

გუშინვე „რუსთავი-2"-ზე „კურიერში ცხრა საათზე" გადაიცა სიუჟეტი ამ შეხვედრის შესახებ. ჟურნალისტ თენგიზ გოგოტიშვილის ტექსტში და გამოსახულების ტიტრებშიც აღნიშნული იყო, თითქოს პრეზიდენტ შევარდნაძის პოზიცია გაახმოვანა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პასუხისმგებელმა მდივანმა ბონდო მძინარაშვილმა.

განვმარტავ, რომ მე კი არ გავახმოვანე პრეზიდენტის პოზიცია, არამედ ჟურნალისტებს გავაცანი პრეზიდენტის დამოკიდებულება. ეს არ არის ერთი და იგივე, პატივცემულო კოლეგებო!

და გავაცანი არა როგორც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პასუხისმგებელმა მდივანმა, არამედ როგორც სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის უფროსის – პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ.

სიუჟეტის გადაცემისთანავე დავუკავშირდი „რუსთავი-2"-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსს ეკა ხოფერიას და ვაცნობე დაშვებული შეცდომის თაობაზე. შემპირდა, აუცილებლად გამოვასწორებთო.

„კურიერი ცხრა საათზე" ისე დამთავრდა, რომ შეცდომა არავის გაუსწორებია.

წუხელ „ღამის კურიერში" მთავარი თემა სამხედრო პროკურატურა და ზემოთ დასახელებული ფაქტი იყო და, ვიმედოვნებდი, რომ ამჯერად მაინც შეასრულებდნენ დანაპირებს.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

რამდენჯერმე ვცადე ქალბატონ ეკას პირდაპირ ეთერში დავკავშირებოდი, მაგრამ ავტომოპასუხე იმეორებდა: „დაწესებულების სადგურის ყველა ხაზი დაკავებულია. დარეკეთ მოგვიანებით".

„მოგვიანებით" გაგრძელდა 45 წუთი. ვერ შევძელი შეხმიანება. სამაგიეროდ, მოვისმინე „ვეზდეზვონ" კობა დავითაშვილის ვრცელი მონოლოგი (როგორ ახერხებს ეს ხალხი ყველგან და ყოველთვის დარეკვას?).

ახლა იმას მოგახსენებთ, რატომ დამჭირდა ასე ვრცლად და არსებითად მომეთხრო ყველაფერი.

საქართველოს პრეზიდენტის მოსაზრების საზოგადოებისთვის გაცნობის უფლება არა აქვს არც ერთი გაზეთის არც ერთ თანამშრომელს, ვინც არ უნდა იყოს იგი. ამის უფლებამოსილება გუშინ მე მქონდა, როგორც პრეზიდენტის პრესმდივნის მოადგილეს და არა როგორც „საქართველოს რესპუბლიკის" პასუხისმგებელ მდივანს, რომელ თანამდებობაზეც აღარ ვმუშაობ.

სამწუხაროა, რომ ასეთ ვრცელ განმარტებას საჭიროებს ის სამაუწყებლო კომპანია, რომელსაც პრეტენზია აქვს ობიექტურობასა და მაყურებლისთვის უტყუარი ინფორმაციის მიწოდებაზე.

ბონდო მძინარაშვილი.

ღლავები დიდ კორუფციაში

(პირველი გვერდიდან)

1997-2001 წლებში რამდენჯერმე თვითნებურად, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, შეიცვალა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა. ფაქტობრივად, საზოგადოებაში სახელმწიფო წილის მართვა თვითდინებაზეა მიშვებული.

სამეთვალყურეო საბჭო დღემდე დაუკომპლექტებელია, არჩეული არ არის საბჭოს თავმჯდომარე.

ძირითადი საქმიანობის დინამიკა მკვეთრად ეცემა: 1996 წელს რეალიზებულია 590 ათასი ლარის ნავთობპროდუქტები, 1997 წელს – 354 ათასი ლარის, 1998 წელს მხოლოდ – 85 ათასი ლარის. ფინანსური სიძნელეების გამო, 1998 წლიდან „თბილნავთობპროდუქტს" საქონლის არც შემოტანა და არც რეალიზაცია არ უწარმოებია, ამის შედეგად, 1999-2000 წლებში ზარალმა, შესაბამისად, 110 და 98 ათასი ლარი შეადგინა.

1996 წელს დაღვრილად არის გაფორმებული ქუთაისის მერიის მშენებლობის მატერიალური რესურსებით მომარაგების სამსახურის 128,5 ტონა და ფირმა „თოკოს" 16,6 ტონა ბენზინი. ინვენტარიზაციის აქტებზე არ არის ფირმების წარმომადგენლების ხელმოწერა, ლაბორატორიისა და ექსპერტიზის დასკვნები. მსგავსადვე, 1997 წლის ნოემბერ-დეკემბერში დაღვრილად არის გაფორმებული ფირმა „ჯორჯია-1"-ის მიერ შესანახად შეტანილი 78,7 ტონა ავიანავთი, რაც ინვენტარიზაციის აქტში არ არის შეტანილი. არ არის „სპეცექსპერტიზისა" და ლაბორატორიის დასკვნები. ამასთან, „თბილნავთობპროდუქტის" მთავარი ინჟინერი ნ. კალანდაძე, აქციონერი ა. ახატნელი, დაცვის სამსახურის უფროსი უ. ჩხიტიძე, მთავარი ინჟინრის მოადგილე ზ. ვადაჭკორია და სხვები, ნავთობპროდუქტების დაღვრის ფაქტებს უარყოფენ.

2001 წლის 1 სექტემბრისათვის ბუღალტრული დოკუმენტებით ნაშთად ირიცხება სახელმწიფო მატერიალური რეზერვების კუთვნილი 360,2 ტონა ბენზინი, 93,7 ტონა დიზელის საწვავი და 4,9 ტონა ნავთი, მაშინ როცა რევიზიის პერიოდში... მილგაყვანილობებში აღმოჩნდა დაახლოებით 1,4 ტონა ბენზინი და 1,4 ტონა დიზელის საწვავი. ასევე ნაშთად ირიცხება საკუთრივ „თბილნავთობპროდუქტის" 29,1 ტონა დიზელის საწვავი, 14,8 ტონა ნავთი და შპს „საქნავთობპროდუქტის" 3 ტონა ნავთი, რაც, ინვენტარიზაციის დროს, ფაქტობრივად არ აღმოჩნდა. ამ საქონლის დანაკლისის საერთო ღირებულება, საბაზრო ფასებით 395,2 ათას ლარს შეადგენს.

ურეაგირებოდ არის დატოვებული წინა რევიზიით გამოვლენილი უხეში დარღვევები. კერძოდ: 1996 წელს საქართველოს კონტროლის პალატის რევიზიით დადგინდა 822,1 ათასი ლარის დანაკლისი; სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებას დაექვემდებარა 556,4 ათასი ლარი, ხოლო ფირმა „სამთავისი-2000"-ზე ბარტერული წესით 234 ათასი დოლარის ღირებულების საქონლის გადაცემის რეალობა ძიებით უნდა დადგენილიყო. „თბილნავთობპროდუქტმა" ძიების შედეგებზე რაიმე ინფორმაცია ვერ წარმოადგინა. ეს დანაკლისები ბუღალტრულად არ ასახულა და თანხების ამოსაღებად ღონისძიებები არ განხორციელებულა. ასევე აუნაზღაურებელია 1998 წელს სარევიზიო ჯგუფის მიერ გამოვლენილი 1238,5 ათასი ლარის ნავთობპროდუქტების დანაკლისი, საიდანაც 201,9 ათასი ლარი გადასახდელად დაეწერა მ. ვაშაკიძეს (შემდგომ შემცირდა 124,7 ათასი ლარით), ხოლო თეთრი ნავთობპროდუქტების საამქროს ყოფილ უფროსებს ი. შავდათუაშვილსა და მ. ნიკოლეიშვილს, შესაბამისად, გადასახდელად 830,2 და 195,6 ათასი ლარი დაეწერათ.

1996 წლის 29 იანვარს „თბილნავთობპროდუქტსა" (მ. ვაშაკიძე) და მცირე საწარმო ფირმა „ვარკეთილი-92"-ს (დირექტორი ვ. ლექავა) შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ჩატარებულია 865,6 ათასი ლარის სამუშაოები. ეს დადასტურებულია შესაბამისი აქტებით, რომლებიც ხელმოწერილია მ. ვაშაკიძის, ი. შავდათუაშვილის, მ. ნიკოლეიშვილის და ოპერატორ ზ. ჭედიას მიერ, თვით ვ. ლექავაც ადასტურებს თანხების მიღებას. მაგრამ შემოწმებით დადგენილი ზოგიერთი ფაქტი ამ სამუშაოთა რეალობას საეჭვოს ხდის. კერძოდ, შემოწმებით დადგინდა, რომ ფირმა „ვარკეთილი-92" რეგისტრირებული იყო თბილისის გლდანის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში. ინსპექციის ინფორმაციით, ფირმა დაიხურა 1996 წლის ოქტომბერში, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ. ამასთან, სარეგისტრაციო დოკუმენტები განადგურებულია, რითაც საგადასახადო ინსპექციამ, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო სახსრების შესაძლო დატაცება-განიავების მიჩქმალვას. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში ფირმა საერთოდ რეგისტრირებული არ ყოფილა.

1996 წლის 15 აპრილს შედგენილია აქტი № 22 რეზერვუარში გაწმენდის სამუშაოების ჩატარებაზე. ინვენტარიზაციის აქტის მიხედვით, კი 1996 წლის 1 აპრილისათვის ამ რეზერვუარში 2765 ტონა ბენზინი იყო. ამდენად, მისი გაწმენდა შეუძლებელი იყო. 1996 წლის 17 ივნისის სამუშაოს შესრულების აქტზე ხელს აწერს „თეთრი ნავთობპროდუქტების" საამქროს უფროსი ვ. შავდათუაშვილი", მაშინ, როცა იგი თანამდებობიდან 1996 წლის 4 ივნისს გათავისუფლდა.

„თბილნავთობპროდუქტის" ცნობის თანახმად, 1998 წლის 5 აგვისტოს ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები ადასტურებენ „რეზერვუარების გაწმენდას, ასევე პროდუქტების გასაცემ ესტაკადაზე რეზერვუარების მილგაყვანილობების გამოცვლას, სარემონტო სახელოსნოს შენობის შეკეთებას და მის მთლიან გადახურვას", თუმცა, ერთი-ერთი რეზერვუარის (№ 31) გაწმენდა, ასევე, სარემონტო სახელოსნოს შენობის რემონტი და მთლიანი გადახურვა, ხელშეკრულებებსა და შესრულების აქტებში საერთოდ არაა მოხსენიებული. ყოფილი მთავარი ბუღალტერი ბ. თაბაგარი ხელს აწერს ცნობას სამუშაოების შესრულებაზე, მაგრამ თანხების ხარჯვა ბუღალტრულად არ არის ასახული. შესრულების აქტები არ არის ხელმოწერილი მთავარი ინჟინრის, მისი მოადგილის, მთავარი მექანიკოსის და სხვების მიერ, რომლებსაც თანამდებობით ევალებოდათ კონტროლი ამ სამუშაოების შესრულებაზე. საამქროს ყოფილი უფროსი ი. შავდათუაშვილი, რომელიც ხელს აწერს სამუშაოების შესრულების აქტებზე, თავის 2001 წლის 29 ოქტომბრის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, „რაც შეეხება ჩატარებულ რემონტებს, მის გარშემო წარმოდგენა არ მაქვსო".

1998 წლის რევიზიის მასალები შემდგომში რეაგირებისათვის გადაეცა ქ. თბილისის პროკურატურას. პროკურატურამ სს „თბილნავთობპროდუქტის" ხელმძღვანელობას წარდგინება გაუგზავნა მთავარი ბუღალტრის ბ. თაბაგარისა და სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ა. ახატნელის პასუხისმგებლობის შესახებ, მ. ვაშაკიძის მიმართ კი სისხლის სამართლის საქმე შეწყვიტა და შრომით კოლექტივს გადასცა თავდებქვეშ. ეს დოკუმენტები მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე უნდა განეხილათ და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ქ. თბილისის პროკურატურისათვის ეცნობებინათ. მაგრამ მასალები კრებაზე არ განხილულა და არც პასუხია გაგზავნილი. რაზეც პროკურატურას... არავითარი რეაგირება არ მოუხდენია.

ამჟამად მ. ვაშაკიძე და ბ. თაბაგარი აღარ მუშაობენ „თბილნავთობპროდუქტში", ყოფილი მატერიალურად პასუხისმგებელი პირები ი. შავდათუაშვილი და მ. ნიკოლეიშვილი ყოფილი გენერალური დირექტორის მ. ვაშაკიძის ბრძანებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდნენ სამუშაოდან, ისე რომ, დავალიანებები არ დაუფარავთ.

რევიზიის დროს გამოვლინდა 146 ათასი ლარის ღირებულების ნავთობპროდუქტების დანაკლისი 1996-1997 წლებში.

საზოგადოების მძიმე ფინანსური მდგომარეობა იმითაცაა განპირობებული, რომ არ წარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ანალიზი, არ ხორციელდება ღონისძიებები არასამეწარმეო ხარჯების შესამცირებლად და სახსრების ეფექტიანად გამოყენებისათვის (მაგალითად, 1998 წელს შპს „სინთეზ-ბიზნესის" კუთვნილი 3 ვაგონცისტერნის დაგვიანებით დაბრუნებისათვის საზოგადოებამ 35,7 ათასი ლარით იზარალა). არ ტარდება ღონისძიებები დებიტორულ დავალიანებათა ამოსაღებად, რის შედეგადაც დებიტორული დავალიანებები კატასტროფულად იზრდება (1986 წლის 1 იანვრისათვის დებიტორული დავალიანება შეადგენდა 588 ათას ლარს, 2001 წლისათვის კი – 2610 ათას ლარს. გაფორმებული არ არის შედარების აქტები, რის გამოც მათი რეალობა დაუდგენელია).

„თბილნავთობპროდუქტის" მიერ ზოგჯერ ხელშეკრულებები გაფორმებულია საკუთარი ეკონომიკური ინტერესების საზიანოდ. მაგალითად, 1998 წელს ლაბორატორია თავისი დანადგარ-მოწყობილობებით, რომლის ღირებულებაც 37,4 ათასი ლარია, იჯარით გადაეცა კერძო ფირმას. თვეში... 58 ლარად, ამასთან, მოიჯარე არ იხდის მოხმარებული ელექტროენერგიისა და წყლის ღირებულებას. ნავთობგადამამუშავებელ ქარხანა „გაორთან" გაფორმებული ხელშეკრულება თვეში 5 ათასი დოლარის ოდენობის იჯარას ითვალისწინებდა. შემდეგ ეს თანხა 1 ათას დოლარამდე შემცირდა. შპს „ჯორჯია-1" „თბილნავთობპროდუქტის" ტერიტორიაზე 1999-2000 წლებში ბენზინის გამოხდასა და რეალიზაციას აწარმოებდა. იჯარის დავალიანება – 38,2 ათასი ლარი დღემდე დაუფარავია.

სამეთვალყურეო საბჭოს ოქმში (1997 წლის 4 ივლისი) მითითებულია, რომ ნავთობპროდუქტების ნავაჭრი თანხით გენერალური დირექტორის ყოფილმა მოადგილემ ლ. ქუტიძემ შეიძინა 53890 აქცია და შრომითი კოლექტივი ითხოვდა თანამშრომლებს შორის მათ განაწილებას. ამ საკითხის გადაწყვეტა სცილდება სამეთვალყურეო საბჭოს უფლებებს, სასამართლოს პრეროგატივაა. თუმცა, აქციების შესყიდვა დოკუმენტურად არ დასტურდება. საგულისხმოა, რომ ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილებით, 20 ათასი დოლარის გაუნაწილებელი აქციები არამართლზომიერად მიეკუთვნა აქციონერ ა. ახატნელს. ამასთან, რეესტრის მიხედვით, აქციების გადაცემა ა. ახატნელზე არ ფიქსირდება. სხვაობა გამოვლინდა ამავე გადაწყვეტილების მიხედვით ნაჩვენებ აქციონერების კუთვნილსა და მათ მიერ ფაქტობრივად შეძენილ აქციებს შორის.

ამრიგად, სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას და სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობაში დაშვებულია უხეში დარღვევა-ნაკლოვანებები. ფაქტობრივად, სახელმწიფო არ მართავს თავის წილს საზოგადოებაში, რის გამოც „თბილნავთობპროდუქტის" საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა თვითდინებაზეა მიშვებული.

კონტროლის პალატა დაასკვნის, რომ გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები და მძიმე ფინანსური მდგომარეობა გამოწვეულია სააქციო საზოგადოების ყოფილი ხელმძღვანელების ა. ჯაფარიძის და მ. ვაშაკიძის, ყოფილი მთავარი ბუღალტრების მ. თაბაგარის და გ. თათეიშვილის, საამქროს ყოფილი უფროსების ვ. შავდათუაშვილის და მ. ნიკოლეიშვილის მხრიდან დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით, დანაშაულებრივი გარიგებებით, რასაც შედეგად მოჰყვა საერთო საკუთრების განიავება და დიდი ოდენობით ფულად-მატერიალურ საშუალებათა დანაკლისები.

საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილებით სს „თბილნავთობპროდუქტის" 1996-2001 წლების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა, ასევე, ქ. თბილისის მერიის მიერ „თბილნავთობპროდუქტში" სახელმწიფო წილის მართვა, არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალა.

რევიზიის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, სადაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ალექსანდრე ალექსიძე.

## ვის ჯიბეში ჩაიღვარა „დაღვრილი" ასობით ტონა ბენზინი და ავიანავთი?

ორბიტაზე

# კავკასიის სამივე ქვეყანას მოუწოდებენ, ძალისხმევა არ დაიშურონ ლოკალური კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად

**– სამხრეთ კავკასიაში არსებული ეთნიკური კონფლიქტები ჯერ კიდევ მოუგვარებელია, ამ კონფლიქტების შედეგად კი მილიონამდე დევნილი და იძულებით ადგილნაცვალი პირის სოციალური და ჰუმანიტარული მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, – ამგვარი შეფასება მისცა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიგრაციისა და ლტოლვილთა კომიტეტის წარმომადგენელმა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში დევნილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობის შესახებ მომხსენებელმა ქალბატონმა რუთ-გაბი ვერმოტ-მანგოლდმა.**

– სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას მოვუწოდებ, ძალისხმევა არ დაიშურონ ლოკალური კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად, ასევე დევნილთა მშობლიურ კერებში უსაფრთხოდ დასაბრუნებლად, – განაცხადა მომხსენებელმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე. რუთ-გაბი ვერმოტ-მანგოლდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაუშვებელია ხელისუფლებამ, პოლიტიკურმა პარტიებმა და მოძრაობებმა დევნილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობა პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენონ.

აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში დევნილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობის საკითხის განხილვა ჯერ კიდევ შარშან ევროპის საბჭოში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წარმომადგენელთა მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა.

იმის გათვალისწინებით, რომ იძულებით ადგილნაცვალ პირთა უმრავლესობა დევნილთა ბანაკებშია განთავსებული და მათთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარება არასაკმარისია, მომხსენებელმა მიმართა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, რომ გაგრძელდეს დევნილთა სოციალური დახმარების პროცესი. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპულმა სახელმწიფოებმა ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინონ ამ ქვეყნებს დევნილთათვის განათლების, დასაქმებისა და დასახლების პრობლემების მოსაგვარებლად მიმართული პროგრამების განსახორციელებლად.

– ჩეჩნეთიდან დევნილი მოსახლეობის მშობლიურ კერებში დროულად დაბრუნების პროცესის შესახებ საქართველოს ხელისუფლებამ ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს იმ დრომდე, ვიდრე ჩეჩნეთში მდგომარეობა სტაბილური არ გახდება და დევნილებს იქ დასაბრუნებლად სრული უსაფრთხოების გარანტიები არ ექნებათ, – ეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე საქართველოსადმი მიმართული ერთგვარი რეკომენდაცია იყო.

სამხრეთ კავკასიაში დევნილთა მდგომარეობის საკითხისადმი მიძღვნილ დებატებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის სამმა წარმომადგენელმა – ზურაბ ჟვანიამ, ელენე თევდორაძემ და ნათელა პატარქალიშვილმა.

ზურაბ ჟვანიამ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრებს მიმართა, რომ დღის წესრიგში დადგეს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს საგანგებო მომხსენებლის დანიშვნის საკითხი, როგორც ეს მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში მოხდა. სადაც მომხსენებლად ტერი დევისი დაინიშნა. ასევე მან აღნიშნა, რომ კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების სრული გარანტიების შესაქმნელად და პროგრესის მისაღწევად მნიშვნელოვანია სამშვიდობო ძალების მანდატით გათვალისწინებულ ვალდებულებათა უპირობო და სრულფასოვანი შესრულება.

კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის მშვიდობიანი პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება და რუსეთთან არსებული პოლიტიკის დაბალანსება გამოკვეთა პრიორიტეტად დეპუტატმა ნათელა პატარქალიშვილმა. მისი აზრით, ამგვარი მიდგომა გახდება დევნილების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პირობა.

პარლამენტარმა ელენე თევდორაძემ განაცხადა, რომ ევროპის საბჭომ სათანადო შეფასება უნდა მისცეს რუსეთის სათათბიროს არაკორექტულ მოქმედებას და გადაწყვეტილებას, რაც აფხაზეთში მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებასა და მათთვის რუსეთის პასპორტების გაცემას გულისხმობს. თევდორაძემ განაცხადა, რომ ეს არის საქართველოს კანონმდებლობაში და კონსტიტუციაში მეზობელი სახელმწიფოს უხეში ჩარევა. ელენე თევდორაძემ მიმართა ევროპელ კოლეგებს, რომ კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, აუცილებელია გალის რაიონის კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციაში ქართული მხარის აქტიური მონაწილეობა და ერთობლივი პოლიციური ჯგუფების შექმნა ქართველების, აფხაზებისა და მშვიდობისმყოფელთა შემადგენლობით.

ნინო გაბრიაძე,
საქინფორმის სპეც. კორ. სტრასბურგში.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ეს ყველამ უნდა იცოდეს. წაიკითხეთ!

### გია ლომაძე

# ენითხუროები...

### ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები. ელემენტარული არითმეტიკა, ანუ „ტარანი თვლითაა!“

2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს წინ უძღოდა საინფორმაციო კამპანია, რამაც ისტერიული ნოტები ქვანია-სააკაშვილის გუნდს შეჰქონდა. თითქოს ქვეყნის ყოფნა-არყოფნა, ერის გადარჩენა ამ არჩევნებზე ყოფილიყო დამოკიდებული. მსგავსმა ინფორმაციულმა ფონმა საზოგადოების გარკვეული ნაწილი უკიდურესად პოლიტიზებული გახადა, რამაც ქვეყანაში, ძირითადად თბილისში, გარკვეული უარყოფითი მოვლენები გამოიწვია, მაგრამ ერთი კი ფაქტია, ... ნებსით თუ უნებლიეთ ... „დამკვეთთა“ ნების საწინააღმდეგოდ), უეჭველად ხელი შეუწყო არჩევნების ჩატარებას. ხალხი საარჩევნო უბნებში მიდიოდა, არჩევნები შედგა, მოსახლეობამ თავისი მოქალაქეობრივი, კონსტიტუციური ვალი მოიხადა და ამასთანავე, გამოხატა თავისი დამოკიდებულება, თავისი ნდობის კოეფიციენტის არჩევნებში მონაწილე ამა თუ იმ პარტიისადმი და პიროვნებებისადმი.

არჩევნებამდე „რეფორმატორება“ გუნდად თავგასალებული ქვანიას გუნდი სრულიად უცნობ ქრისტიან-კონსერვატორთა პარტიას“ შეეხიზნა. „რეფორმატორებისა“ და ქრისტიან-კონსერვატორების ჰიბრიდი „ქვანიასა და მისი გუნდის“ სახელით წარსდგა ამომრჩევლის წინაშე, რომელსაც ხალხმა „პაველიკ მოროზოვი და მისი რაზმი“ შეარქვა, ვინაიდან ბატონმა ზურაბ ქვანიამ, ადამიანმა, რომელიც ... წელი საქართველოს უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს ედგა სათავეში და საქართველოს ევროსაბჭოში შესვლისას პათეტიკურად განაცხადა, „მე ევროპელი ვარო“, ... რა, რომ ძალაუფლება ხელიდან ეცლებოდა, პაველიკ მოროზოვობა – მამისმკვლელობა არჩია: თუ ხელისუფლებაში არ იქნები შენ, პაველიკ მოროზოვის პირველი ... ყელშიო! – მექარით დაიჭყივლა მილიონობით ტელემაყურებლის გასაგონად. რა თქმა უნდა, „ყელში ამოსულ“ ობიექტად მხედველობაში ქვეყნის პრეზიდენტი ჰყავდა.

მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“, თავისი ლოროტოგოფი – კობა დავითაშვილით, „რესპუბლიკურ პარტიას“ დაუმობილდა და თავის დასახელებაში რატომღაც „დემოკრატიული ალიანსი“ დაამატა. უფრო ეშმაკი კი ის იქნებოდა, რომ „სიძულვილის ალიანსი“ დაერქმიათ, ვინაიდან ეს ადამიანები სწორედ ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ სიძულვილმა გააერთიანა, რაც თავიანთ საარჩევნო პლაკატზე მოწოდებაც დააფიქსირეს: „თბილისი შევარდნაძის გარეშე“!. და ამ მოწოდებით, „ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლეს“. თავის თავს მოუკლეს: საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლი დაარღვიეს და მსოფლიო საზოგადოებას თავისი სირეგვენეც დაანახეს!

არჩევნების ჩატარების შემდეგ ქვანიამ და მისმა გუნდმა, აგრეთვე, „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ალიანსის“ მესვეურებმა პრესით, ტელევიზიით ერთი ვაიუშველებელი და გნიასი გამართეს: გავიმარჯვეთ, ხალხი ჩვენს მხარეზეა, ახლა ვაჩვენებთ სეირს პრეზიდენტსო! და ქვე: არჩევნები გაგვიყალბეს, თორემ უკეთესი შედეგი გვექნებოდაო!?

მათ მიერ ატეხილი მთელი ეს ჟრიამული, აურზაური სხვა არაფერია, თუ არა ენითხუროების ჩვეული ხერხი და მეთოდები ხალხის თვალში ნაცრის შეყრისა და შავის თეთრად გასაღებისა.

ცხონებული ბაბუაჩემი, ძველი გურული კაცი, რომელსაც ყველა ძველი გურულივით ტარანი უყვარდა, ასეთ ვითარებაში იტყოდა ხოლმე: „ტარანი თვლითაა“!...

თუმცა, ვნახოთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემები 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ:

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის – 3 მილიონი ამომრჩევლის 45 პროცენტმა, ანუ 1 მილიონ 200 ათასმა ამომრჩეველმა.

საქართველოს ქალაქებში, რაიონებში, სოფლებში ასარჩევ საკრებულოს წევრთა რაოდენობა შეადგენდა 4791 ადამიანს.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დღევანდელისათვის დათვლილი და დამტკიცებულია 4738 საკრებულოს წევრი. აქედან „ქვანიას გუნდმა“ მიიღო... 4 ადგილი. „ნაციონალურმა პარტიამ – დემოკრატიულმა ალიანსმა“ – 25 ადგილი, ორთავემ ერთად – 29, რაც დღესისათვის არსებული საკრებულოს წევრების 0.5 პროცენტს შეადგენს. ახლა ვნახოთ, სულ რამდენმა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი იმ პარტიებს, რომლებმაც ქვეყანა აიკლეს – „გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთო“!.

როგორც აღვნიშნეთ, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 200 000 ამომრჩეველმა. ამ რიცხვის 0.5 პროცენტი კი შეადგენს 60.000 (სამოცი ათას) ამომრჩეველს! აქ არ შემიძლია საზოგადოებას არ შევახსენო, რომ სწორედ ეს ციფრი, ამდენი ამომრჩეველი, ამდენი მკვდარი სული სახელდება და სახელდებოდა საქართველოს მასმედიაში, როცა მსჯელობის საგანი ქვანიასეული მოქალაქეთა კავშირის მიერ არჩევნების გაყალბება იყო. ხომ არ არის ეს ენითხუროთა საარჩევნო „ოქროს ფონდი“ – საქართველოს გარდაცვლილ მოქალაქეთა პასპორტები? საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ენითხუროებმა 29 ადგილი მხოლოდ თბილისში მიიღეს!

ღმერთო, გაანათლე ბაბუაჩემის სული!

### „ლაბორანტებად“ დარჩნენ მარად!

1995 წელს საქართველოს პარლამენტის პრეს-ცენტრის პარალელურად ვხელმძღვანელობდი გაზეთ „საქართველოს პარლამენტსაც“, სადაც დავიწყეთ საქართველოს პარლამენტის წევრების ბიოგრაფიების გამოქვეყნება. პარლამენტის სხვა წევრებისაგან განსხვავებით ქვანიასა და მისი გუნდის წარმომადგენელთა ბიოგრაფია, ანუ ცხოვრებისეული განვლილი გზა მეტად მწირი, მოკლე გახლდათ, ... აბზაცით თუ შემოიფარგლებოდა. მათი უმრავლესობის თანამდებობა და პროფესია ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრამდე ლაბორანტობა გახლდათ. ლაბორანტი გახლდათ თავად ზურაბ ქვანიაც.



ლაბორატორია (**Laboratoriun**) ლათინური სიტყვაა, ნიშნავს დაწესებულებას ან მის განყოფილებას, სადაც ეწევიან ექსპერიმენტულ, სამეცნიერო-კვლევით მუშაობას; სადგომია, რომელიც მოწყობილია სამეცნიერო, ტექნიკური და სხვა ცდების ჩასატარებლად.

ლაბორანტი კი ლაბორატორიაში მომუშავე პირია, ტექნიკური მუშაკია.

განვითარებული სოციალიზმის, ანუ „უძრაობის ხანაში“, როცა წითელი იმპერიის – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი ხრწნის პროცესი ძალზე დაჩქარდა და გვამურ ლაქებს საბჭოთა ხელისუფლება იდეოლოგიური ფერ-უმარილით ჩქმალავდა, კომუნისტური სისტემის, სამსახურებრივ, საკადრო იერარქიის მეულ კიბეზე, მის ნულოვან საფეხურზე გაჩნდა თანამდებობა, პროფესია – ლაბორანტი! განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში მოგეხსენებათ არ არსებობდა უმუშევრობა და ეს თანამდებობა, პროფესია შეიქმნა საშუალო ფენის ინტელიგენციის წარმომადგენელთა იმ შთამომავლებისათვის, რომლებიც ვერც ერთი სასწავლო დისციპლინაში შემდგომ ზრდას, თავისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პოტენციალის გამო ვერ განავითარებდნენ. ამგვარ ლაბორანტს არაფერი ჰქონდა საერთო მეცნიერულ ხელსაწყოებთან, ექსპერიმენტებთან და პრეპარატებთან, პრაქტიკულად, ისინი დიპლომირებულ არაქმედითუნარიან, უპერსპექტივო, სახელმწიფო კმაყოფაზე აყვანილთა კასტას წარმოადგენდნენ. საბჭოთა ლაბორანტი მეგუებული იყო თავის ყოფას და იერარქიული კიბის იმ საფეხურს, რომელზეც სისტემამ განაწესა. ამგვარი ლაბორანტები არაფერს ქმნიდნენ, არსებობდნენ მხოლოდ და მხოლოდ, ისევე როგორც მიკრობი არსებობს მშვიდად და უდრტვინველად ადამიანის ორგანიზმში. თავისი სოციალური არსით ისინი „ლიუმპენებს“ – არაფრის მქონე საზოგადოებას წარმოადგენდნენ, თუმცა საკმაოდ მრავალრიცხოვანს. ამგვარი ლაბორანტობა ფსევდო-პროფესია, ფსევდოსაქმიანობა გახლდათ.

ფსევდო (**Psendos**) – ბერძნული სიტყვაა და ცრუს, ყალბს ნიშნავს – მაგალითისათვის ფსევდოპატრიოტობა – უაზრო ანუ ცრუ, ყალბი პატრიოტიზმი.

ამ ფსევდო-პროფესიამ, ფსევდო-საქმიანობამ, უეჭველია, თავისებური დაღი დაასვა ამ ადამიანებს, „ლიუმპენ-ლაბორანტებს“ და ბევრმა მათგანმა ამ ფსევდო-პროფესიის, ფსევდო-საქმიანობის დაღი სსრკ-ს დაშლის შემდეგ თვისობრივად ახალ ფორმაციაში, დემოკრატიულ სისტემაში შემოიყოლა, და ვინაიდან საბჭოთა „ლიუმპენ-ლაბორანტი“ არაფრის შემქმნელია, უმაქნისი, დემოკრატიული სხეული კი პარაზიტებს ვერ იგუებს, ხოლო საბაზრო ეკონომიკისათვის აბსოლუტურად მიუღებელია არაფრის კეთებაში ვისმესთვის გასამრჯელოს გაღება; ამ ყოფილმა საბჭოთა „ლიუმპენ-ლაბორანტებმა“, ვინაიდან ფეხს ვერსად მოიკიდებდნენ თავიანთი არსის, ბუნების გამო, ერთადერთი სხეული მოძებნეს დემოკრატიულ ფორმაციაში – პოლიტიკა და ამ სხეულზე დაიდეს ბინა, ხოლო თავისი არაქმედითუნარობა, სასარგებლო საქმის კეთების ჩვევის უქონლობა შენიღბეს გაუთავებელი ლაპარაკით, პოპულიზმით, დემაგოგიისა და ენითხურობის ყველა ხერხით და მეთოდით... და საქართველოს სინამდვილეში, ქართულ საზოგადოებაში ფეხი ჯერ კიდევ 1987-1992 წლების მოვლენებისას მოიკიდეს, ვინაიდან სამსხოდ მათ მეტად ხელსაყრელი, ნაყოფიერი ნიადაგი შექმნათ: მიმდინარეობდა მსოფლიოს გიგანტური კატაკლიზმი, ინგრეოდა ზემძლავრი სახელმწიფო, იმპერია – სსრკ. შემდეგ საქართველოში დაიწყო ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საბედისწერო მოვლენები და ამ ყოფილ „საბჭოთა ლაბორანტებისთვის“ არავის ეცალა, ხოლო ამ პროცესების ლახრულებისას, როგორც ეს ხშირად მომხდარა მსოფლიო ისტორიაში, „ლიუმპენ-ლაბორანტები“ დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის დაწყებისას პირველ რიგებში აღმოჩნდნენ. და მიუხედავად მაღალი საპარლამენტო, სახელისუფლებო მწვერვალებზე ყოფნისა, მიუხედავად ყველა პირობისა, ყველა საშუალებისა, რაც მათ ქვეყნის პრეზიდენტმა, სახელმწიფომ, ხალხმა მისცეს ამ ადამიანებმა ვერ დაძლიეს თავისი ფსევდო-პროფესიული, საბჭოთა ლაბორანტული არსი და შინაარსი: საბჭოთა ლაბორანტებად დარჩნენ მარად! და საქართველოს, ქვეყნის საზოგადოების თავის ლაბორანტულ ჭკუაზე მორგება განიზრახეს, ხოლო თავიანთი ენით გადახურული ქვეყანა, სამშობლო-საქართველო ლაბორატორიად სურთ გადასცენ იმათ, ვინც მათ კეთილდღეობას, უშფოთველ, უზრუნველ, არხეინად ყოფას უზრუნველყოფს...

### ბოლოთქმა

ძვირფასო მკითხველო, მოქალაქეთა კავშირი ათობით ათასი ღირსეული საქართველოს მოქალაქისგან შედგება. ამ მოქალაქეებს, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, სამშობლო ქვეყნის, საქართველოს სიყვარული აერთიანებთ და არ შეიძლება, მრეხელობაა, დაუშვებელია ქვეყნის გადარჩენისათვის შექმნილი მოქალაქეთა გაერთიანება, ანუ მოქალაქეთა კავშირი, გარკვეული პირების პოლიტიკურ ავანტიურებსა და ამბიციებს შეეწიროს. მოქალაქეთა კავშირი უნდა იყოს და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი უზურპატორებმა კი არა, მოქალაქეთა კავშირის ღირსეულმა, ჭკუა და გონებადამჯდარმა, სამშობლო ქვეყნის ჭეშმარიტმა პატრიოტებმა უნდა გადაწყვიტონ. დროა, მოქალაქეთა კავშირში ის ხელმძღვანელობა მოვიდეს, ვინც ფართოდ გაუღებს კავშირის კარს ყველა პოლიტიკურ პარტიასა და დაჯგუფებას. ხელმძღვანელობაში უნდა მოვიდნენ ისინი, ვინც თავისი ცხოვრების წესით, საქმიანობით, ტოლერანტული ბუნებით დაარწმუნებს ყველას, რომ საზრუნავი ერთია – სამშობლოს, საქართველოს გადარჩენა და მის სასიკეთოდ ერთად უნდა ვილვაწოთ.

**P.S. დღეს ენითხუროები საქართველოს მოქალაქეთა კავშირის სათაო ოფისში, ვამლიჯვარში სხედან...**

**სხედან და ბჭობენ, გეგმავენ, თუ როგორ გადახურონ ენით საქართველო.**

**მოქალაქეთა კავშირის ფეშენებელური შენობა ვამლიჯვარში, პარტიის საკუთრებაა, იმ პარტიისა, რომელსაც ქვანია-სააკაშვილი და მათი თანამოაზრენი განუდგნენ. ეს შენობა საკუთრებაა მოქკავშირის ყველა რიგითი წევრისა, იმ ადამიანებისა, ვის მხრებზე და ბეჭებზეც გადაიარა განვლილი წლების მთელმა სიმძიმემ.**

**მრეხელობაა ამ შენობაში ენითხუროების ყოფნა... უპრიანი, მართებული იქნებოდა თავისი შენობა – მოქალაქეთა კავშირის ოფისი ვამლიჯვარში – 2002 წლის 29 ივნისის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ყრილობის დელეგატებს აფხაზეთიდან დევნილი უსახლკარო მოსახლეობისათვის გადაეცათ...**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 150-155.

## დოკუმენტი

## საქართველოს კანონი

### „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №9, 26.04.2002, მუხ. 43) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-7 მუხლის:

ა) მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა.“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-8 პუნქტის:

ბ.ა) დასაწყისში დაემატოს შემდეგი წინადადება: „მიწის ნაკვეთისა და მასთან დაკავშირებული უძრავი ქონების პირველადი რეგისტრაცია, რომელიც მოიცავს მიწის აგეგმვით სამუშაოებს, ნაბუთების, სარეგისტრაციო მოწმობებისა და საკადასტრო რუკების მომზადებას და გაცემას, აგრეთვე პირველად რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა ღონისძიებას და სრულდება სახელმწიფოს დაფინანსებით ან მიზნობრივად მოზიდული კრედიტების, გრანტებისა და ტექნიკური დახმარებების ხარჯზე, ხორციელდება სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის გარეშე.“;

ბ.ბ) „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „მიწის აგეგმვითი სამუშაოების ჩატარებას.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის $8^1$ მუხლი:

„მუხლი $8^1$. გარდამავალი დებულება

სანივთო უფლებათა საჯარო რეესტრში და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე ამ უფლებათა მარეგისტრირებელ/აღმრიცხველ დაწესებულებებში არსებული ყველა ინფორმაცია დამოწმებული სახით, უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, სასამართლოებს, ასევე მიწის რეგისტრაციის სისტემის ხელშემწყობ იურიდიულ პირებს“.

მუხლი 2. ამ კანონის მოქმედება გავრცელდეს 2002 წლის 10 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 2002 წლის 7 ივნისი.**

## საქართველოს კანონი

### „საქართველოს საგზაო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საგზაო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №№31-33, 1995, მუხ. 683) მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ბაზრის ორგანიზატორი ფიზიკური და იურიდიული პირები იბეგრებიან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის შესაბამისად“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 2002 წლის 7 ივნისი.**

## საქართველოს კანონი

### საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, №32, 24 ივლისი, 1997) 273-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს შემდეგი წინადადება:

„ელექტროენერგეტიკის იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ელექტროენერგიის საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებას, ამ კოდექსის 223-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაკლისი არ განიხილება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებად“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 2002 წლის 7 ივნისი.**

## საქართველოს კანონი

### საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, №32, 24 ივლისი, 1997) 273-ე მუხლის მე-10 და მე-11 ნაწილებში სიტყვები „2002 წლის 1 აპრილამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „2003 წლის 1 იანვრამდე“, ხოლო 28-ე ნაწილში სიტყვები „2002 წლის 1 ივლისამდე“ – სიტყვებით „2003 წლის 1 იანვრამდე“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2002 წლის 31 მარტიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 2002 წლის 7 ივნისი.**

## საქართველოს ორგანული კანონი

### „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №14 (21), 1999 წელი მუხ. 62) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტიდან, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტიდან და მე-3 პუნქტის „ზ“ და „მ“ ქვეპუნქტებიდან, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტიდან და მე-16 მუხლიდან, აგრეთვე მე-17 მუხლიდან სიტყვების „უზენაეს სასამართლოში იქმნება საერთო სასამართლოების“ შემდეგ ამოღებულ იქნეს სიტყვები „მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 2002 წლის 14 მაისი.**

## საქართველოს ორგანული კანონი

### „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 63-ე მუხლის პირველ პუნქტის „დ“ და „თ“ ქვეპუნქტებიდან, X თავის სათაურიდან, 70-ე მუხლის სათაურიდან და პირველი პუნქტიდან, 71-ე მუხლის სათაურიდან და პირველი წინადადებიდან, 79-ე მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებიდან, 81-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან და $85^1$ მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 2002 წლის 14 მაისი.**

## საქართველოს კანონი

### საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, №32, 24 ივლისი, 1997) 273-ე მუხლის 59-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„59. ამ მუხლის 53-ე და 55-ე ნაწილებით განსაზღვრული თანხის 71 პროცენტი ჩაითვალოს დამატებული ღირებულების, 21 პროცენტი – მოგების (ფიზიკური პირის შემთხვევაში – საშემოსავლო), 4 პროცენტი – ეკონომიკური საქმიანობის, 4 პროცენტი – საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობის გადასახადების ანგარიშში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 2002 წლის 7 ივნისი.**

## ფორუმი

# „მე არ მინდა ქართველი მეგობრების დაკარგვა...“

**ახლახან თბილისის ბოტანიკურ ბაღში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა გაიმართა. ვესწრაფვი, მკითხველს დღის წესრიგის „გარეთ“ აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის გამოსვლაზე ვუამბო, რომელიც, საერთო აზრით, შთამბეჭდავი გამოდგა და ფრიად საგულისხმო მომენტებს შეიცავდა.**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ივერი ფრანგიშვილი „შეთავსებით“ მოსკოვში არსებული საზოგადოების „ქართველები რუსეთში“ პრეზიდენტი გახლავთ. აპრილში იქ ფორუმი ჩატარებულა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა პრობლემების გარშემო. სწორედ ამ შეკრების ირგვლივ ილაპარაკა ბოტანიკურ ბაღში შემდგარ სხდომაზე ბატონმა ივერიმ. ილაპარაკა ზეპირად, უჩანაწერებოდ. როგორც ჩანს, ის ჯერ ნაადრევად მიიჩნევდა აღნიშნული თემით პრესაში გამოსვლას, მაგრამ „საქართველოს რესპუბლიკის“ ექსკლუზიურ ინტერვიუზე მაინც დავიყოლიეთ...**

**ჩვენი შეხვედრა მეორე დღეს შედგა აკადემიის პრეზიდიუმში, ვიცე-პრეზიდენტის კაბინეტში.**

**– გვიამბეთ, თუ შეიძლება, თქვენს საზოგადოებაზე – „ქართველები რუსეთში“. დარწმუნებული ვარ, ჩვენში მას მასობრივად არ იცნობენ...**

– საზოგადოება აერთიანებს თითქმის მილიონ ქართველს, რომლებიც ამჟამად რუსეთში იმყოფებიან, მეტწილად – მოსკოვში. მას აქვს 40-ზე მეტი რეგიონული ცენტრი – პეტერბურგში, იაროსლავლში, ვოლგოგრადში, ვლადივოსტოკში და სხვაგან. ჩვენ ვცდილობთ, სხვა ქართველ საზოგადოებებთან ერთად, ყველა ღონე ვიხმაროთ, რათა საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები გაუმჯობესდეს. პერიოდულად ვაწყობთ ქართული და რუსული საზოგადოებების შეხვედრებს, კონცერტებს წამყვანი ქართველი ხელოვნების წარმომადგენლების მოწვევით, წიგნების და სხვათა პრეზენტაციებს; რუს საზოგადოებრიობას ვაცნობთ ქართულ მეცნიერებას, კულტურას, ტრადიციებს, ადათ-წესებს...

**– უშუალოდ აპრილის ფორუმის შესახებ რას ეტყოდით მკითხველებს?**

– ის სამ დღეს გრძელდებოდა და მოეწყო რუსეთში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობითა და აგრეთვე, რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინიციატივით (საზოგადოება „ქართველები მოსკოვში“, „რუსეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება“, „აჭარის საზოგადოება“, მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა დიასპორა, ფონდი „კრედო“). მოწვეული იყვნენ რუსეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის წარმომადგენლები, სათათბიროს დეპუტატები, აფხაზები... ფორუმის ძირითადი მიზანი გახლდათ გვემსჯელა, თუ რა გზით შეიძლება ორი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების წინსვლა...

**– მაპატიეთ, ჩაგერევით – თქვენ ისევ ორ სფეროზე აკეთებთ აქცენტს. განა გამოსვლებს პოლიტიკური შეფერილობა არ ექნებოდა?**

– დიახ, არც უამისობა იყო... შეხედულებათა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის ფონზე აღინიშნა, რომ კავკასიის პრობლემის გადაწყვეტა უსაქართველოდ წარმოუდგენელია; უფრო მეტიც – საქართველომ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს ამ პრობლემის მოგვარებაში.

გამოითქვა აზრი, რომ რუსეთი მაშინ შეძლებს გახდეს მსხვილი მოთამაშე საერთაშორისო სარბიელზე, მაშინ შეძლებს მსოფლიოში საკმაო გავლენის მოპოვებას, თუ დსთ ქვეყნების ეკონომიკურ თუ კულტურულ ინტეგრაციაზე იზრუნებს; თუ არა და – ასეთ ინტეგრიებას აშშ მოჰკიდებს ხელს.

მთელს შეკრებას ლაიტმოტივად გასდევდა შემდეგი ხაზი – უნდა მოხდეს რუსეთისა და საქართველოს ინტერესთა შერწყმა, უნდა მოიძებნოს ის წერტილები, სადაც თანაიკვეთება ან ერთმანეთს ემთხვევა ორი ქვეყნის ინტერესები. იქ კი, სადაც ინტერესები ერთმანეთს ემიჯნება, კომპრომისი უნდა გამოინახოს.

ზოგიერთის გამოსვლაში გამოკრთა უკმაყოფილება, საქართველოს ნატოში უნდა შესვლა და რუსეთთან კავშირის განმტკიცებას არ ელტვისო. ამის საპასუხოდ სათათბიროს დეპუტატმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ შენიშნა, საქართველოს ვამტყუნებთ, ნატოსკენ რატომ მიისწრაფისო, სინამდვილეში კი რუსეთი, ალბათ, მასზე ადრე შევა იქო. ოცეულის საბჭოს შექმნა პირველი ნაბიჯია ნატოში რუსეთის გაწევრიანების გზაზეო (იგულისხმება ფორმულა – ნატოს 19 ქვეყანა პლუს რუსეთი).

კიდევ ერთმა სათათბიროს დეპუტატმა – გვარი არ მახსენდება – შეკრებილთ მოუწოდა ყველა ზომას მივმართოთ რუსეთისა და საქართველოს შორის მეგობრობის აღსადგენად: მე მახსოვს სიახლოვის კარგი ხანა და არ მინდა ქართველი მეგობრების დაკარგვა, რომლებიც ჩემთვის ძმების დონეზე არიანო (სწორედ ასე თქვა – ძმების დონეზეო...)

აფხაზი ერის წარმომადგენლებმა ასევე გამოხატეს ქართველ ერთან ერთად ყოფნის სურვილი, რასაც ხელს უშლის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის არასწორი პოლიტიკა.

გამოსვლათა უმეტესობა შეიცავდა მოწოდებებს რუსეთ-საქართველოს შორის კლიმატის დათბობისკენ, კომპრომისების მოძებნისკენ, გამოთქმის „Лица Кавказской Национальности“ აღკვეთისკენ.

ჟურნალისტმა სვეტლანა ჩერვონაიამ რუსეთი გაამტყუნა იმაში, რომ თავისი ამბიციური მოქმედებით ხელს არ უწყობს საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებას.

**– არაკეთილმოსურნე ორატორებიც ხომ გამოერივნენ...**

– მათ შორის იყვნენ ისეთი დუმელებიც, როგორც მიტროფანოვი და როგოზინი არიან. ისინი საქართველოს ხელისუფლებას აბრალებენ პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკების მომზადებასა და რუსეთის საწინააღმდეგოდ ხელშეწყობას, ადანაშაულებენ გილაევისა და სხვა ტერორისტების მფარველობაში.

**– ბატონო ივერი, მოდით, მკითხველისათვის გავიმეოროთ ის ოპტიმისტური ნოტები, რომლებზეც პრეზიდიუმის სხდომაზე თქვენი სიტყვა დაამთავრეთ...**

– შემიძლია დარწმუნებით განვაცხადო, რომ რუსეთის ინტელიგენციის აბსოლუტური უმეტესობა, ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების მოღვაწეები მწვავედ განიცდიან საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გაუარესებას და წერილობით მიმართავენ მთავრობას ყველაფერი იღონოს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ისინი უკმაყოფილო არიან საქართველოსთან სავიზო რეჟიმით და ფიქრობენ, რომ ეს რეჟიმი პირველ რიგში და სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს.

აკადემიკოსი ნიკოლოზ ლავეროვი, რუსეთის ფედერაციის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე არკადი ვოლსკი და ბევრი სხვა ძალიან ნანობენ არსებული მდგომარეობის გამო და დიდი სიამოვნებით იხსენებენ საქართველოს, იქ მუშაობის ბედნიერ პერიოდსა და ქართველ მეგობრებს...

ესაუბრა **თამაზ ევანოიძე.**

## ეხმაურებიან

# პრობლემები რუსეთთან ერთად უნდა მოვაგვაროთ

26 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის პრესკონფერენციასთან დაკავშირებით, რომელიც 24 ივნისს ტელევიზიით გადაიცა, შეიკრიბნენ მეცნიერები, მწერლები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ცნობილმა ისტორიკოსმა, პროფესორმა გრიგოლ ქვანიამ აღნიშნა, რომ ქვეყნის საგარეო და პოლიტიკური ორიენტაცია ორმაგი ხასიათისაა, ეს კი საქართველოს ავტორიტეტს ზიანს აყენებს. ქვეყნის პრეზიდენტს ხელს უშლის მის გარემოცვაში მყოფი ხალხი, მან დროულად უნდა მიიღოს მისთვის ჩვეული გონივრული გადაწყვეტილებები, ამ ორჭოფული მდგომარეობისგან თავის დასაღწევად, – თქვა მან.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარემ ვახტანგ გოგუაძემ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო პრეზიდენტ პუტინისადმი გასაგზავნი წერილის შინაარსი.

– გავითვალისწინოთ საზოგადოების პოზიცია, მოსახლეობის განწყობილება იმ პოლიტიკური და სოციალური რეალობის მიმართ, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ: ბოლოს და ბოლოს, რუსეთში დღეს ათასობით ქართველი იმყოფება, ეს მათთვის სასიცოცხლო ფაქტორია. არც ამერიკის პოზიცია უნდა დავივიწყოთ. მხედველობაში მაქვს ბუშისა და პუტინის ცნობილი შეხვედრა, ბუშმა სიტყვა-სიტყვით განაცხადა, რომ საქართველოს პრობლემების მოგვარება აუცილებელია. ეს პრობლემები რუსეთთან ერთად უნდა მოგვარდეს. ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსის გამოსვლები კი ეჭვს თესავს. იმავე რუსეთში არის რეაქციული ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევთ საქართველოში სტაბილურობა, და სწორედ ეს ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი გამოხატავს ამ რეაქციული ძალების სულისკვეთებას, – აღნიშნა მწერალმა ვახტანგ ხარჩილავამ.

**ნანა სულავა.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ჩატარებულ 2001-2002 წლების სახელმწიფო-სამართლებრივ ოლიმპიადაში „ადამიანი და კონსტიტუცია“ მონაწილეთა და გამარჯვებულთა დაჯილდოებაში გაწეული თანადგომისა და მხარდაჭერისათვის მადლობას უცხადებს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის საბჭოს, სამართლებრივი განვითარების ასოციაციას „**ALPE**“, ამერიკის იურისტთა ასოციაციას, გაეროს განვითარების პროგრამას საქართველოში, სადაზღვევო კომპანიას „ალდაგი“, „კოკა-კოლა“ ბოთლერს ჯორჯიას და განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს ბადრი პატარკაციშვილისა და საქველმოქმედო ფონდის „გამარჯვება“ მიმართ, რომელმაც დააწესა სპეციალური პრიზები მეორე ტურში გასული ყველა მონაწილისა და ოლიმპიადის საუკეთესო ორატორისათვის.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 157, შაბათი, 29 ივნისი, 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვა გაზეთებიდან

საქართველოს ბოლო მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, ბევრი რუსი პოლიტიკოსი ალაპარაკდა იმაზე, რომ თბილისში რუსეთთან ურთიერთობის განვითარების კონფრონტაციის გზას დაადგნენ, როცა დასავლეთთან ურთიერთობის განვითარების ფონზე იმავდროულად რთულდება დამოკიდებულება მოსკოვთან.

ქართველი ოფიციალური პირები ცდილობენ კონტრაბანდულ იარაღთან დაკავშირებული ბოლო სკანდალი (თბილისის მახლობლად პოლიციამ დააკავა „ჯიპი“, რომელშიც თანამედროვე იარაღის დიდი პარტია იყო) რუს სამხედროებს მიაწერონ: თითქოს კონტრაბანდის წყარო ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებში იყოს.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გადაკვრით განაცხადა, რომ, შესაძლოა, საქმე ეხებოდეს მის წინააღმდეგ მორიგი ტერორისტული აქტის მომზადებას, და აღნიშნა, იარაღის გამოყენება შეიძლება ჯავშნიანი ავტომობილების წინააღმდეგ.

რაკი ახლანდელი ხელისუფლები დამარცხდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში, ქართული ოპოზიცია გააქტიურდა. და კვლავ გამოჩნდა თითქოს უკვე მთლიანად მივიწყებული საქართველოს უშიშროების ექსმინისტრი იგორ გიორგაძე, რომელიც რამდენიმე წელიწადია ემიგრაციაში იმყოფება.

მან რედაქციაში დარეკა და სთხოვა შესაძლებლობა მიეცათ თავისი მოსაზრებანი გამოეთქვა თბილისში დღეს მიმდინარე მოვლენებზე ოპოზიციის შეხედულების თაობაზე.

„როსიისკაია გაზეტამ“, რომელიც თავის ფურცლებს ამა თუ იმ მოვლენის ობიექტური ახსნის მიზნით სხვადასხვა თვალსაზრისის გაშუქებას უთმობს, ეს შესაძლებლად მიიჩნია.

სრულიად საქართველოს პატრიოტული ალიანსის ლიდერმა, წარსულში სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პოლკოვნიკმა, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა იგორ გიორგაძემ შვიდი წლის იძულებითი ემიგრაციის განმავლობაში თავისი ადგილსამყოფელი უკვე ექვს ქვეყანაში შეიცვალა. ევროპის ორი სახელმწიფოს საზღვარზე მდებარე პატარა ქალაქში გენერალმა ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა „როსიისკაია გაზეტას“.

# კავკასიის გასაღები თბილისშია,

## – ასე მიაჩნია საქართველოს უშიშროების ექსმინისტრს იგორ გიორგაძეს

**— თქვენ ბრალად გდებენ, რომ იყავით საქართველოს ახლანდელ პრეზიდენტზე ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის ორგანიზატორი, უკვე რამდენიმე წელიწადია იძებნებით. რა არის ეს, ქვეყნის ახლანდელი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი საშუალება, რომ თავიდან მოიშოროს საქართველოს მეთაურის პოსტის რეალური პრეტენდენტი?**

— იცით, ყველა ჟურნალისტი, ვინც კი შემხვედრია, ამ კითხვას მისვამს. მაგრამ საქართველოს მცხოვრებთათვის ეს უკვე აქტუალური აღარ არის, რადგან ბოლო წლების მანძილზე იქ ისეთი მოვლენები მოხდა, რომლებმაც მთლიანად დაადასტურა, რომ არ ვმონაწილეობდი ამ, ეგრეთ წოდებულ, ტერორისტულ აქტში. ეს დაადასტურა 1997 წლის სასამართლო პროცესმაც, რომელსაც ჩვენმა პრესამ რატომღაც „საუკუნის პროცესი“ უწოდა. მაშინ გამოვიდა 365 მოწმე, 168 დაზარალებული, განსასჯელის სკამზე იყო 14 კაცი. ვერ მიიღეს 1995 წლის მოვლენებში ჩემი მონაწილეობის ვერც ერთი რეალური დამამტკიცებელი საბუთი.

ყველაფერი იღონეს, საკმაოდ პროფესიულადაც, რათა პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოვეშორებინე, როგორც პრეზიდენტის პოსტის რეალური პრეტენდენტი. ჩემი რეიტინგი ხომ არჩევნებისათვის პრაქტიკულად შევარდნაძის რეიტინგს უტოლდებოდა. მას ისიც კი აშინებდა, რომ შეიძლება არა მარტო გამემარჯვა, არამედ რომელიმე კონკურენტისთვის მხარიც დამეჭირა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ შეთითხნილი თავდასხმა, მართლა საეჭვოდ, ლამის განხორციელდა. საქმე ის არის, რომ დილეტანტებს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დაავიწყდათ რადიომართულ ასაფეთქებელ მოწყობილობაზე დაესვათ ნიშანი „ჩვენი – უცხო“, და როცა პრეზიდენტი თავისი რეზიდენციიდან გამოვიდა, ყველა სამსახურმა ჩართო თავისი რაციები – და ბომბიც აფეთქდა. პრეზიდენტს არაფერი არ უნდა მოსვლოდა – არ უნდა ჰქონოდა დალილავებული და დასისხლიანებული ადგილები, რომლებიც ყველა ტელეარხით აჩვენეს.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „ამ თავდასხმამდე“ დაახლოებით თვენახევრის მანძილზე მე მიწვევით გავემგზავრე თურქეთში, სადაც სამუშაო წესით შევხვდი ადგილობრივი სპეცსამსახურების ხელმძღვანელობას, შემდეგ შევარდნაძის ნებართვით, იქ დავრჩი შვებულების გასატარებლად. არც ერთი გამოცდილი პოლიტიკოსი, რომელსაც თავისი პრეზიდენტის გადაყენება სურს სამხედრო გადატრიალების გზით, ქვეყანას არასოდეს არ დატოვებს გადატრიალების მომზადებისა და განხორციელების დროს, ეს აქსიომაა.

ჩემი დევნა დაიწყო არა 29 აგვისტოს, როცა „თავდასხმა“ მოხდა, არამედ ოქტომბერში, როცა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დავბეჭდე ღია წერილი, სადაც საგნებს თავისი სახელი ვუწოდე და პირდაპირ განვაცხადე, რომ ამ მომენტიდან შევარდნაძის პოლიტიკური მოწინააღმდეგე ვიყავი. სწორედ მაშინ განვაცხადე, რომ ახლა ღიად შემეძლო მეთქვა, თუ რა საძაგლობას და დანაშაულს სჩადიოდა პრეზიდენტის კლანი, რის თაობაზეც ვერაფერს ვამბობდი, რადგან საქართველოს უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის პოსტი მეკავა.

**— გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერდა, რომ შევარდნაძის დროს საქართველო გადაიქცა „განუხორციელებელ სახელმწიფოდ“, ქვეყანა მიექანება ეკონომიკური კოლაფსისაკენ...**

— ყოველივე ეს საქართველოში ბავშვმაც კი იცის. საქმე ის არის, რომ შევარდნაძის კლანი, რომელშიც შედიან მისი ცოლი, უახლოესი ნათესავები და მეგობრები (დაახლოებით 30 კაცი), კონტროლს უწევს ქვეყნის მთელ ეკონომიკას. მაგალითად, ტელეკომუნიკაციებს აკონტროლებს პრეზიდენტის სიძე. სამთო-გამამდიდრებელ კომბინატს, რომელიც ოქროს მოიპოვებს და ფეროშენადნობთა ქარხანას – ასევე მისი ოჯახი აკონტროლებს. პრეზიდენტის ძმისშვილი ნუგზარ შევარდნაძე აკონტროლებს ნავთობპროდუქტების მთელ წარმოებას. სხვათა შორის, მან უკვე დღეს ხელთ იგდო „კოკა-კოლას“ და „მაკდონალდსის“ ქართული ფილიალებიც და იქიდან გააძევა ყველა კანონიერი მეპაიე. ფოთის ნავსადგურს მართავს პრეზიდენტის ახლობელი, რომელიც ასევე ფლობს რუსთავის ქარხანა „აზოტს“. ამ ნუსხის განგრძობა შეიძლება. საქართველოს მთელი რეალური ეკონომიკა დღეს მხოლოდ შევარდნაძის კლანის უძირო ჯიბისათვის მუშაობს.

დღეს, საქართველოს, რომელიც მხოლოდ ისრაელსა და ეგვიპტეს ჩამოუვარდება, მესამე ადგილი უკავია ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტიდან დაფინანსების მოცულობით. ეს კოლოსალური თანხაა ასეთი პატარა ქვეყნისათვის. შევარდნაძის მართვა-გამგეობის ათი წლის მანძილზე, დასავლეთმა აქ დააბანდა 3,5 მილიარდი დოლარი ინვესტიციების, გრანტების, კრედიტების სახით და ასე შემდეგ. სად არის ეს ფული? უკუგება ნულის ტოლია. კორუფციის ახლანდელი დონე ვაშინგტონსაც აღიზიანებს.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში უკვე დაისვა საკითხი საქართველოსათვის შემდგომი დახმარების, უფრო ზუსტად, – შევარდნაძის ოჯახის დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ. ზოგიერთი კონგრესმენი პირდაპირ კითხულობს: ვის ვაძლევთ ფულს? კარგით, ვთქვათ, მან ხელი შეუწყო სსრ კავშირის დაშლას. ამისათვის მან მიიღო. ახლა ეს „განუხორციელებელი სახელმწიფოა“, სადაც პარპაშებენ ოჯახები და მაფიოზური სტრუქტურები. ამისათვის რატომ უნდა იხდიდნენ ამერიკელი გადასახადის გადამხდელები? დასავლეთს სულ უფრო ნათლად ესმის, რომ შევარდნაძემ ამოწურა თავისი თავი, და მის შემცვლელს ეძებენ. მაგრამ, ჯერჯერობით, პოლიტიკური ფიგურა, რომელიც მათ ხელს მისცემდა, ვერ უპოვიათ და ამიტომ იძულებული არიან დაუჭირონ მას მხარი, რადგან შიშობენ, რომ, თუ შევარდნაძეს ახლა მოიშორებენ თავიდან, საქართველოში შეიძლება განუჭვრეტელი სიტუაცია შეიქმნას.

**— ბევრი აღნიშნავს, რომ საქართველოს ახლანდელ მეთაურს არა აქვს არც პოლიტიკური ნება, არც ძალები სამხრეთ ოსეთის და განსაკუთრებით აფხაზეთის პრობლემათა გადაჭრისათვის. მან არ იცის, როგორ უზრუნველყოს საკუთარი ქვეყნის უშიშროება. თქვენი აზრით, როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა? იქნებ, შევარდნაძეს სხვა მიზანი აქვს, თუ როგორ შეიძლება უფრო მალე შემოიყვანოს ქვეყანაში საერთაშორისო ძალები (ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს) და მათ დააკისროს საკუთარი პრობლემების გადაჭრა?**

— ეს ყველა ქართველისათვის მეტად ღირმნიშვნელოვანი საკითხია. შევარდნაძის მართვა-გამგეობის დროს ქვეყანა, პრაქტიკულად, რამდენიმე ნაწილად დაიშალა. პრეზიდენტს კარგად ესმის, რომ ვერც აფხაზებთან, ვერც ოსებთან იგი საერთო ენას ვერ გამონახავს. ანდა, ვინ დაელაპარაკება კაცს, რომელმაც ეს ომები წამოიწყო? ეს გამორიცხულია. 30 ათასი დახოცილი და დაჭრილი. 300 ათასი ლტოლვილი... კაცი, რომელმაც ძმათამკვლელი ომი გააჩაღა, ახლა ცდილობს თავის პირობები უკარნახოს მათ. აფხაზეთის არც ერთი ხელმძღვანელი ხელს არ მოაწერს ხელშეკრულებას ზავის შესახებ შევარდნაძის ხელმოწერის გვერდით. აბა, რას ლაპარაკობთ!

**— მაშ, რა გამოსავალი აქვს მას?**

— იგი გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ საერთაშორისო სტრუქტურების, უწინარეს ყოვლისა, ნატოს, უფრო ზუსტად, ამერიკის მეშვეობით გადაჭრის აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემებს. შევარდნაძე იმედოვნებს, რომ რუსეთს გააძევებს რეგიონიდან, შეიყვანს იქ ჯერ საერთაშორისო, შემდეგ კი ამერიკის ძალებს. კავკასიაში გაითამაშებს ბოსნიურ ვარიანტს. მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემს ოპონენტებს ვეუბნები: „ხალხო, ბოსნიაში შევიდნენ სამშვიდობო ძალები, ნატოს ძალები, მაგრამ მილიონობით ლტოლვილი იქ არ დაბრუნებულა“. აფხაზეთის ხელისუფლების დაჩოქება და მისთვის საკუთარი ნების კარნახი – ასე პრობლემა ვერ გადაიჭრება. საჭიროა, რათა ჩვენი ლტოლვილები, ჩვენი თანამემამულენი დაბრუნდნენ ნებაყოფლობით, ჩვენს აფხაზ ძმებთან შეთანხმებით. და, რაც შეიძლება მალე უნდა გაიხსნას სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა რუსეთთან.

**— გაქვთ თუ არა თქვენ ამ პრობლემათა გადაჭრის პოლიტიკური რეცეპტები?**

— დიახ, მაქვს. გავახმაურებ თუ არა მათ ხელისუფლებაში მოსვლამდე? არა, არ გავახმაურებ. ჯერ ერთი, შეიძლება იდეის დისკრედიტაცია მოხდეს. მეორე, თუ ასეთ რამეს გავამჟღავნებთ, იძულებული ვიქნებით გავამხილოთ რაღაც ისეთი, რაც უკვე რეალურად არის განხორციელებული. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ არ ვასახელებ იმათაც, ვინც რეალურად შეიძლება მოვიდეს ხელისუფლებაში, რადგან საფრთხე შეექმნებათ.

ემიგრაციაში ყოფნისას გულხელდაკრეფილი არა ვმჯდარვარ. მთელი შვიდი წელიწადი ჩემს თანამოაზრეებთან ერთად შეუპოვრად ვმუშაობ, მათ შორის, აფხაზეთის ხელმძღვანელობასთანაც. და ამას არც ვმალავ. ჩვენ გამოვძებნეთ შეხების წერტილები საერთო მომავლის თვალსაზრისით.

**— როგორ ეკიდებით საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფისა და რუსეთის შემადგენლობაში მისი შესვლის იდეას?**

— არც ერთი ქართველი, ვინც კი საღად აზროვნებს, არასოდეს არ იტყვის, თანახმა ვარ, რომ ჩემი სამშობლო ნაწილ-ნაწილ დაქუცმაცდესო. სხვა საქმეა, მე მესმის მოტივები, რომლითაც აფხაზეთში ხელმძღვანელობენ, როცა სვამენ საკითხს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. მაგრამ ასეთ პოზიციას ვერ დავეთანხმები, იმიტომ, რომ საქმე ეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. უნდა შეიცვალოს თუ არა ახლანდელი ვითარება? დიახ. არის თუ არა მზა რეცეპტები? არა, არ არის. არის მხოლოდ ცალკეული მონახაზები, არის რეალური შესაძლებლობანი გადაიჭრას როგორც აფხაზეთის, ისე ოსეთის პრობლემები. მაგრამ შევარდნაძის მონაწილეობის გარეშე.

**— შევარდნაძის მომხრეებმა წააგეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები. თითქოსდა ოპოზიცია იმარჯვებს, მაგრამ მისი პოლიტიკისადმი სერიოზული დაპირისპირება ქვეყანაში არ ჩანს, რით უნდა აიხსნას ეს?**

— არის ასეთი ანეკდოტი. ქართულ არმიაში მეთაური იძლევა ბრძანებას: „პირველ-მეორეზე გაითვალეთ“! „პირველი, პირველი, პირველი...“ საქართველოში „მეორენი“ არ არიან. ყველა პირველია. ეს ჩვენი მენტალიტეტია. ოპოზიციაშიც ეს პრობლემა არსებობს. ნებისმიერ ოპოზიციონერს შეეკითხეთ, მზად არის თუ არა ხვალვე ჩაუდგეს სათავეში სახელმწიფოს? პრაქტიკულად, ყველა გიპასუხებთ, „მზად ვარ!“ თუმცა მათ სახელმწიფოს მართვის არავითარი რეალური შესაძლებლობა არა აქვთ. სამწუხაროდ, არსებობს ძალიან ძლიერი დაქსაქსულობა თვით ერთი მიზნის, ერთი ორიენტაციის მქონე პოლიტიკურ ძალებს შორისაც.

**— ვის წარმოადგენს თქვენი სრულიად საქართველოს პატრიოტული ალიანსი?**

— ჩვენ, ჯერჯერობით, როგორც იტყვიან, „არ ვყოყლოჩინობთ“ პოლიტიკურ ასპარეზზე და ლიდერობის პრეტენზიას არ ვაცხადებთ. ნელ-ნელა ვაკეთებთ ჩვენს საქმეს. ვიკრებთ თანამოაზრეებს, მაგრამ, უახლოეს მომავალში, ჩვენ ის ბირთვი გავხდებით, რომლის გარშემოც გაერთიანდება საქართველოს ოპოზიციის გარკვეული ნაწილი და მოითხოვს შევარდნაძის გადადგომას, პარლამენტისა და პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებს.

**— იმისი, ვინც შევარდნაძეს შეცვლის, ალბათ, არავის არ შეშურდება: ეკონომიკა დაქცეულია, ხალხი – გაღატაკებული.**

— პირველი, რაც უნდა გააკეთოს ახალმა ხელმძღვანელობამ, ის არის, რომ უნდა დაიწყოს მკაცრი ბრძოლა კორუფციასთან ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. მთელი პასუხისმგებლობით გიცხადებთ: თუ ის ძალები გაიმარჯვებენ, რომლებსაც მე წარმოვადგენ, ზუსტად ექვსი თვის შემდეგ, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში არ იქნება არც ერთი კორუფციონერი. ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად ზუსტი, დახვეწილი სისტემა, რათა ვერც ერთმა მოხელემ – კორუფციონერმა თავი ვერ აარიდოს სასამართლოს. ამასთან, ეს აბსოლუტურად გამჭვირვალე სისტემაა. ამ ხალხს ჩვენ ღიად გავასამართლებთ. უკვე მზადა გვაქვს კანონთა, ბრძანებულებათა, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების პროექტები. ყოველივე ამას გავახმოვანებთ, რათა ქართველი ხალხი დაეთანხმოს ჩვენს წინადადებებს. პირველ რიგში უნდა დავამარცხოთ კორუფცია ზედა ფენებში. მივიჩნია, რომ დღეს საგანგებო სიტუაცია შეიქმნა და ღონისძიებანიც საგანგებო უნდა განვახორციელოთ. სხვაგვარად არ შეიძლება. მე არ ვამბობ, რომ მთლიანად დავამარცხებთ კორუფციას ხელისუფლების ყველა ეშელონში. მაგრამ მისი ისეთ დონემდე მიყვანა, რათა სახელმწიფოს საფრთხეს აღარ უქმნიდეს, რეალურია. როგორ გავაკეთოთ ეს, ჩვენ ვიცით.

**— ეს მეტად პასუხისმგებლური განცხადებაა. თუკი იცით, რა თანხაზეა ლაპარაკი, არ გეშინიათ რომ საფრთხე შეექმნება თქვენს სიცოცხლეს?**

— არის სერიოზული, შემოწმებული ინფორმაცია, რომელიც ადამიანთა მხოლოდ ვიწრო წრემ იცის: ედუარდ შევარდნაძეს მჭიდრო კონტაქტები აქვს კანონიერ ქურდებთან. უფრო მეტიც, ვიცი, რომ იგი გარკვეულ წრეებში პირადად შეხვდა ავტორიტეტებიან კანონიერ ქურდს და ჩემი მოკვლა დაავალა. როცა ამ ქურდს „შეკვეთა გადასცეს“, მან არც კი დაიჯერა, რომ ეს პრეზიდენტისაგან მოდიოდა და მასთან პირადი შეხვედრა მოითხოვა. ასეთი შეხვედრა გაიმართა.

**— იქნებ, დაასახელოთ ეს კაცი?**

— იგი ვინმე კალამოვია. მან შევარდნაძისაგან მიიღო სახლი საკუთრებაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს პერსონალური დაცვა. ამისათვის კალამოვი ჩემს მოკვლას შეპირდა. ვნახოთ... სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ეს ჩემზე პირველი „შეკვეთა“ როდია. თავდაპირველად ჩემს „გასაღებას“ ბერეზოვსკი ჰპირდებოდა. შემდეგ შევარდნაძეს ამჟამად რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მიერ ძებნილი ტვ-6 დირექტორთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ბადრი პატარკაციშვილი შეპირდა, რომ ჩემს თავს ლანგარით მიართმევდა. მაგრამ, არა მგონია, რომ ბადრის ახლა ჩემთვის სცხელოდეს. მას თავისი პრობლემები გაუჩნდა.

იმათ კი, ვინც ჩემზე „შეკვეთებს“ იღებს, მინდა შევახსენო ძველ ეგვიპტელთა ნათქვამი: „ვინც ჰკლავდა, თვითონ იქნება მოკლული. ვინც მოკვლის ბრძანებას იძლეოდა, მას ბრძანებით კლავენ“.

**— საქართველოს ძალოვან სტრუქტურათა შემადგენლობაში არც ისე დიდი ხანია შეიქმნა სადაზვერვო დეპარტამენტი. რისთვის, მეზობელთა წინააღმდეგ დაზვერვა რომ აწარმოოს?**

— რაკი ვიცი, თუ როგორია დღეს ფინანსური ვითარება საქართველოში, არ ვილაპარაკებ საქართველოს დაზვერვაზე, როგორც ასეთზე. საქართველოს დაზვერვას სამოყვარულოსაც კი ვერ უწოდებ. აი, რის მოწმე გავხდი, როცა 1993 წელს ჩემი თანამდებობა დავიკავე: საქართველოს სპეცსამსახურებმა უკვე მაშინ შესთავაზეს სხვებს თავიანთი თავი, (არ დავასახელებ, სახელდობრ რომელ სპეციალურ სამსახურებს), როგორც ინსტრუმენტი სხვა ქვეყნების წინააღმდეგ სადაზვერვო საქმიანობისათვის.

**— რუსეთის წინააღმდეგაც?**

— არ დავაზუსტებ. ჩემი დიდი სინანულის მიუხედავად, იმის მოწმე გავხდი, რომ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივის ნაწილი საყიდლად შესთავაზეს დასავლეთის დაზვერვებს... 50 ათას დოლარად. დასავლეთის ერთ-ერთმა სადაზვერვო სამსახურმა ნახა ისინი და... უკან დააბრუნა (!), განაცხადა, რომ ისინი მათ არ აინტერესებს. არადა, იქ სხვათა შორის, იყო სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საზღვარგარეთის აგენტურის საქმეებიც. ერთ რამეს გეტყვით, რომელიც არსად და არასოდეს არ მითქვამს. რუსეთის დაზვერვის ზოგიერთ გახმაურებულ ჩავარდნას დასაბამი მისცა იმან, რომ ზოგიერთ ყოფილ რესპუბლიკაში სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივები დასავლეთში გაყიდეს. რაც შეეხება საქართველოს დღევანდელ დაზვერვის დეპარტამენტს, მისი ხელმძღვანელობის უპრინციპობა ის გახლავთ, რომ მზად არის მიეყიდოს ნებისმიერ დაზვერვას და იმუშაოს ნებისმიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

**— როგორია, თქვენი აზრით, საქართველოს როლი მომავალში?**

— თუ ავიღებთ დიდ კავკასიას, აქ თავმოყრილია ექვსი სახელმწიფოს – რუსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთისა და ირანის ინტერესები. სახელმწიფოებისა, რომლებშიც დაახლოებით 280 მილიონი კაცი ცხოვრობს. და აქ საქართველოს უნიკალური, საკვანძო მდებარეობა უკავია. ისტორიაში ასეც ამბობდნენ ხოლმე ვინც თბილისს ფლობს, ის კავკასიასაც ფლობსო. კავკასიის გასაღები თბილისშია. ჩემი აზრით, დღეს საქართველოს აქვს უნიკალური შესაძლებლობა იყოს სტუმართმოყვარე მასპინძელი დიდ კავკასიის სახლში და ყველა მიიპატიჟოს დაზავების დიდ მაგიდასთან. ჩვენ, ვინმეს გასაბრაზებლად არავის მხარეს არ უნდა გადავიხაროთ. ეს არ შეიძლება, თუ გვინდა შევინარჩუნოთ საქართველო და ქართველები როგორც ეთნოსი. ჩვენ თუ ხელისუფლებამდე დავუშვებთ „შევარდნაძისტთა“ კიდევ ერთ თაობას, არ გამოირიცხავა, რომ უახლოეს მომავალში გეოგრაფიის გაკვეთილზე, როცა ჯოხით აჩვენებენ მსოფლიოს რუკას, იტყვიან: „აი აქ, ბავშვებო, ოდესღაც იყო სახელმწიფო, რომელსაც საქართველო ეწოდებოდაო“.

**— რა მოუვა შევარდნაძეს, როცა იგი ხელისუფლებას დატოვებს?**

— პოლიტიკაში წინასწარმეტყველება უმადური საქმეა. არ მახსოვს ვინ თქვა, როგორც წესი, პოლიტიკაში მოდიან ბრწყინვალე მომავლით, ხოლო მიდიან საზარელი წარსულით. და მიმაჩნია, იმისათვის, რომ საქართველომ თავისი არსებობა სუფთა ფურცლიდან დაიწყოს, გამოვიდეს იმ ფეოდალურ-ბელადური წყობილებიდან, რომელშიც იგი ახლა იმყოფება, გახდეს თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფო, ჩვენ სასამართლოს უნდა გადავცეთ შევარდნაძის მთელი კლანი. ქართველი ერისათვის ეს უბრალოდ საჭიროა.

უკვე დღეს თითქმის შეგვიძლია ჩვენს ხალხს დავუბრუნოთ საქართველოსათვის მოპარული ფულის მეტი ნაწილი. საქმე ეხება რამდენიმე მილიარდ დოლარს, სად იმყოფება ეს ფული, ვიცით. ხალხს მას დავუბრუნებთ კანონიერი წესით, აბსოლუტურად ცივილიზებული გზით. ჩვენთვის ცნობილია კლანის თითქმის ყველა ანგარიში. და, რაც მთავარია, ქართველებს დავუბრუნებთ სიამაყეს, თვითშეგნებასა და ღირსებას, რაც დაივიწყეს შევარდნაძის მართვა-გამგეობის წლებში. ჩვენ ვალდებული ვართ გავასამართლოთ ეს კლანი, რათა საკუთარ თავში ამოვფხვრათ მონური მორჩილება, რომელიც შევარდნაძემ მოგვახვია თავს. ჩვენ შესაძლებლობა არ გვაქვს, მოსესავით ორმოცი წელი ვატაროთ უდაბნოში საკუთარი ხალხი, რათა ჩვენში ბოლო მონა ჩავკლათ. და ამ პროცესის დროს უნდა განვიწმინდოთ და მოვინანიოთ, თორემ ქართველები გავქრებით ისტორიიდან, როგორც პატარა, მაგრამ ამაყი ერი.

**ვლადიმერ ბოგდანოვი,**
**„როსიისკაია გაზეტა“.**
**2002 წლის 26 ივნისი.**

# იდეოლოგიური ომი ახალ ფაზაში შედის

დაკვირვებულმა მკითხველმა იცის: როგორც კი საქართველოში ცა მოიღრუბლება, ასე ვთქვათ, ვითარება დამძიმდება და სამხრეთის საინფორმაციო ბომბარდირების საჭიროება შეიქმნება, ჩრდილოელი მეზობელი მაშინვე დააძრობს სკივრიდან ჩვენში ასე ავად ცნობილ იგორ გიორგაძეს, მტვერს გადააცლის და რომელიმე გაზეთში მიუშვებს.

ახლა სწორედ ის მომენტია, როცა საჭიროა იგორ გიორგაძემ თავი შეახსენოს ხალხს: ხელახლა დასათვლელი ადგილობრივი არჩევნები, ჯერჯერობით გაურკვეველი წარმომავლობისა და დანიშნულების იარაღის პარტიის დაპატიმრება, ოპოზიციის ლამის მეუფარავი მოწოდება ხელისუფლების დამხობისაკენ...

და აი, „როსიისკაია გაზეტას“ 2002 წლის 26 ივნისის ნომერში გამოჩნდა კიდეც იგორ გიორგაძის ეს ვრცელი ინტერვიუ.

ოღონდ, თავიდანვე ხაზი უნდა გავუსვათ ერთ გარემოებას. ამჯერად ეს ინტერვიუ ყვითელმა პრესამ კი არ აიყვირა, არამედ დაიბეჭდა რუსეთის ერთადერთ ყოველდღიურ სახელმწიფო ოფიციალურ გამოცემაში, მთავრობის მიერ დაფუძნებულ, 482-ათასიანი ტირაჟით გამომავალ, სერიოზულ, სოლიდურ გაზეთში. „როსიისკაია გაზეტას“ სახელმწიფო დოკუმენტების ოფიციალური პუბლიკატორის სტატუსი აქვს, მათ მხოლოდ აქ გამოქვეყნების შემდეგ აქვთ სახელმწიფო დოკუმენტების ძალა.

ამ გაზეთის „რეგალიებზე“ მკითხველის ყურადღება იმიტომ შევაჩერეთ, რომ იქ დაბეჭდვით თვით ამ „ღონისძიების“ ორგანიზატორები უსვამენ ხაზს ინტერვიუს „გამორჩეულობას“.

ოღონდ: ამაოდ დაშვრნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერს ახალს და განსაკუთრებულს საქართველოს უშიშროების ექსშეფი არ ამბობს, იმასვე იმეორებს, რასაც მთელი 7 წლის მანძილზე დაუსრულებლად აცხადებს. სწორედ ამიტომ გადმოვბეჭდეთ იგი, რათა მკითხველი თავად დარწმუნდეს ამაში. თუმცა „როსიისკაია გაზეტას“ ვერ დავუკარგავთ: კითხვები ისეთი „გულუბრყვილო ეშმაკობით“ აქვს „სატოპკედ აწეული“, ღიმილს მოგგვრით.

პირველივე კითხვა მკითხველს ისე, რიგითად ატყობინებს, რომ თურმე უშიშროების სამსახურის გენერალი, ტერორიზმში ბრალდებული იგორ გიორგაძე, „საქართველოს მეთაურის პოსტის რეალური პრეტენდენტია“, ისიც გულმშვიდად უპასუხებს, „ჩემი რეიტინგი არჩევნებისათვის პრაქტიკულად შევარდნაძისას უტოლდებოდაო“. რომ არ გვახსოვს ეს? მისი რეიტინგი მართლაც მაღალი იყო, როგორც „კომანდორის“, როგორც სპეცსამსახურის მუშაკის, ბოლოს და ბოლოს, როგორც ტერორისტისა, მაგრამ „პრეზიდენტის პოსტის რეალური პრეტენდენტი“?

ესეც არ იყოს, ყოველთვის რომ იმას ამტკიცებდა, ედუარდ შევარდნაძეს არავითარი რეიტინგი არ აქვს, არჩევნების გაყალბების გზით გახდა პრეზიდენტიო, ახლა, საკუთარი „რეიტინგის“ წამოწევა რომ დასჭირდა, უმალ პრეზიდენტის რეიტინგი დაიტოლა!

სიახლეს, რა თქმა უნდა, არც გიორგაძისეული „შევარდნაძის კლანის გამოაშკარავება“ შეიცავს.

მაგრამ ინტერვიუ მაინც უღიტინებს მკითხველის ნერვებს: გიორგაძეს „საქართველოს პრობლემათა გადაჭრის პოლიტიკური რეცეპტები“! ჰქონია.

თურმე ემიგრაციაში ყოფნისას გულხელდაკრეფილი არ მჯდარა, შეუპოვრად უშრომია და გადაჭრის გზაც უპოვია. ეს კია, მისი ეს ღვაწლ, რაღაც ძალიან ჰგავს ილიასეული რუსი აფიცრის შრომას, შაქრის ქურდობის პრობლემა ბუზის საშუალებით რომ გადაჭრა. ოღონდ, იმ აფიცრისგან განსხვავებით, გენერალი გიორგაძე, რა თქმა უნდა, მკითხველს ჯერ ვერ გაუმხელს თავის გამოგონებას.

გაუმხელს მხოლოდ მას შემდეგ, როცა „ის ძალები გაიმარჯვებენ, რომელსაც მე წარმოვადგენ“. ასევე, ხელისუფლებაში მოსვლიდან ზუსტად ექვსი თვის შემდეგ აღარ დასტოვებს არც ერთ კორუფციონერს, საქართველოს დაუბრუნებს მათ მიერ ნაძარცვ თანხებს, რომელთა ასავალ-დასავალი ბატონმა იგორმა ზუსტად და დამისამართებულად იცის.

„სიახლეა“ ისიც, რომ თურმე შევარდნაძეს „მჭიდრო კონტაქტები აქვს კანონიერ ქურდებთან“. ჩვენ ახლახან შევიტყვეთ, საქართველოს პრეზიდენტი უკვე ათეული წლებია ნარკობარონიაო, ახლა კი, აი, „კანონიერი ქურდების“ მეგობარიც ყოფილა. შაქრო კალამოვი (შაქრო მალადოი), რომლის სახელიც ახლახან მცხეთასთან დაკავებული იარაღის პარტიის საქმესთან დაკავშირებით გახმიანდა, თურმე ედუარდ შევარდნაძის დავალებით იგორ გიორგაძის მოკვლას აპირებდა.

აქედან ვარაუდი: ხომ არ მონაწილეობს საქართველოს პრეზიდენტი იარაღით ვაჭრობაშიც? არ გაგიკვირდეთ, რომელიმე „ორაკულმა“ ეს ვერსიაც რომ წამოჭრას სამამულო თუ უცხოური პრესით!

გასაგებია იგორ გიორგაძის სულისკვეთება, საბას არაკის აბეზარივით, სოფელში არ აყენებდნენ და მამასახლისად ამირჩიეთო, რომ იჭაჭებოდა. მაგრამ რა რჯის ისეთ პატივცემულ გაზეთს, როგორიც „როსიისკაია გაზეტაა“, სადღაც გადასაკარგავში, „ორი სახელმწიფოს საზღვარზე“ საიდუმლოდ შეხვდეს ტერორიზმისთვის ძებნილ გენერალს და მისი მტრული, სიძულვილით სავსე განცხადებები ქვეყანას მოჰფინოს. რა მიზანს ისახავს, რა მუცლის გვრემა აქვს?

საქმე ის არის, რომ საქართველოს წინააღმდეგ იდეოლოგიური ომი ახალ ფაზაში შედის. ალბათ, უარესებს უნდა ველოდეთ!

„სრ“, რედაქცია.

# ევროპაში დაინტერესდნენ ბუშის სამშვიდობო გეგმით

**ხუთშაბათს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მისი საახლოაღმოსავლეთო ინიციატივით დაინტერესდნენ ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები.**

ვლადიმერ პუტინთან ჯორჯ ბუშის შეხვედრის დროს, რომელიც გაიმართა დიდი რვეულის კანანსკისის სამიტის ფარგლებში, მან თქვა: „ევროპის ლიდერები მიხვდნენ, რომ მშვიდობის მისაღწევად საჭიროა ცვლილებები, მათ შორის გამჭვირვალობა, დემოკრატია და კორუფციასთან ბრძოლა“.

თეთრ სახლში გამოსვლისას ბუშმა თქვა, რომ მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში არ იქნება მანამ, სანამ არაფატის ადგილს არ დაიკავებს სხვა ლიდერი.



ზოგიერთმა ევროპელმა ლიდერმა, რომელთა შორისაც იყო ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი, ფრთხილად შეაპარა, რომ პალესტინელები თავად გადაწყვეტენ, ვინ უნდა იყოს მათი მეთაური. ასეთივე აზრი გამოთქვა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბილ გრემმა.

დიდი რვეულის შეხვედრაზე გადაწყდა, 20 მილიარდი დოლარი გამოიყოს რუსეთის მასობრივი მოსპობის იარაღის გასანადგურებლად. ამოცანა ის არის, რომ იგი ხელში არ ჩაუვარდეთ საერთაშორისო ტერორისტებს.

როგორც ბი-ბი-სის მიმომხილველს სტივენ დიქსს მიაჩნია, ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიც უნდა ილაპარაკონ დიდი რვეულის სამიტზე, რუსეთი მზად არის პლანეტის უდიდესი ინდუსტრიული სახელმწიფოების კლუბის წევრი გახდესო, მოსკოვს ჯერჯერობით მაინც სჭირდება დახმარება საზღვარგარეთიდან.

სტატისტიკის მიხედვით, რუსეთის ეკონომიკას მართლაც ვერ მიაკუთვნებ ყველაზე გავლენიანთა სიას. არადა, დიდი რვეული ხომ, უწინარესად, ეკონომიკური გაერთიანებაა და არა პოლიტიკური.

შესაძლოა, რუსეთის ფინანსურ პრობლემებზე მსოფლიო თვალს ხუჭავს ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი გეოგრაფიულად რუსეთი მსოფლიოს ყველაზე დიდი ქვეყანაა, მეორე კი – მისი ბირთვული არსენალი დღემდე კვლავ სტრატეგიული შეკავების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ყოველივეს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთის ბირთვული არსენალების თემა კანანსკისის სამიტზე შეკრებილი დიდი რვეულის ლიდერთა ინტერესს იწვევს. სწორედ კანადის ამ ქალაქში თქვა ვლადიმერ პუტინმა, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ ამერიკა-რუსეთის ხელშეკრულება უკვე სათათბიროში გაიგზავნა რატიფიკაციისათვის.

80-იანი წლების დამლევიდან, როდესაც სსრ კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი პირველად ალაპარაკდა იმაზე, რომ საჭიროა თანამშრომლობა მაშინდელ დიდ შვიდეულთან, მსხვილი ინდუსტრიული სახელმწიფოების ამ კლუბის ურთიერთობა მოსკოვთან სულ უფრო მჭიდრო ხდებოდა.

ჯერ იყო და შეიმუშავეს ფორმულა „შვიდი პლუს ერთი“, შემდეგ კი, 1998 წლის აგვისტოში რუბლის კურსის დაქვეითების შემდეგ, გადაწყდა „პლუს ერთზე“ დროებით უარი ეთქვათ.

რუსეთმა კრიზისი, ბევრის აზრით, დაძლია. და რაც უფრო სტაბილური ხდებოდა მისი ეკონომიკა, მით უფრო ჩქარდებოდა უკუმოძრაობა – ჯერ ნაცადი ფორმულის „შვიდი პლუს ერთისაკენ“, ახლა კი შვიდეულის რვეულად გადაქცევისაკენ.

ამ პროცესის მიმდინარეობაზე განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებდნენ პოლიტიკური მოვლენები. როდესაც კრემლი დათანხმდა, რომ ჩაებმებოდა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მსოფლიო გაერთიანების ბრძოლაში, რუსეთს, ალბათ, ჯილდოს იმედი ჰქონდა.

ახლა, როგორც ჩანს, ჯილდო მიიღო. ევროკავშირმა და შეერთებულმა შტატებმა უკვე ცნეს რუსეთი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნად. რვეულში შესასვლელად რუსეთს ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა და ეკონომიკური სტატისტიკა განსაკუთრებულ როლს არ ასრულებდა იმაში, თუ როდის გადაიდგმებოდა იგი.

# გაერო: ჩინეთს შიდსის ეპიდემია ემუქრება

**თუ ჩინეთი რამეს სასწრაფოდ არ იღონებს, ქვეყანას შიდსის კატასტროფული ეპიდემია ელის. ეს ნათქვამია გაეროს შიდსთან ბრძოლის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში, რომელშიც მოყვანილია მონაცემები იმის შესახებ, რომ გასული წლის დამლევისათვის ჩინეთის დაახლოებით მილიონნახევარი მცხოვრები დასნებოვნებულია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით, რომელიც შიდსის გამომწვევია. ორი წლით ადრე დასნეულებული იყო 500 ათასი კაცი.**



სააგენტოს მიაჩნია, რომ თუ არ განხორციელდება ეფექტიანი ღონისძიებები, 2010 წლისათვის ამ ინფექციით დაავადებულთა რიცხვი ჩინეთში 10 მილიონს მიაღწევს. გაეროს აზრით, ჩინეთის მთავრობა ჯეროვნად არ იბრძვის დაავადების წინააღმდეგ.

ჩინეთის მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებები წერდნენ, რომ შიდსი სწრაფად ვრცელდება ხენანის პროვინციაში, რომელიც უპირატესად გლეხებით არის დასახლებული. პროვინციის ათიათასობით სოფლის მცხოვრებნი დაავადდა სისხლის ჩაბარებისას დონორთა არალეგალურ პუნქტებში, სადაც არ იცავენ ჰიგიენის სათანადო წესებს. მთავრობამ განაცხადა, რომ უფრო გულდასმით შეამოწმებენ სისხლს, რომელიც შიდსის გავრცელების მთავარი მიზეზია ჩინეთში. მაგრამ უფრო ხშირად შიდსი სქესობრივი გზით გადადის.

გაეროს მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჩინეთმა მეტი პროპაგანდა უნდა გაუწიოს უსაფრთხო სექსს და საინექციოდ გამოიყენოს სტერილური ნემსები.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ბევრმა ჩინელმა არ იცის, როგორ ვრცელდება დაავადება და ფიქრობს, რომ მისი გამომწვევია კოღოს ნაკბენი ან ხელის ჩამორთმევა.

აქამდე, შიდსთან ბრძოლას ჩინეთში ეწეოდა მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. გაერო აცხადებს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. იგი მოუწოდებს ჩინელ პოლიტიკოსებს სათავეში ჩაუდგნენ შიდსის წინააღმდეგ ბრძოლას და საჯაროდ გაუწიონ პროპაგანდა უსაფრთხო სექსს.

როგორც ბი-ბი-სის პეკინელი კორესპონდენტი იტყობინება, ჩინეთის კონსერვატორულ კულტურაში ზოგჯერ სექსზე ლაპარაკიც კი აკრძალულია.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**ლია გოგიჩაიშვილმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# სახიობა

თეატრალური გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკის"
ყოველთვიური დამატება

№6 (66)


...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

**სანდრო ახმეტელი.**

## კოტე მარჯანიშვილი — 130

**„მე უკვე გავჭაღარავდი, მოხუცებულობაში შევდგი ფეხი, და თეატრი ჩემი ერთადერთი შეყვარებულია, რომლისთვისაც ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ მიღალატია".**

**კოტე მარჯანიშვილი.**

რაოდენ დიდი პათოსი, რომანტიკა და სულის სიფაქიზეა ჩაქსოვილი ამ თქმაში! მარჯანიშვილის მთელი ცხოვრება თეატრალური ხელოვნებისადმი თავითშეწირვის მომხიბლავი მაგალითია, სადაც უხვადაა განფენილი წარმატებისა თუ სასოწარკვეთის, აღზევებისა თუ დაცემის, ერთგულებისა თუ ღალატის ამსახველი წინაალმდეგობრივი ფაქტები. ეს კანონზომიერებაა — ასეთია ხვედრი ხელოვანისა, მით უფრო ისეთი ბობოქარი, თავისუფლებისმოყვარე, ქედმოუხრელი, უკომპრომისო ხელოვანისა, როგორც კოტე მარჯანიშვილი იყო.

რაც დრო გადის, მით უფრო ფართოვდება შარავანდედის რკალი მარჯანიშვილის სახელის ირგვლივ. წლებმა დაადასტურა მისი მოღვაწეობის სიდიადე, განსაკუთრებული როლი ქართული თეატრის ახალ საფეხურზე აყვანის საქმეში. იგი მაშინ მოევლინა საქართველოს, როდესაც ერთადერთი პროფესიული დრამატული თეატრი სულს ღაფავდა. ერის მამებმა მეტად სამძიმო, უკიდურესი გადაწყვეტილების მიღებაც კი სცადეს — თეატრს დროებით შეეწყვიტა არსებობა. ამ მომაკვდინებელი ვერდიქტის გამოტანამდე, ინტელიგენციის ერთი ჯგუფის ინიციატივით, რომელსაც იოსებ გრიშაშვილი და პაოლო იაშვილი თავკაცობდნენ, გადაწყდა თბილისის რუსული დრამატული დასის მოპატიჟებით საქართველოში მყოფი კოტე მარჯანიშვილის საკონსულტაციოდ მოწვევა. კოტემ მოითხოვა ქართული თეატრის ერთი წარმოდგენა მაინც ეჩვენებინათ მისთვის, რათა აზრი გამოეთქვა. უჩვენეს ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?" სპექტაკლის შემდეგ მარჯანიშვილმა მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ განაცხადა, რომ თეატრს ნიჭიერი მსახიობები ჰყავს, რითაც ყველას აგრძნობინა — დახურვა კი არა, ქართულ თეატრს განახლება სჭირდებოდა! კოტე მარჯანიშვილს ლიტონი სიტყვები არ სჩვეოდა, იგი საქმით აგვირგვინებდა ყველა თავის გადაწყვეტილებას. იმხანად მას უცხოეთში, კერძოდ ამერიკაში გამგზავრება ჰქონდა განზრახული, მაგრამ როდესაც დაინახა ქართული თეატრის გასაჭირი, მოქალაქეობრივმა მოვალეობამ იძალა და ამ გრძნობამ მშობლიური თეატრის აღმშენებლობის სათავეში მოაქცია.

1922 წლის 25 ნოემბერი, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს" პრემიერის თარიღი, ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში ახალი ეპოქის დასაწყისად არის მიჩნეული. მარჯანიშვილის ბრწყინვალე რეჟისურის გარდა, სპექტაკლში გამობრწყინდა საზოგადოებრიობისათვის მანამდე უცნობი ახალგაზრდა მსახიობი თამარ ჭავჭავაძე ლაურენსიას გმირულ-ჰეროიკულ როლში და ახევე ახალგაზრდა, თუმცა მაყურებლისათვის უკვე ნაცნობი მსახიობი აკაკი ვასაძე (მენგო), რომლის ხინთეზური აქტიორული მონაცემები კ. მარჯანიშვილმა სულ სხვა ხარისხში წარმოაჩინა.

მანამ კი მარჯანიშვილი რუსეთის თვალუწვდენელი იმპერიის სხვადასხვა თეატრში 25 წლის მანძილზე ქმნიდა, ეძიებდა, ხვეწდა თავის რეჟისორულ ხელოვნებას და თანდათანობით გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებდა მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყნის თეატრალური ხელოვნების სარბიელზე. იმხანად ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა სფეროში, მათ შორის თეატრსა და დრამატურგიაში იჩერგებოდა და მკვიდრდებოდა სხვადასხვა სახის მოდერნული, დეკადენტური, სიმბოლისტურ-იმპრესიონისტული მიმდინარეობანი. კოტე მარჯანიშვილი, როგორც მრავალმხრივი ინტერესებით გარემოსილი, ყოველგვარ სიახლეთა თანამდევი, იმპულსური და საოცრად მგრძნობიარე ადამიანი, ბუნებრივია თანამედროვე მოვლენათა შუაგულში იმყოფებოდა და ამ მიმდინარეობათა ყველა სიკეთეს ღრუბელივით ისრუტავდა თავის შემოქმედებაში, თუმცა ბრმად არ მიჰყვებოდა მოდურ გატაცებებს, არასდროს არ ღალატობდა თავის ბუნებას, ნამდვილ მოწოდებას — თეატრალიზებული ფორმით ფსიქოლოგიური სიმართლისა და რეალიზმის დამკვიდრებას სცენაზე.

მარჯანიშვილს გაუმართლა როცა გზის დასაწყისშივე იგი შეხვდა ისეთ ანტრეპრენიორს, მსახიობსა და რეჟისორს, როგორიც იყო ახალგაზრდა კონსტანტინე ალიაზოვი — სცენაზე ნეზლობინის გვარით რომ იყო ცნობილი. რუსეთიდან მან რიგაში გადაინაცვლა, სადაც რუსული თეატრი გახსნა და სწორედ იქ მიიწვია კ. მარჯანიშვილი. მისმა სპექტაკლებმა დიდი გა-

# ლეგენდა



მოძახილი ჰპოვა. აღნიშნავდნენ რეჟისორულ გამომგონებლობას და მსახიობებთან მუშაობის განსაკუთრებულ უნარს. მარჯანიშვილის რეჟისორული ნოვატორობის შესახებ აზრი იმდენად მომწიფდა, რომ 1904 წელს გამოჩენილი რუსი მსახიობი ალექსანდრე ლენსკი საიმპერატორო თეატრში იწვევს რეჟისორად, რაც მისი ნიჭის აღიარების დამადასტურებელი იყო. 1905 წლის რევოლუციის მოახლოებულმა კატაკლიზმებმა ამ მოწვევის რეალობა სათუო გახადა.

რიგის თეატრში მოღვაწეობისას კ. მარჯანიშვილი მაქსიმ გორკის დაუახლოვდა. აქ დადგმული სპექტაკლებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა სწორედ გორკის „მოაგარაკენი". მაყურებელმა იგი ისეთი აღფრთოვანებით მიიღო, რომ ნეზლობინმა გადაწყვიტა ამ წარმოდგენით მოსკოვში ჩასვლა. თვით მარჯანიშვილის აზრით: „ეს დიდი სითამამე იყო, რადგან მოსკოვი არავის უთმობდა თავის თეატრალურ პირველობას. პეტერბურგელებიც კი, რომელნიც მოსკოვში საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ, დამარცხებულნი ბრუნდებოდნენ უკან. პროვინციული თეატრის დედაქალაქში ჩამოსვლის ფაქტი კი არგაგონილი ამბავი იყო". ნიკიტინის თეატრს, სადაც წარმოდგენა იმართებოდა, დიდძალი ხალხი მიაწყდა. მთელი თეატრალური მოსკოვი იქ იყო. სპექტაკლის შემდეგ ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. მარჯანიშვილის გასაცნობად კულისებში შევიდნენ — სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, სუმბათაშვილ-იუჟინი... იქვე მიიღო მიწვევა კორშისაგან თავის თეატრში. ამასთან დაკავშირებით, კოტე მარჯანიშვილის „ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში" ვკითხულობთ: „სწორედ ერთი წლის წინათ მე ყველასათვის უცნობი ვიყავი, ნახევრად მშიერი და დამწყები რეჟისორი, ახლა კი მოსკოვში ვისმენ პროფესორების, კრიტიკოსების, მსახიობებისა და თეატრის მოყვარულთა სადღეგრძელოებს. ადამიანის ცხოვრებაში არის დიდი, ნათელი დღეები — ამ დღემ მე მომცა ის ბედნიერება, რომ მოსკოვმა მცნო".

სულ მალე — ნეზლობინისაგან წამოსვლა, ისევ სხვადასხვა პროვინციული ქალაქები, სხვადასხვა თეატრები... შემდეგ კვლავ ნეზლობინთან მუშაობა, ამჯერად უკვე მოსკოვში, თუმცა უთანხმოებამ კვლავ იჩინა თავი და უთეატროდ დარჩენილ მარჯანიშვილს ბულგარეთის ხელისუფლება სოფიის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორობას და ამასთანავე, პროვინციული თეატრების საერთო ხელმძღვანელობას სთავაზობს. ანაზღაურება სოლიდური, პირობები ჩინებული. მარჯანიშვილი მეტად კმაყოფილია, ავანსი და სამგზავრო ბილეთი ხელთა აქვს, მაგრამ ბედმა მას უფრო დიდი სიურპრიზი მოუმზადა — სრულიად მოულოდნელად, მისთვის და იმხანად ყველა რეჟისორისათვის საოცნებო სამხატვრო თეატრმა მიიწვია, სადაც ოთხი სეზონი დაჰყო (1909-1912 წ.წ.). ამ წლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის შემოქმედებაში.

მარჯანიშვილის მისვლა დაემთხვა დიდი ინგლისელი რეჟისორის გორდონ კრეგის მუშაობას „ჰამლეტზე". კრეგს ეხმარებოდნენ სტანისლავსკი და სულერჟიცკი. შემდეგ მათ, სტანისლავსკის სურვილით, მარჯანიშვილიც მიემატა. ისინი ძირითადად მსახიობებთან მუშაობდნენ, სტანისლავსკი — ჰამლეტთან (კაჩალოვი), მარჯანიშვილი — ოფელიასთან (გზოვსკაია). საბოლოოდ, მოხდა ისე, რომ ორი წლის თავზე კრეგმა მიატოვა მუშაობა და სპექტაკლის დასრულება მთლიანად მარჯანიშვილს მიანდეს. სამხატვრო თეატრში კ. მარჯანიშვილმა თავისივე ინსცენირების მიხედვით, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად, განახორციელა დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვების" დადგმა. ინსცენირების სტრუქტურა არ იძლეოდა სამხატვრო თეატრში ფესვგადგმული, ტრადიციად ქცეული დეკორაციების აგების საშუალებას და პირველად ამ თეატრის ისტორიაში გაჩნდა სპექტაკლი პირობითი დეკორაციებით. ფაქტობრივად, ეს მარჯანიშვილის იდეების შეღწევას ნიშნავდა სამხატვრო თეატრში.

„კარამაზოვების" შემდეგ ნემიროვიჩ-დანჩენკომ მარჯანიშვილს შესთავაზა კნუტ ჰამსუნის პიესა „ცხოვრების ბრჭყალებში", ამ დამოუკიდებელ დადგმაში თვალნათლივ გამოჩნდა რეჟისორის სავსებით განსხვავებული მხატვრულ-ესთეტური სტილისტიკა, ფერთა ნაირგვარობა, შინაგანი ექსპრესია, ტემპერამენტი, რაც უპირისპირდებოდა სამხატვრო თეატრის დამაარსებელთა მრწამსს: **„მე ვგრძნობდი როგორ იღვიძებდა სულში ჩემი სამშობლოს მზე, როგორი სიმძაგით ამოძრავდა ჩემს ძარღვებში სისხლი, ქართული სისხლი! „ცხოვრების ბრჭყალებში" იყო ჩემი პირველი ქართული სპექტაკლი..."**

სამხატვრო თეატრიდან წამოსვლის შემდეგ მარჯანიშვილმა აისრულა ყველაზე სანუკვარი ოცნება და 1912-13 წლებში სინთეზური თეატრი ჩამოაყალიბა, რომელსაც „თავისუფალი თეატრი" უწოდა, შემოქმედებითი თავისუფლების თვალსაზრისით — ყველა ჟანრს (დრამა, ოპერა, ოპერეტა, პანტომიმა) დაუთმო ასპარეზი. ეს უპრეცენდენტო შემთხვევა იყო. ამ თეატრმა, სამწუხაროდ, მხოლოდ სეზონნახევარი იარსება, რადგანაც მეცენატმა სუხოდოლსკიმ შეუწყვიტა დაფინანსება; თუმცა, ამ ერთმა სეზონმა ღრმა კვალი გააჩნდა თეატრალური მოსკოვის ცნობიერებაში: მუსორგსკის ოპერა „სოროჩინის ბაზრობა", ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერი ელენე", პანტომიმა „ბეატრისას მოსასხამი", დრამატული სპექტაკლი „ყვითელი კოფტა", — თეატრის თავისთავადობაზე, რეჟისორული ფანტაზიის ულევ რესურსებზე მეტყველებდა.

რუსეთის იმპერიაში კოტე მარჯანიშვილის ხანგრძლივ მოღვაწეობას აგვირგვინებს კიევში მის მიერ 1919 წელს დიდი წარმატებით განხორციელებული ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო": „თამაშის სიხარული, ტემპერამენტი სიცოცხლის. მოყვარული ადამიანებისა, გრძნობათა მთელი სიხარულით ანათებდნენ, გვწვავდნენ. ეს გააკეთა თეატრში ფერთა თამაშის პოეტმა — რეჟისორმა მარჯანოვმა". ასეთი აღფრთოვანებით შეაფასა უკრაინელმა პრესამ სპექტაკლი. შემთხვევითი არ იყო, როდესაც მარჯანიშვილმა საქართველოშიც ლოპე დე ვეგას იგივე პიესით გახსნა სეზონი. დრამატურგიულ ღირსებებთან ერთად, რეჟისორი იმხანად არსებულ რევოლუციურ სულისკვეთებასაც ითვალისწინებდა.

მომდევნო პრემიერად კ. მარჯანიშვილმა ქართველ მაყურებელს შესთავაზა ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში". „ამ დღესაც ისეთივე სიხარული განიცადა ჩვენმა ხალხმა, როგორც „ცხვრის წყაროს" პრემიერაზე. ველარ იცნობდით ზურაბ ანტონოვის ნაწარმოებს. საიდან აღადგინა კოტემ ამდენი დეტალი და ნიუანსი, თავისი ხალხის ზნე-ჩვეულება. როგორ გადმოსცა, როგორი სინატიფით უჩვენა მაყურებელს ძველი თბილისის პოეზია? ის ხომ 25 წელზე მეტ ხანს მოწყვეტილი იყო სამშობლოს?! მაგრამ როგორ უყვარდა მას თავისი ერი, როგორ გრძნობდა მშობლიური ხალხის მაჯისცემას!" (დოდო ანთაძე — „დღეები ახლო წარსულისა", თბილისი,1971 წ.).

რუსთაველის თეატრში ოთხი სეზონის განმავლობაში კ. მარჯანიშვილმა ბევრი საინტერესო დადგმა განახორციელა, მათ შორის ერთობლივი დადგმები სანდრო ახმეტელთან, მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება ხვდა „ჰამლეტს" უშანგი ჩხეიძის მონაწილეობით. აქ გამოჩნდა მარჯანიშვილის, როგორც რეჟისორ-პედაგოგის უდიდესი ძალა. ფაქტიურად იგი ყველა თავის კეთილისმყოფელსა და თავგადადებულ მრჩეველს დაუპირისპირდა, რომელნიც დაჟინებით მოითხოვდნენ ჰამლეტის როლზე არ აეყვანა დანიის პრინცისთვის სრულიად შეუფერებელი მსახიობი უშანგი ჩხეიძე, რომელსაც ამ პერსონაჟისათვის არც გარეგნობა უწყობდა ხელს და არც შინაგანი ძალა. გაიმარჯვა მარჯანიშვილის ინტუიციამ და მსახიობის ბუნებაში წვდომის საოცარმა უნარმა — უშანგიმ არნახულ შედეგს მიაღწია.

კოტეს მახვილ თვალს არც რეჟისორული ნიჭიერების ამოცნობა უჭირდა. სანდრო ახმეტელის დიდი ნიჭი მისი მეთვალყურეობით შლიდა ფრთებს. ახმეტელს მარჯანიშვილის მოწაფედ, მისი სკოლის მიმდევრად თვლიან, თუმცა ორი სავსებით განსხვავებული ხელწერის რეჟისორი იყო. სწორედ ახმეტელის ეს თავისთავადობა მოსწონდა მარჯანიშვილს და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მისი ტალანტის გამოვლენას. სამწუხაროდ, რუსთაველის თეატრიდან მარჯანიშვილის წასვლის ძირითადი მიზეზი ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით არსებული ახალგაზრდული კორპორაცია — „დურუჯის" საქმიანობა გახდა, რამაც საბოლოოდ დაამსხვრია ამ ორი გენიალური რეჟისორის ურთიერთობები.

უთეატროდ დარჩენილმა მარჯანიშვილმა 1926 წელს კინოში გადაინაცვლა, მაგრამ გამოჩნდა, რომ მისი ნამდვილი მოწოდება, მისი სტიქია, თეატრია! ისეთი მიზანსწრაფული და ენერგიული ადამიანი, როგორიც კოტე მარჯანიშვილი იყო, რომელსაც რუსეთში „ცეცხლისმფრქვეველი გიგანტი რეჟისორი" შეარქვეს, სცენის გარეშე დიდხანს ვერ იარსებებდა და 1928 წელს მის მიერ შექმნილმა ქუთაის-ბათუმის თეატრმა პირველ პრემიერად წარმოადგინა ერნსტ ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!". ამავე სეზონში მარჯანიშვილმა კიდევ ხუთი დადგმა განახორციელა: ბერნარდ შოუს „წმინდა ქალწული", შალვა დადიანის „კაკალ გულში", კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა", კარლო კალაძის „როგორ", პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი". თითოეულ მათგანში არანაკლებ ძალით გამოვლინდა როგორც თვით მარჯანიშვილის რეჟისორული პალიტრის უკიდეგანო თვალსაწიერი, ასევე მის მიერ აღზრდილ მსახიობთა მთელი პლეადის განსაცვიფრებელი აქტიორული ინდივიდუალობა და გარდასახვის უნარი. აკი შემდგომ, როდესაც მარჯანიშვილის მიერ შექმნილი თეატრი საგასტროლოდ ეწვია ხარკოვსა და მოსკოვს, ქებათა-ქების ამსახველ რეცენზიებში ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ამ პატარა თეატრის დასი მსოფლიოს ნებისმიერი დიდი თეატრის სცენას დაამშვენებდაო. ეს შეფასება თავისთავად არ გაჩენილა — იგი მარჯანიშვილის განსაკუთრებულ პედაგოგიურ ნიჭსა და უნარს უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ვერიკო ანჯაფარიძის საოცრად წრფელი აღსარება-მოგონება: „მახსოვს 1938 წელს მოსკოვში ერთი კრიტიკოსის შეკითხვაზე — ვისი შექმნილია ჩემი იუდითის სახე „ურიელ აკოსტადან", მე დაუფიქრებლად ვუპასუხე — ჩემი-მეთქი, და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ შემრცხვა ამ პასუხის. მხოლოდ თეატრში ცხოვრების დიდი გზის გავლის შემდეგ მივხვდი, რომ „იუდითის ავტორი მარჯანიშვილია და არა მე" (კრებული — „კოტე მარჯანიშვილი", თბილისი, 1961 წ.).

როგორც აღვნიშნე, დრო ყველაზე უტყუარი შემფასებელია შემოქმედის. ხელოვანის მიერ განვლილი გზისა — იგი ან განადიდებს, ან გააცამტვერებს მას. ამ თვალთახედვით კოტე მარჯანიშვილის მთელი მოღვაწეობა მონუმენტურ ნიშანსვეტადაა აღმართული ქართული თეატრის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ლეგენდა.

**ვაჟა ძიგუა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 157. შაბათი, 29 ივნისი, 2002 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გასტროლების ექო

# ორი სპექტაკლი — ორი განწყობილება

**ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე გასტროლების დროს რეპერტუარში არსებული 16 სპექტაკლიდან მხოლოდ ოთხი ვიხილეთ. სავარაუდოა, რომ თეატრმა საუკეთესო სპექტაკლები შემოგვთავაზა. დასისთვის ეს გასტროლები ფრიად მნიშვნელოვანი იყო.**

ერთ-ერთი სპექტაკლია ახალგაზრდა მწერლის ირაკლი ჯავახაძის რომანისა და მოთხრობების მიხედვით დადგმული „შავი სიის კავალერები" (გრამატიკულად უფრო სწორი იქნებოდა „კავალრები"). პროგრამიდან ვიგებთ, რომ ეს არის ბულვარული დრამა ეროტიკისა და დეტექტივის ელემენტებით. პიესის ავტორად კი ლევან ლორთქიფანიძე იხსენიება. ალბათ, იგი ინსცენირების ავტორად უნდა წარმოედგინათ, თორემ გაუგებარი ხდება ირაკლი ჯავახაძე როგორი ავტორის როლში გვევლინება. სპექტაკლის გმირები – თანამედროვე ახალგაზრდები, ცხოვრებაში საკუთარი ადგილის მაძიებელნი არიან. ასეთი შინაარსის ნაწარმოებები ა. მორჩილაძის, ლ. თაბუკაშვილის ავტორობით უკვე დაიდგა კიდევაც თბილისის თეატრებში. გმირების მეტყველებას აქაც უწმაწური ჟარგონული ტერმინოლოგია ახასიათებს. მართალია, მაყურებელს სცენიდან თქმული ქუჩური ბილწსიტყვაობა ყოველთვის ეხამუშება, მაგრამ პროფესიულად დაწერილი ნაწარმოების მიხედვით კარგად დადგმულ სპექტაკლს ახალგაზრდობა მაინც ეტანება. შეიძლება საკამათო გახდეს, თავად ავტორის მიერ არჩეული ფორმა, სადაც პერსონაჟთა წარმოსაჩენად და მათი შინაგანი სამყაროს რღვევისა თუ ჩამოყალიბების პროცესის საჩვენებლად აუცილებლად უარყოფითი გმირები გამოიყენებიან.

სამწუხაროდ, ირაკლი ჯავახაძის სხვადასხვა ნაწარმოებები მთლიან სიუჟეტად ვერ შეიკრა. ამიტომაც სპექტაკლში თავი იჩინა ფრაგმენტულობამ. ეპიზოდების მონაცვლეობამ მოქმედების განვითარება ვერ განაპირობა, ვინაიდან ისინი გმირთა დახასიათებისთვის რაიმე ახალ შტრიხებს არ გვაძლევენ. ამიტომაც მოქმედება სადღაც გაწელილი აღმოჩნდა. ნუგზარ ლორთქიფანიძის ამ დადგმაში მთავარ გმირებთან მიმართებაში სრულიად დაუკავშირებელია ნიკას ბარს თავშეფარებული უბნის ბიჭების ჯგუფი, მხატვარი გოგი (ა. სახამბერიძე), რომელიც ახალგაზრდებს გასძახებს ხოლმე: „რას გარბიხართ, რამ შეგაშინათ", ხანაც აივანზე რაღაცას ხატავს, რაც მოქმედების ბოლომდე გაურკვეველი რჩება.

მთავარი გმირი, ახალგაზრდა პოეტი კოტე ბოხუაა, რომელსაც მსახიობი დათო როინიშვილი ასახიერებს. მან სრულყოფილად ვერ შესძლო თავისი პერსონაჟის სულიერი სამყაროს წარმოჩენის თუ მისი მსხვრევის პროცესის ჩვენება, რის გამოც ბოლომდე ერთფეროვანი და მონოტონური რჩება. იგი არც ისეთ ინტელექტუალად წარმოგვიდგება, რომელთან შეხვედრასაც მოსწავლეები ესწრაფვიან და მათი მასწავლებელი ლამარა ღურცკაია (ლ. ვაშაკიძე) მას მთელი სპექტაკლის განმავლობაში დაეძებს. დათოს კი არც ასეთი შეხვედრები აინტერესებს და ვერც იმ თვისებებს გვიჩვენებს, თუ როგორ გრძნობს თავს მის გარშემო არსებულ უსახურ გარემოში. მისი ქალებთან ურთიერთობაც გმირის განწყობის თუ ცხოვრებაში რაღაცის ძიების საფუძვლად უნდა აღიქმებოდეს. რას ეძებს და რისკენ მიილტვის დ. როინიშვილის გმირი, გაუგებარი რჩება! გაურკვეველია სპექტაკლის პოზიცია – დასცინის თუ თანაუგრძნობს ასეთ გმირებს, ანდა რა სათქმელი მოაქვს მაყურებლამდე. დასადგენია, თუ რას გულისხმობდა რეჟისორი, როცა სპექტაკლის პროგრამაში ეროტიკისა და დეტექტივის ელემენტებს გვპირდებოდა. სცენაზე ახალგაზრდა გოგონების მოკლე კაბები, ან დათოს მუხლებზე გადაჯდომა უფრო უხამსობისკენ იხრება, ვიდრე სასიყვარულო ვნებიანობისკენ. თავად დეტექტივი კი მაძებრის თავგადასავალის ჩვენებას ითვალისწინებს, ხოლო სპექტაკლის ბოლოს დათოს საყვარლის, მაკას (ქ. ლორთქიფანიძე) ქორწილში დაჭრა კრიმინალს უფრო განეკუთვნება. დეტექტურ ელემენტად არც დათოს სხვა საყვარ ლის, ლანას (დ. ტაბატაძე) შვილისთვის წართმეული ვიდეოკამერის მოძიება გამოდგება, რასაც დათო თავის მეგობარს ავალებს. ამიტომაც სპექტაკლში ბევრი მომენტი გაურკვეველი რჩება.

ქუთაისის თეატრში სპექტაკლების დასადგმელად ხშირად იწვევენ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილ რეჟისორებს. მათი სპექტაკლები ახალი თაობისთვის დამახასიათებელი საინტერესო თვალთახედვით გამოირჩევა. სწორედ ასეთი მოლოდინი გვქონდა, როდესაც საგასტროლო რეპერტუარში დათო მღებრიშვილის მიერ დადგმული ლუდმილა რაზუმოვსკაიას „მარიამ სტიუარტი" ვიხილეთ. ძნელი სათქმელია, თუ რამ დააინტერესა დამდგმელი, როცა მსოფლიო დრამატურგიაში გაცილებით უკეთესი თანამედროვე ავტორთა ორიგინალური პიესები არსებობს.



ლ. რაზუმოვსკაიას დრამას ისტორიული მოვლენების ასახვის პრეტენზია არა აქვს. დრამატურგს აინტერესებს სამეფო ტახტისთვის მებრძოლ ორ ქალს – მარიამსა და ელისაბედს შორის არსებული დაპირისპირება და ამ ფონზე მათი ფსიქოლოგიური განწყობა.

პირველ მოქმედებაში ძირითადი სცენები მარიამ სტიუარტსა (დალი ბასილაძე) და ბოუსელს (ზვიად სვანიძე) შორის სასიყვარულო ინტრიგებს ეთმობა, სადაც არც რეჟისორული გადაწყვეტით და არც სამსახიობო შესრულებით საინტერესო არაფერი არ ხდება. მათ მაყურებელს ვერ შესთავაზეს საკუთარი თვალთახედვით დანახული გმირთა ხასიათები, რაც სპექტაკლის იდეური ჩანაფიქრის გახსნას შეუწყობდა ხელს. ამიტომაც სასიყვარულო სცენები ვერც რომანტიკულ და ვერც ფსიქოლოგიურ ელფერს ვერ იძენს.

დალი ბასილაძის გმირში უფრო ქალური ინსტინქტები ჭარბობს, ვიდრე მისი პოლიტიკური გამჭრიახობა. ამიტომაც სცენაზე ბოუსელის მიერ მარიამის მეუღლის მოკვლით გამოწვეული არეულობისა და დიდებულთა მიერ მკვლელის დაპატიმრების სურვილი პიესის სიუჟეტიდან გამომდინარეობს და არა სცენაზე შექმნილი მხატვრული გარემოს აუცილებლობიდან.

მეორე მოქმედება ელისაბედის სამეფოში ვითარდება. ევა ხუტუნაშვილის გმირი აღელვებულია მარიამის მხრივ პიროვნული შეურაცხყოფებით, რაც მის ქალურ პატივმოყვარეობაზე მოქმედებს. მსახიობი დამაჯერებლად გადმოსცემს გმირის ფარისეველურ ბუნებასა და შინაგანად ძლიერ თვისებებს, რომლებიც მას მარიამის იმპულსური ხასიათისგან რადიკალურად განასხვავებს. იგი ანალიტიკურად აფასებს თავის ქვეშევრდომებს, მათ ბოლომდე არ ენდობა და ყოველწუთიერ ფსიქოლოგიურ გამოცდას უწყობს. ელისაბედი მის გარშემო დატრიალებულ მოვლენებს რეალურად აღიქვამს და ამიტომაც ოდნავი დაეჭვების შემთხვევაში არცერთ ერთგულად მიჩნეულ პირს არ ინდობს.

ე. ხუტუნაშვილის ელისაბედმა იცის, რომ მარიამს მასზე მეტი ქალური ხიბლი აქვს, რის მიმართაც მისი უახლოესი გარემოცვაც გულგრილი არ არის. სამაგიეროდ, ელისაბედი ამ გარემოებას გამჭრიახობასა და ინტელექტუალური განსჯის უნარს უპირისპირებს. ამიტომაც სთავაზობს ნორფოლკს (დ. როინიშვილი) სამეფო ტახტს. მაგრამ მის სიჩუმეს უარად აღიქვამს, ვინაიდან მარიამისადმი ფარულ სიახლოვეს ატყობს. ელისაბედისთვის ეს მხოლოდ თანამეცხედრეობაზე უარი კი არ არის, არამედ სახელმწიფო ღალატი და მას სასიკვდილოდ აუღელვებლად ისტუმრებს. რაც შეეხება ლესტერს (ა. ხერხაძე), მის მიმართ დედოფალი სხვა ტაქტიკას ირჩევს. მართალია, ელისაბედი მასაც ამხელს მარიამისადმი სიყვარულში, თუმცა თავიდანვე არ სჯერა ნორტუმბერლენდის (გ. ღელეყვა) ნათქვამი, თითქოს მეღროვე ლესტერი მისი და მარიამის გვირგვინებისთვის ერთდროულად ნადირობდა. ელისაბედი მის შემოწმებას მაინც გადაწყვეტს და ლესტერს მონასტერში წასვლის სურვილს გაანდობს. ამის შემდეგ ა. ხერხაძის გმირი აღიარებს, რომ მას მარიამი ციხიდან გაქცევის შემთხვევაში ხელსა და შოტლანდიის ტახტს სთავაზობდა და ისიც დათანხმდა. ელისაბედისათვის ეს მოულოდნელი ამბავია და ლესტერს ღალატის დამადასტურებელი საბუთის არსებობასაც სთხოვს, რაც მათ შორის მოწერისა და სიყვარულის აღიარებით მთავრდება.

ე. ხუტუნაშვილის ელისაბედი ლესტერის ფიზიკურ განადგურებას მისი სულიერი ტანჯვით ცვლის. ამიტომაც მას დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულებაში დადანაშაულებულ მარიამ სტიუარტის სასამართლო პროცესზე მთავარ პროკურორად ნიშნავს.

საგაზეთო წერილში ძნელია მთლიანი სპექტაკლის დეტალური ანალიზი. ამიტომაც ყურადღება სპექტაკლის ცენტრალური გმირების შეფასებაზე გავამახვილეთ. მეორე მოქმედების დინამიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ევა ხუტუნაშვილის სამსახიობო ოსტატობა, რომლის წყალობითაც სპექტაკლმა გარკვეული ინტერესი გამოიწვია.

**გუგაზ მეგრელიძე.**

**სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „მარიამ სტიუარტი"; ევა ხუტუნაშვილი – ელისაბედი, დათო როინიშვილი – ნორფოლკი, ანზორ ხერხაძე – ლესტერი.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

# ... ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს

## „სამეფოო, ძველთა-ძველო" – ქუთაისის თეატრში

**რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე შემოქმედთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს განეკუთვნება, რომელთაც შეუძლიათ პრობლემა, რომელზედაც სურთ ისაუბრონ მაყურებელთან, თავად შეთხზან სცენურ ვარიანტად, იქნება ეს ორიგინალური პიესა თუ ორიგინალის დონემდე (კონდიციამდე) აყვანილი ლიტერატურული ნაწარმოები. ჩვენს თაობას ახსოვს „წუთისოფელი ასეა", დღევანდელს კი – „თქვენო უდიდებულესობავ" – კინომსახიობთა თეატრში დადგმული ეს ორი შესანიშნავი წარმოდგენა. ქუთაისის თეატრის რეპერტუარშია სპექტაკლები „ვერვისგან ანაწონები" (ნ. დუმბაძის ნაწარმოებთა მიხედვით) და „სამეფოო, ძველთა-ძველო" (აკაკის ლექსით მოთხრობილი ამბავი).**

აკაკის პოეზიის სცენური ვერსია მაინც მისი შემოქმედების ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი რაკურსით დანახვაა. პოეტის ლექსით მონათხრობი საქართველოს შეეხება, მის ცხოვრებას, ბრძოლას, ჭირსა თუ ლხინს. რომელი მეტი იყოს მასთან? ალბათ, უფრო ტანჯვა, ვაება, ომები, მაგრამ იყო გამარჯვებით გამოწვეული სიხარულიც. ამაზე მოგვითხრობს წარმოდგენა მოხეტიალე მსახიობთა დასის მეშვეობით.

მხატვარი ჯეირან ფაჩუაშვილი მოხეტიალე დასს მაყურებლისაგან ტოტებგაბარჯღული ხეების ბადე-ფარდით ყოფს... ეს ფარდა თითქოს მომხდარის წარსულ დროში გადატანას მიგვანიშნებს, მაგრამ პირველი სურათის შემდეგ ის მაღლა აღის და ჩვენ დასის პირისპირ ვრჩებით.

აქტრისა (ევა ხუტუნაშვილი) და აქტიორი (ანზორ ხერხაძე) საქართველოს უბედობას ჩივიან („სამეფოო, ძველთა-ძველო, დღეს სნეულო, გულის მწველო...") და მიზეზს, თუ რატომ „გაგვიქრა გრძნობა მამა-პაპური", წარსულში ეძებენ, იმ დროში, როდესაც „თამარ მონათლეს ტამარად, ნინოს დაარქვეს ნინაო", მიზეზთა ძიებას კი ყველა ერთ აზრამდე მიჰყავს – „ვინც ღირსია, მას თაყვანი, ვინც უღირსი – მას პანღური". ეს განაჩენია იმ ვაიქართველებისათვის, რომელთაც ქართული მიწები გაყიდეს და მოძმეები უმიწაწყალოდ დატოვეს, იმ ვაიქართველებისათვის, ვისაც მხოლოდ სადღეგრძელოებითა და კუჭით უყვარს საქართველო (ჯამბაზის – გ. ნემსიწვერიძის ეპიზოდი), მათთვის, ვინც არ უნდა მართავდეს ქვეყანას, რამეთუ „ვირი კოკობ ვარდს უგალობს, ბულბული ვირებრ ღრიალებს".

აღსანიშნავია, რომ ხშირად ლექსი ამ სპექტაკლში ბრალდებად ჟღერს: ასეა მაგალითად ცნობილი „მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა, ქართველს ქართველი მოუკლავს, უპატრონოდა გორაესა".

იგივე ითქმის ამირანის ლექსზეც, რომლის განთავისუფლებაც ასე დაგვიანდა და, ალბათ, შემდეგ აზრიც არ ექნება მას ქართველისათვის, რომელსაც ენატრება ჭეშმარიტი თავისუფლება. ახლა კი, – ამბობენ ავტორები, – მზეო ამოდი, რათა „მოყვარეს მაინც გადაერჩეთ მტრისაგან განაწამები".

სპექტაკლში გამოყენებულია როგორც კომედია დელ არტეს ნიღბები (ჯამბაზი, ქალი ჯამბაზი...) ასევე ბერიკაობის სანახაობითი ელემენტები (ცხენკაცობა), მათ დაერთვის კონფერანსიეც, რომელიც მაყურებელთა წინაშე ყელზე შავი ბაბთითა და წელზევით შიშველ ტანზე შემოცმული შავი ფრაკით გამოდის. – შეიძლება ითქვას, რომ ევროპელობამდე სულ ცოტაოდენი გვაკლია – მხოლოდ ერთი, თეთრი გახამებული პერანგი. რეჟისორის სცენური მეტაფორა სწორედ რომ დროულია და საკმაოდ მახვილიც.



ამირანის დაგვიანებას ამ წარმოდგენაში რამდენჯერმე შენიშნავენ ლექსის მშვენიერი სტრიქონებით, რომელსაც ასეთ სტროფსაც მიაყოლებენ დასკვნად: „რაც ძალადობით წაიღეს, ვინ დააბრუნებს ნებითა? ვინ ნახა თავისუფლება ტანჯვით და მოთმინებითა"?

სპექტაკლი ორმოქმედებიანია და ხანგრძლივი პროლოგის შემდგომ, მასში დრამატული თხრობაც იწყება. დედა (ლ. ვაშაკიძე) პაწია შვილს ზრდის და უკვე მოწიფულ ვაჟკაცს (გ. რაზმაძე) ომში აგზავნის. ახალგაზრდა ქმარიც (ნ. ჯანგავაძე) ტოვებს მეუღლეს და აკვნის ჩვილს. ქვეყანა გასაჭირშია. მამაკაცები ომში მიდიან. ამ ეპიზოდში განსაკუთრებით გათვალსაჩინოვდა ქორეოგრაფ რევაზ სვანიძის ნამუშევარი – მოცემული სცენის პლასტიკური მონახაზი. რეჟისორი ქალების მოლოდინს დრამატული სიმძაფრით აღწერს. ცოლი – ი. კაკიაშვილი თითქოს გუმანით გრძნობს მეუღლის გასაჭირს და მიწაზე დამხობილი ნატრობს მას, ზოგიც – გახარებული სახით მოელის. დაბრუნების იმედი აქვს და აი, მამაკაცები ბრუნდებიან. ისინი ფარ-ხმალს აწყობენ მათ წინაშე, ვისაც ომში წასული დაეღუპა; ტირიან დედა და ცოლი სამშობლოსათვის დაღუპულს, მოწყენილია პატარა ბიჭუნაც.

ეს დრამატული ამბავი საქართველოს ყოფა იყო ოდესღაც, მაგრამ გადარჩენილი ქართველებიც ზნეკეთილები და გმირები იყვნენ, რომელთაც თავისუფლება მოჰქონდათ ქვეყნისთვის. ამიტომ ჰქონდა ამ მხედრებს გამართლება. ახლა კი ვინ არიან ისინი? „დღეს დაცემულნი და ცოცხალ-მკვდარნი" – ამ სიტყვებს აქტრისა – ხუტუნაშვილი სცენური მახვილით აწვდის მაყურებელს.

სპექტაკლს ამშვენებს მღერული სიმღერები, ქართული მოძრაობის ლაზათი და რაც მთავარია, აკაკის ძარღვიანი ქართული ლექსი.

„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა" – ეს არის ამ დრამატული კომპოზიციის არსი და აზრი, რომელსაც ანვითარებენ მოხეტიალე დასის მსახიობები თავიანთი პროტაგონისტებისა და თითოეული წევრის მეშვეობით. საქართველოს მომავალი თაობაც ეწირება და ბრძენი მოხუცებიც აკვალიანებენ, და თუ ამირანიც ჯაჭვს გაწყვეტს, ალბათ, მაშინ მაინც იტყვის ქართველი „ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალსო..."

„სამეფოო, ძველთა-ძველო" ერთიანი პატრიოტული ძარღვით შეკრული წარმოდგენაა, რომელმაც, სხვა საგასტროლო წარმოდგენებთან შედარებით უფრო სრულყოფილად წარმოაჩინა ახალგაზრდა მსახიობების შემოქმედებითი შესაძლებლობანი. მისი შექმნისათვის ნუგზარ ლორთქიფანიძეს, ჯეირან ფაჩუაშვილს, ევა ხუტუნაშვილს, ანზორ ხერხაძეს, ერემია სვანიძეს და გოჩა ნემსიწვერიძეს აკაკი წერეთლის სახელობის პრემია მიენიჭათ. ქუთაისის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ეს წარმოდგენა თბილისური გასტროლების ბოლო აკორდად შეარჩია და მაღალ პატრიოტულ ნოტაზე დაემშვიდობა დედაქალაქის მაყურებელს.

ასეთი სპექტაკლი ჭირდება დღევანდელ საქართველოს!

**ნინო მაჭავარიანი.**

**სურათზე: აქტიორი ანზორ ხერხაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდები

# „მსხვერპლი“ — შავიზღვისპირა ქვეყნების ფესტივალზე



**მაისის თვეში ქ. ტრაპიზონში გამართულ შავი ზღვისპირა-ქვეყნების მე-3 საერთაშორისო „თეატრალურ შეხვედრებზე“ საქართველოდან მერაბ კოსტავას სახელობის დრამატული თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ქუთათელაძე) იყო მიწვეული ანდრო ენუქიძის „მსხვერპლით“, რომელიც ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად აღიარეს.**

საქართველოს და თურქეთის თეატრალური ურთიერთობები უფრო გააქტიურდა მას შემდეგ, როდესაც პირველად, თურქეთის ისტორიაში, რობერტ სტურუამ და ანდრო ენუქიძემ 1996 წელს ქ. ანკარაში გახსნეს სარეჟისორო ფაკულტეტი, ამიტომ ეს მიწვევაც არ იყო შემთხვევითი და ანზორ ქუთათელაძემ ყველაფერი იღონა, რათა სპექტაკლის მონაწილეებს დანიშნულების ადგილამდე ჩაეღწიათ. მისი თხოვნით ქალაქის მერიამ თავის თავზე აიღო გამგზავრების ხარჯები. აჭარის სატრანსპორტო სამმართველომ კი ავტობუსი გამოყო.

ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდა შავი ზღვისპირეთის 9 საუკეთესო თეატრი, რომელთა წარმოდგენებიც 9 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და ფესტივალის პირობის თანახმად თითოეული თეატრი ვალდებული იყო სხვა თეატრების წარმოდგენებსაც დასწრებოდა. ვინაიდან ფესტივალი არ იყო საკონკურსო პრიზებითა და სხვა ატრიბუტებით დახუნძლული, სპექტაკლების შემდეგ იმართებოდა განხილვები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, იწერებოდა რეცენზიები და ამგვარად ეძლეოდა შეფასება ამა თუ იმ თეატრის მიერ წარმოდგენილ შემოქმედებას.

გარდა იმისა, რომ შავი ზღვისპირა ქვეყნების შემდეგ ფესტივალზე თავისთავად არის მიწვეული, თეატრმა რუსეთის, რუმინეთის და ბელორუსიის შემოთავაზებებიც მიიღო.

**საკუთარი ინფორმაცია.**

**სურათებზე: სცენები სპექტაკლიდან „მსხვერპლი“.**
**ჯემალ კასრაძის ფოტო.**



პრემიერა

# მარტოსულები მკვლელის მოლოდინში

## თურქი დრამატურგის კომედია „ძველი სახლის“ სცენაზე

**ადამიანი მარტოსულად იბადება და მარტოსულადვე კვდება. მიუხედავად ამისა, „მაინც ცდილობს ამოავსოს ეს მარტოობა ოჯახით, მეგობრებით, კატებით, ძაღლებით... რადგან სულიერი მარტოობა კიდევ უფრო გაუსაძლისი ხდება, როცა შენს გვერდით არავინ არის, როცა შენს სუნთქვას არვის სუნთქვა არ უერთდება, სახლშიც მარტო ხარ და საწოლშიც. ქალიც მარტოა და კაციც. მაგრამ ქალი, თანაც ქვრივი, მოგონებებით ცხოვრობს. რეალურად სრულებით არ ცხოვრობს და ელოდება, მომავალს ელოდება, რათა კვლავ იცხოვროს...“**

ჩაბნელებულ სცენაზე ლურჯი შუქით განათებული აბაჟური-გალიის ქვეშ ფეხმორთხმით ზის აღმოსავლური სამოსითა და სამკაულებით მორთული ქალი და უზარმაზარ ჩიბუხს აბოლებს.. ებრაულ-აღმოსავლური მუსიკის მისტიკური ჰანგები თამბაქოს სქელ კვამლში გახვეულ სიენა-გენერლის ქვრივს (თამარ მაყაშვილი) მოგონებებში გადაისვრის და, ალბათ, უკვე მერამდენედ გაახსენებს გარდასულ ბედნიერებას, მის გარდაცვლილ ქმართან ერთად რომ მიიძინა სამუდამოდ. თუმცა, ადამიანი ხომ იმედით ცოცხლობს. ოთახში მისივე ხვედრის მქონე მეზობლის ქალი დიეხა (თამარ მაღურაშვილი) შემოდის და ბურუსიც ქრება. ორი მარტოხელა ქალი ერთმანეთს აბრუებს გაუთავებელი ტყუილითა და გამონაგონით, რომლის გარდა აღარაფერი დარჩათ და მათი ერთადერთი სიმართლეც სწორედ ეს გამონაგონია.

XX საუკუნის ცნობილი თურქი დრამატურგის აზიზ ნესინის კომედია „მომკალ, მომკალ ჩემო კარგო“-ს (თარგმანი გურამ ბათიაშვილისა) პრემიერა ახალგაზრდა რეჟისორმა ლევან კუჭაიძემ თავისი პედაგოგისა და ხელმძღვანელის, სანდრო მრევლიშვილის ხელშეწყობით თეატრ „ძველი სახლის“ სცენაზე წარმოადგინა.

ორი ქვრივი ქალი, სიენა — თამარ მაყაშვილი და დიეხა — თამარ მაღურაშვილი მოძალადეს ელოდებიან. რადიოთი მოსმენილი ინფორმაციის მიხედვით მკვლელი საკმაოდ სიმპათიური გარეგნობის ახალგაზრდა კაცი უნდა იყოს, რომელიც გაზის მრიცხველის კონტროლიორად ასაღებს თავს და ასე აღწევს მარტოხელა ქალების ბინებში, რათა ჯერ გააუპატიუროს, შემდეგ კი მოკლას. მაგრამ სიკვდილს რას დაგიდევენ, როდესაც „სანუკვარი სიამოვნება“ ამდენი ხანი არ განუცდიათ, დაავიწყდათ კიდეც და გაიხსენებენ თუ არა, ესეც საკითხავია. მათ თავიანთი ქალური მოთხოვნილებების რეალიზაცია ვერ შეძლეს. სიენა დღემდე გარდაცვლილ მეუღლეს ეჩხუბება, ეფერება, ესაუბრება, იქნება ეს კედელზე დაკიდებული ფოტოსურათი თუ მანეკენზე ჩამოცმული მუნდირი, ტყავის შავი ჩექმები თუ სხვა ატრიბუტები, — კვლავაც ამ ოჯახის ერთადერთ მამაკაცად რომ ესახება. ქალებმა გარდაცვლილი მეუღლეები კერპებად აქციეს და გვიან მიხვდნენ, რომ ამ კერპებს საკუთარი ცხოვრება შეწირეს. ამიტომ მათთვის უკვე სულერთია როგორი სიკვდილით მოკვდებიან. ხარკის წინ კეკლუცობენ, ერთმანეთს ამხნევებენ და გულისფანცქალით ელოდებიან თავიანთი ფანტაზიით წარმოსახულ „მშვენიერ“ მკვლელს. თუმცაღა „ადამიანზე შესახედაობით არ უნდა იმსჯელო“ და ისინიც იჯერებენ, რომ ბექა ქავთარაძის ჩანჩურა, ავადმყოფური, ცხოვრებისგან გამოფიტული კონტროლიორი სწორედ ის კაცია, ვისაც ისინი ელოდნენ. ამიტომ მთელ თავიანთ სითბოს, სიყვარულსა და მზრუნველობას „დააბერტყავენ თავზე“. ბოლოს კი სასწრაფოდ შემოაძარცვავენ ტანისამოსს და... ხანდაზმული კონტროლიორი ამდენს ვეღარ უძლებს, კვდება.

... ეს ცოლიანი კაცი მათსავით მარტოხელაა, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანს — ადამიანურ სითბოს და სიყვარულს არის მოკლებული. ამიტომაც შემოდის რა მათ სამყაროში, რეალობის შეგრძნებას კარგავს. სიენას მიერ ნაჩუქარ გენერლის მუნდირსა და ჩექმებში გამოწყობილი, მისივე ხმლითა და ყალიონით აღჭურვილი, ლამის თავადაც გენერალი ხდება... მისი სიკვდილის მიზეზი ამ ქალების მოზღვავებული ენერგიაა, რომელიც მას ცოტა ხნით მაინც კაცად აგრძნობინებს თავს ილუზიებსაც აღარ უმსხვრევს — მამაკაცადვე კლავს.

ძალაუნებურად ეს უსუსური ქალები მოძალადეებად იქცნენ და მორიგ მსხვერპლს ელოდებიან. ამიტომ, როდესაც ნამდვილი მკვლელი, ცრუ კონტროლიორი (რევაზ ჯაბაური), თავზე წაადგებათ, არავინ იცის თუ რა მოჰყვება ბანალურ ფრაზას „გაიხადე!“ — ამდენი ხნის გამთანგავი მარტოობის შემდეგ მათ სიკვდილისთვის სულაც არ სცხელათ.

**ხათუნა წულაძე.**

მუსიკა

# პარიზული ოვაციების შემდეგ

**ახლახან პარიზში, სლავური კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ნიკოლაი რუბინშტეინის სახელობის პიანისტთა VI საერთაშორისო კონკურსი გაიმართა, რომელიც ძირითადი საკონცერტო პროგრამისა და სავალდებულო (ჩაიკოვსკისა და დებიუსის პიესები) ნაწარმოებთა შესრულების მიხედვით დროითი კატეგორიებად იყო დაყოფილი. კონკურსანტთა ასაკი განუსაზღვრელია, პიანისტთა შეფასებაც უნივერსალურია და გამოვლენილ ლაურეატთა დასახელებაც ჰუმანურია... ჰუმანურია იმ თვალსაზრისით, რომ დაგროვილ ქულათა განსაზღვრული რაოდენობის გათვალისწინებითა და შესაბამისად საპრიზო ადგილების გადანაწილებით, ყველა კონკურსანტი კუთვნილი პრიზით ჯილდოვდება და ლაურეატად სახელდება.**

ამგვარი იმპულსისა და ექსტაზის მომნიჭებელი საერთაშორისო კონკურსის დამაარსებელი, ორგანიზატორი და ჟიურის თავმჯდომარე, პროფესორი იგორ ლაზკო გახლავთ, ხოლო წლევანდელი კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში მიწვეული იყო ქართველი პედაგოგი დოდო ცინცაძე. მისი მიწვევა, დიდი გამოხმაურება და აღიარებაა იმისა, რომ ქართული საფორტეპიანო საშემსრულებლო ხელოვნება მრავალმხრივ საინტერესო და სანიმუშოა.

სასიამოვნოა ის გარემოებაც, რომ კონკურსში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ 200-ზე მეტ შემსრულებელს შორის ხუთი ქართველი პიანისტი მონაწილეობდა და ყველანი საკმაოდ წარმატებით გამოვიდნენ. მათში ასაკით ყველაზე ნორჩი შემსრულებელი, ქართული სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლე, 7 წლის მარიანა აჩბა (პედაგოგი დოდო ცინცაძე) გახლდათ.



— მარიანამ წლევანდელ კონკურსზე 15 და 20-წუთიანი დროის კატეგორიებში 62 მონაწილეს შორის, საკმაოდ რთული პროგრამის სრულყოფილი მუსიკალური შესრულებისთვის, ჟიურის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, პირველი პრიზით დაჯილდოვდა და მიწვევა მოიპოვა ლიტვაში მსოფლიო ახალგაზრდობის ფორუმზე „ნიჭიერი ახალგაზრდობა“, ხოლო ლიტვის აკადემიის პროფესორმა იუსტას დვარიონასმა ვილნიუსში ბალის დვარიონასის სახელობის VI საერთაშორისო კონკურსზე მიიპატიჟა, — ამბობს ქალბატონი დოდო ცინცაძე.

პატარა მარიანას საკონკურსო პროგრამა სკარლატის, ბახის, ჰუმელის, დებიუსის, პროკოფიევის, ფილიპ ემანუელ ბახის, ჩერნის, მოცარტის, ჩაიკოვსკის, შჩედრინის ნაწარმოებებს მოიცავდა, რომელთა სიღრმისეული შესრულებით ჟიურის წევრის პროფესორ ვერონიკა ვიტერტეს ხმამაღალი აღფრთოვანება დაიმსახურა — „პატარა მარიანამ მუსიკის ჭეშმარიტ სამყაროში შეგვიყვანა“, — თქვა მან.

— მის პედაგოგს, ქალბატონ დოდო ცინცაძეს კი საუკეთესო პედაგოგიური ნამუშევრისთვის სამადლობელოდ საპატიო სიგელი გადაეცა.

— მარიანას ძალიან კარგი სმენა აქვს, არტისტულია და რაც მნიშვნელოვანია, მას საკმაოდ თბილი და სიყვარულიანი დამოკიდებულება აქვს მუსიკის მიმართ. დღეს ვირტუოზულად და სწრაფად ბევრი უკრავს, მაგრამ მარიანას შესრულებაში მუსიკოსი ჩანს. ამასთანავე საკუთარი თავის მიმართ საკმაოდ მომთხოვნი და კრიტიკულია და, თუკი რაიმე ოდნავ მაინც არ გამოუვიდა, ძალიან განიცდის და აუცილებლად მიმანიშნებს, — აღნიშნავს ქალბატონი დოდო.

და კიდევ, კონკურსში მონაწილე ჩვენმა დანარჩენმა ახალგაზრდა პიანისტებმაც გვასახელეს და შესაბამისად მოწონებაც დაიმსახურეს. ქართული სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეებმა ნია ნაცვლიშვილმა (პედაგოგი ვეკა სვანიძე) და ლევან გულორდავამ (პედაგოგი მანანა ბარათაშვილი), 25 და 20-წუთიან კატეგორიებში II პრემია დაიმსახურეს. ხოლო კონსერვატორიის სტუდენტმა ნათია მიქიაშვილმა (პედაგოგი პროფესორი რუსუდან ხოჯავა) და დუდი მაზმანიშვილმა (პედაგოგი ელისო ვირსალაძე) 40 და 50-წუთიან კატეგორიებში მიწვევებთან ერთად II საპრიზო ადგილები გაინაწილეს.

**მზეხა მახარაძე.**

**სურათზე: პედაგოგი დოდო ცინცაძე და მისი მოსწავლე მარიანა აჩბა.**

ბალეტი

# აკადემიური სცენა — ბავშვებს

**გასულ ორშაბათს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენა მთელი დღის განმავლობაში „პატარა მსახიობების“ განკარგულებაში იყო. ორი წარმოდგენა — დილისა და საღამოსი — აქ აჩვენეს თბილისის კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდიის აღსაზრდელებმა.** აკადემიურ სცენაზე დიდი დებიუტისათვის აირჩიეს დელიბის ბალეტი ზღაპრული სიუჟეტით — „კოპელია“, რომელიც თამაზ ვაშაკიძემ დადგა. მაკა მახარაძისა და კიდევ ხუთი პედაგოგის აღზრდილმა 80 პატარა ბალერინამ ღირსეულად ჩააბარა გამოცდა. პასუხად კი მაყურებელთა მხურვალე ტაში დაიმსახურეს, რომელთა შორის, ბუნებრივია, იყვნენ მათი მშობლებიც. მათ ფეხქვეშ ავანსცენა ყვავილებით დაიფარა... და, რაც ყველაზე მთავარია, კმაყოფილი, „ბალეტის ვარსკვლავთა“ ბედნიერი სახეები უნდა აღვნიშნოთ, მათი ასაკი ხომ 4-დან 14 წლამდეა.

— დღეს ყველა ჩვენგანისათვის ძალიან სასიხარულო დღეა, თქვა სტუდიის ხელმძღვანელმა მაკა მახარაძემ.— ბავშვებმა მშვენივრად გაართვეს თავი თავიანთ ამოცანას. გულმოდგინედ, თავისუფლად „უძღვებოდნენ“ თავიანთ პარტიებს. დიდი სცენის სიძნელეთა დაძლევაში მათ დაეხმარა რეპეტიციები სცენაზე, რომელიც მთელი კვირის მანძილზე დაუთმო მათ სამეფო უბნის თეატრის ხელმძღვანელობამ. ბავშვები ეჩვეოდნენ სცენურ სივრცეს, თავად სცენას. და თუმცა, სიდიდით იგი ბევრად ჩამორჩება საოპეროს, მაგრამ ყველაფერმა იოლად ჩაიარა... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რა დიდი სიხარული მიანიჭა ბავშვებს გრიმმა, მაკიაჟმა, შესანიშნავმა კოსტიუმებმა, საქართველოს მთავარი მუსიკალური თეატრის სცენაზე პირველმა გამოსვლამ, მაყურებელთა მხურვალე ტაშმა. ერთი სიტყვით, ბავშვებმა განიცადეს სიხარული, შემოქმედების, ხელოვნების სიხარული. შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ოთხმოცივე ბავშვი პროფესიონალი ბალერინა გახდება. ასეთ მიზანს ჩვენ არც ვისახავთ. გვინდა, რომ ისინი ვაზიაროთ მშვენიერების სამყაროს, ჩავუნერგოთ სილამაზის სიყვარული, მისწრაფება სრულყოფილებისადმი. დავეხმაროთ მათ ჰარმონიულ განვითარებაში. და თუნდაც ჩვენი სტუდიის ორი-სამი გოგონა მომავალში პროფესიონალი რომ გახდეს, ეს ჩვენი საერთო გამარჯვება იქნება.

ზაფხულის არდადეგების დამთავრების შემდეგ სტუდიელები შეუდგებიან სამშობლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ახალი სპექტაკლის რეპეტიციებს.

**საქინფორმი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 157. შაბათი, 29 ივნისი, 2002 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცა

# ქართული ქორეოგრაფიული ლიტერატურის შენაძენი

რკინიგზელთა სახლში გაიმართა ცნობილი მოცეკვავის, ქორეოგრაფ-პედაგოგის, საქართველოს სახალხო არტისტის, მრავალი პრემიისა და პრიზის ლაურეატის, ამჟამად კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელის რეზო ჭანიშვილის ახალი წიგნის „წერილები ქორეოგრაფიაზე" (წიგნი პირველი) წარდგენა. ეს წიგნი საფუძვლიანად განიხილეს პროფესორმა ოლეგ ალავიძემ, საქართველოს სახალხო არტისტმა ომარ ბერაძემ, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების პატრიარქმა კონსტანტინე მანჯგალაძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა რევაზ ბარამიძემ და გიზო ჭელიძემ, მწერალმა ჯუმბერ თითმერიამ, საქართველოს სახალხო არტისტმა ბესიკ სვანიძემ. მათ მაღალი შეფასება მისცეს რეზო ჭანიშვილის მრავალმხრივ ნაყოფიერ, წარმატებულ ქორეოგრაფიულ მოღვაწეობას.

აღინიშნა, რომ დიდი ინტერესით იკითხება ამ წიგნში შესული მეცნიერული ნაშრომები „ქართული ხალხური ქორეოგრაფიის კლასიკური მემკვიდრეობა", „ქართული ხალხური ქორეოგრაფიის დიალექტების განვითარების ზოგიერთი საკითხი", „გურული საცეკვაო", „ფოლკლორის ზოგიერთი თავისებურების შესახებ", „რაჭული საცეკვაო ფოლკლორის ზოგადი დახასიათება", „მოზარდი და ქორეოგრაფიული ხელოვნების სწავლების ზოგიერთი საკითხი", „ხორუმის" ლოკალიზაციის საკითხისათვის"... ითქვა ისიც, რომ კარგ პროზასავით იკითხება წიგნის მეორე ნაწილში („დრო, მოვლენები, ადამიანები") შესული წერილები „ჩემი პირველი მასწავლებელი (გივი ჩიხლაძე)", „ღირსეული მამულიშვილი, სამაგალითო მოქალაქე, დიდებული პედაგოგი კონსტანტინე მანჯგალაძე", „გიორგი (ბუხუტი) დარახველიძე", „ილიკო სუხიშვილი და თანამედროვე ქართული ქორეოგრაფია", „ჩემი მეგობარი ბესიკ სვანიძე", „უჩა დვალიშვილი — ქორეოგრაფი, მკვლევარი და პედაგოგი", „მრავალმხრივი შემოქმედი (შტრიხები ზაურ დაზიშვილის ბიოგრაფიისათვის)", „ქორეოგრაფიული ოჯახი (ნ. ღვინერია, ჯ. რეხვიაშვილი), „გოგი ჩაჩავა — პიროვნება და ხელოვანი".

ბუნებრივი და კანონზომიერი იყო ისიც, რომ ასევე საფუძვლიანად ისაუბრეს რეზო ჭანიშვილის წიგნზეც „ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში", რომელშიც შესულია ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომები, როგორიცაა, „ქართული




ხალხური უძველესი სათეატრო და ქორეოგრაფიული წარმოდგენების როლი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში", „მოსწავლეთა პრაქტიკის ძირითადი მიმართებები" (ქართველ ქორეოგრაფთა მუშაობის გამოცდილებიდან), „ქართული ხალხური ცეკვის სწავლების ზოგიერთი საკითხი ანსამბლ „მერანის" მუშაობის მაგალითზე" და სხვა.

ამ პრეზენტაციის მონაწილეთა აზრი ერთსულოვანი იყო: რეზო ჭანიშვილის ეს წიგნები ქართველ პროფესიონალ ქორეოგრაფთა, ქორეოგრაფიული ხელოვნების შემსწავლელი ახალგაზრდობისა და ამ ხელოვნების მოყვარულთა სამაგიდო წიგნია. თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ეგიდით გამოცემული რეზო ჭანიშვილის ამ წიგნის რედაქტორია საქართველოს პედაგოგიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი ოლეგ ალავიძე, რეცენზენტები არიან საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი თენგიზ სუხიშვილი და პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ მაისურაძე.

**რუსუდან მუხაძე.**

რეპლიკა

# ასეთ სიყალბეზე თვალს ვერ დახუჭავ

**სრულიად შემთხვევით, ხელში ჩამივარდა 2002 წელს დაარსებული ჟურნალ „ცეკვა და სიმღერის" მესამე ნომერი, რომლის გადათვალიერებისას ჩემი ყურადღება მიიპყრო ნინო თოდაძის წერილის „ვალმოხდილი მამულიშვილის" ერთ-ერთ ქვეთავში („რაინდი და სინამდვილე") დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმა, რომელიც მიძღვნილია ბატონ ილიკო სუხიშვილის დაბადების 95 წლისთავისადმი. ტექსტში ვკითხულობთ: „ლეგენდარული მოცეკვავის ანსამბლს ინგლისში გასტროლების დროს დიდი წარმატება ხვდა წილად. ალბერტ ჰოლის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. დიდი ბრიტანეთის მეფე გიორგი V და დედა-დედოფალი მარია ესწრებოდნენ. კონცერტის დამთავრების შემდეგ ბრიტანეთის მთავრობამ უინძორის სასახლეში წვეულება მოაწყო და დაჯილდოების ცერემონიალის დროს ილიკო სუხიშვილს დედა-დედოფალმა ოქროს მედალი თავისი ხელით გადასცა".**

ქალბატონო ნინო! იცით თუ არა თქვენ, სუხიშვილის სახელგანთქმული ანსამბლი 1945 წელს რომ შეიქმნა? და მისი პირველი საგასტროლო მოგზაურობა ინგლისში 1959 წელს რომ გაიმართა, რომელსაც მოჰყვა 1966-1967 და 1973 წლების საგასტროლო ტურნეები. მეფე გიორგი V კი მოღვაწეობდა 1910-1936 წლებში, ხოლო მისი მომდევნო მეფე გიორგი VI 1936-1952 წლებში. გიორგი V მეფობის დროს სრულიად ჭაბუკი მოცეკვავე ი. სუხიშვილი თბილისის ოპერის თეატრში დიდი ბალეტმაისტერის დავით ჯავრიშვილის მიერ საოპერო სპექტაკლებში დადგმულ ცეკვებში იყო დაკავებული. ასე რომ, იმ დროს მისი ჯერ არარსებული ანსამბლი ინგლისში ვერ აღმოჩნდებოდა. მაშინ რა მოხდა? როგორ მოუვიდა წერილის ავტორს ისეთი რამ მოეთხრო, რაც არ მომხდარა და თავი კი უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო. ამის საპასუხოდ, მე მოგითხრობთ იმ რეალობას, რაც მეფე გიორგი V დროს მოხდა. ინგლისში არსებობდა ხალხური ცეკვისა და სიმღერის საზოგადოება, რომელიც 1931 წელს დაარსდა. მისი თავმჯდომარე იყო მეფე გიორგი V მეუღლე მარია. საზოგადოების წევრებს ინგლისის უმაღლესი არისტოკრატია წარმოადგენდა. დირექტორი დუგლას კენედი იყო. ამ საზოგადოების ინიციატივით, 1935 წელს მოეწყო ლონდონის საერთაშორისო ფესტივალი, სადაც სხვა ქვეყნებთან ერთად ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალმა რესპუბლიკებმაც მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, საქართველომ. შეირჩა მოცეკვავეთა ჯგუფი — ი. სუხიშვილის, ა. ჩიხლაძის, მ. ჩოჩიშვილის, ე. ხე-

ბრის მოწყობას რომელიმე ქვეყნის პირველობის გამოსავლენად, არამედ ხალხური ცეკვების ჩვენება-გაცნობას. ამ მიზეზით, ფესტივალს არ ჰყავდა არც მსაჯები და არც არავითარი ჯილდო არ არსებობდა. მხოლოდ ეს იყო, რომ ფესტივალის ორგანიზატორებმა თითოეული ქვეყნის მოცეკვავეთა ჯგუფს სამახსოვროდ ერთი ქეტონი და მედალი გადასცეს. ასევე მიიღო იგი ქართულმა ჯგუფმაც, რომელიც არავის კუთვნილება არ იყო. ფესტივალის დამთავრების შემდეგ, თბილისში დაბრუნებული ბატონი დავით ჯავრიშვილი წარსდგა თეატრალურ სანახაობათა სამმართველოს წინაშე განმარტებით, რომ მედალი და ქეტონი ქართულმა ჯგუფმა სხვებივით მიიღო მხოლოდ სახსოვრად და არა ჯილდოდ.

ქ-ნო ნინო! აი, სწორედ ეს ფაქტები იყო თავი და თავი თქვენი უცოდინრობისა, რის გამოც თქვენ ყველაფერი ყირაზე დააყენეთ: დავით ჯავრიშვილის მიერ ლონდონის ფესტივალზე წარდგენილი მოცეკვავეთა ჯგუფი სუხიშვილის ანსამბლად მონათლეთ, ჩატარებული ფესტივალი — მათ საგასტროლო მოგზაურობად, მოცეკვავეთა ჯგუფზე გაცემული ქეტონი და მედალი ი. სუხიშვილის კუთვნილებად გამოაცხადეთ და ქრონოლოგიურ აღრევაზე ხომ არაფერს ვლაპარაკობ. ერთს კი გირჩევდით, რო-

თაგუროვისა და ს. ნონიაშვილის შემადგენლობით. მათი ხელმძღვანელობა და ცეკვების დადგმა დაევალა გამოცდილ და უნიჭიერეს ქორეოგრაფს დავით ჯავრიშვილს. ლონდონის საერთაშორისო ფესტივალში ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფის მონაწილეობა დავით ჯავრიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია. ეს იყო ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში პირველი პრეცედენტი, როდესაც ქართველი მოცეკვავეები ინგლისელი მაყურებლის წინაშე წარადგინა და ქართული ცეკვის ეშხი და სილამაზე წარმოაჩინა.

აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ფესტივალი მიზნად არ ისახავდა შეჯი-

დესაც ისტორიულ მოვლენებზე წერთ რაიმეს, ლიტერატურულ წყაროებში მცირეოდენი ექსკურსი არ გაწყენდათ, რათა ასეთი უცოდინარობით საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანოთ. არა მგონია, მოგონილი მითებითა და ისტორიის ყირაზე დაყენებით პატივს სცემდეთ ჩვენთვის, ყველასათვის დიდად პატივცემულ ხელოვანს. ილიკო სუხიშვილმა იმდენი რამ გააკეთა ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმატებისა და სახელისათვის, რომ შეთხზული ამბების მიკერება მას არ ეკადრება.

მე, როგორც ქორეოგრაფსა და ამჟამად სამეცნიერო-კვლევით დარგში მომუშავეს, უფლება არ მქონდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანის გამო ასეთ სიყალბეზე თვალი დამეხუჭა. საფუძვლიანად შესწავლილი მაქვს როგორც ი. სუხიშვილის, ისე სხვა ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო ქორეოგრაფთა ღვაწლი. უფრო მეტიც, ი. სუხიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე მთავარ მომხსენებლად გამოვედი, რაც გაზეთ „როკვას" 1997 წლის ნომერში დაიბეჭდა.



მართლაც რომ, დიდია ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ღვაწლი ეროვნული ქორეოგრაფიის დახვეწ-განვითარებასა და სრულყოფაში. ბ-ნი ილიკოს ნიჭიერებამ და არტისტიზმმა იმთავითვე მომხიბლა და აალაპარაკა მისი დამფასებელი საზოგადოება, ხოლო ჯილდოდ მათი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ეს კი რჩეულთა ხვედრია.

**რუსუდან ფაილოძე.**

**სურათზე: პირველ რიგში სხედან (მარცხნიდან — მარჯვნივ): ანტონ ჩიხლაძე, დავით ჯავრიშვილი (ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფის მხატვრული ხელმძღვანელი), ბოიარსკი (ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების მოცეკვავეთა ჯგუფების მხატვრული ხელმძღვანელი), მაისკი — საბჭოთა კავშირის ელჩი ლონდონში, ილიკო სუხიშვილი, ვლადიმერ ხეთაგუროვი.**

**მეორე რიგში დგანან: მედოლე ვანო მაგულაშვილი, მეზურნეები — ლევან და სერგი ზუბიევები (ზუბიაშვილები), სერგო ნონიაშვილი, მიხეილ ჩოჩიშვილი.**

თაობა

# ჟღერდა ახალი მუსიკალური მინიატიურები

**— „ჩემთვის საინტერესოა და მნიშვნელოვანი, როგორი ინტერპრეტაციით შეასრულებენ ბავშვები ჩემს ნაწარმოებებს..." — ავტორის წინასაკონცერტო მოსაზრება...**

თბილისის 21-ე სამუსიკო სკოლაში უკვე კარგა ხანია, რაც ნორჩი მუსიკოს-შემსრულებლები ქართული ფოლკლორის, საეკლესიო საგალობლებისა და ეროვნული მუსიკის შესწავლით საზრდოობენ, ეცნობიან კლასიკურ შედევრებს და, შესაბამისად, ინდივიდუალურ ხელწერას კონცერტებსა და საღამოებზე გვთავაზობენ. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ენთუზიაზმსა და ყურადღებას მათი აღმზრდელ-პედაგოგები იჩენენ.

ამჟამად მოსწავლეთა საშემსრულებლო ხელოვნება ახლადშექმნილ საფორტეპიანო პიესების აჟღერებაში გამჟღავნდა; იმ პატარა ნაწარმოებებისა, რომლებიც ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკისათვის დამახასიათებელი ელემენტებით, კილოს ჰარმონიული კანონზომიერებით, ზოგადევროპული და ეროვნული მუსიკალური ენის ნიშანდობლივი თვისებებით, თანამედროვე ინტონაციათა შერწყმითა და გათვალისწინებით, ავტორმა მოსწავლეთათვის გაიაზრა და დაგროვილი სათქმელი, მისებურად ხუთხაზიან სტრიქონებში გადაიტანა, მინიატიურული ფორმის ქმნილებები შემდეგ შეკრიბა სათაურით — „საფორტეპიანო პიესები მოსწავლეთათვის", კრებულის სახით გამოსცა და სკოლას უსახსოვრა. ავტორი— კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კათედრის დოცენტი ჯუმალ ოიკაშვილი გახლავთ, რომლის მუსიკალური კარნახებისა და ერთ და ორხმიანი სოლფეჯიოს სახელმძღვანელოები პირველად ამავე სკოლაში პედაგოგ ლალი ნადირაშვილის ხელმძღვანელობით ახმიანდა. ახლახან კი მისი საფორტეპიანო ნაწარმოებები, პედაგოგ მარინა ვარდოშვილის კლასის მოსწავლეთა კონცერტზე აჟღერდა პირველად. ეს პიესები ლირიკული და რომანტიკულია, სადა და მღერადია... და კიდევ, — „თბილია მუსიკის მხრივ და ასეც უნდა იყოს, როცა ბავშვებისთვისაა განკუთვნილი და დაწერილი. ძალიან ახლოა ფესვებთან, ქართულ ხმოვანებასთან და ამდენად უფრო საინტერესოა. ნაწარმოებები ტექნიკური არსენალით — პასაჟებით, ნახტომებით, არ არის მაინცდამაინც გადატვირთული; ბავშვის ფსიქიკასთან და მათ აზროვნებასთან ყოველთვის ეს ახლოს დგას, რაც ძალიან სასიამოვნოა და კარგია", — აღნიშნავს კომპოზიტორი დავით ტურიაშვილი.

კონცერტის პროგრამით გათვალისწინებული ჯუმალ ოიკაშვილის საფორტეპიანო პიესები პედაგოგ მარინა ვარდოშვილის მოსწავლეებმა შეასრულეს მოსწავლეებმა ნინო კერვალიშვილმა — „ხუთი მინიატიურა", ვერიკო მამარდაშვილმა — „ქალწული პრელუდია", ალექსანდრე ვარდოშვილმა — „პატარა ვალსი", თეონა ჩოკოშვილმა — „წამიერება", ანა მელიქიშვილმა — „ელეგია", თამთა ხუციშვილმა — „პეპლების ცეკვა", ვერიკო ვარდოშვილმა — „ხუთი ხალხური ესკიზი".

— „ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ ნაწარმოებების შესრულება ქალბატონმა მარინა ვარდოშვილმა თავის მოსწავლეებს დააკისრა და ამისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. საფორტეპიანო პიესებში ავტორის რომანტიკული ბუნება იგრძნობა, მხიარული ხასიათიც ჩანს, სევდაც... ჯუმალს მართალია საკომპოზიციო სკოლა არ გაუვლია, მაგრამ მუსიკის სიყვარულმა, პროფესიონალიზმმა გააბედინა შექმნა ეს პიესები. თუმც, მან რამდენიმე წლის წინათ შექმნა ერთ და ორხმიანი სოლფეჯიოს კრებულები, მუსიკალური კარნახები სწავლების ყველა ეტაპისათვის და, ალბათ, მარტო ამით არ ამოიწურა მისი სიყვარული, სწრაფვა და ახლა პიესებიც დაწერა, რასაც მე მივესალმები და მივულოცავ. მინდა აღვნიშნო, რომ თავად მოსწავლეები მთელი გულით ასრულებდნენ და ცდილობდნენ საკუთარი ხედვა და აღქმა შემოეთავაზებინათ. ყველაზე მეტად სასიამოვნოა ის, რომ ქართული მუსიკა ჟღერს მუსიკალურ სკოლაში და ასეც უნდა გაგრძელდეს", — ამბობს კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი.

და ბოლოს, ავტორისეული მადლიერება და კეთილგანწყობა ნორჩი შემსრულებლების მიმართ აღნიშნული პიესების კრებულით მოსწავლეთა დასაჩუქრებაში გამოიხატა...

**მზეხა მახარაძე.**

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი), რუსუდან მუხიგულაშვილი, ზურაბ ოიკაშვილი, ვაჟა ძიგუა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თბილისი, 380060, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-3 სართ., №309 ოთახი, ტელ.: 387883, **E-mail: jdstenderi 2002 @ mail. ru,** სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციის 2002 წლის სახელმწიფო პროგრამისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სპეციალური შემოსავლების ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესასყიდად, რომლებიც უნდა განხორციელდეს სს „თერაპიის ეროვნულ ცენტრში", შპს „გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში" და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შენობა-ნაგებობებში და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა: 2002 წლის 1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე, მაგრამ არა უგვიანეს – 2002 წლის 1 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2002 წლის 15 ივლისიდან 2002 წლის 16 ივლისის დღის 17.00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, 380060, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-3 სართ., №309 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე – სასამართლო ორგანოდან და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა – საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან;

ბ) მონაწილის იურიდიული სტატუსი (ნოტარიალურად დამოწმებული ასლის დართვით) – სასამართლო ორგანოდან;

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა – სასამართლო ორგანოდან;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრება – სასამართლო ორგანოდან;

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

| № | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1. | | | |
| 2. | | | |
| 3. | | | |
| . | | | |

ბ) უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება:

გ) სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმები, სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა-დანადგარები:

| № | მოწყობილობა-მექანიზმის დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით არებული (ვისგან), შეძენილი იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| 3. | | | | | |
| . | | | | | |

დ) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

| № | თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| 3. | | | | |
| . | | | | |

ე) ბოლო 2 (ორი) წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები, აუდიტორული დასკვნები), ნოტარიალურად დამოწმებული ასლების დართვით;

ვ) სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება:

| № | განსახორციელებელი მიწოდების სახე | სუბ-კონტრაქტის ფასი | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| 3. | | | | |
| . | | | | |

ზ) საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

თ) ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე (ნოტარიალურად დამოწმებული ასლის დართვით).

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ 2002 წლის 22 ივლისიდან 24 ივლისის დღის 17.00 სთ-მდე, მისამართზე: თბილისი, 380060, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-3 სართ., №309 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. სატენდერო წინადადებები მიიღება ქართულ ენაზე, 2002 წლის 5 აგვისტოს დღის 15.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, 380060, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-3 სართ., №309 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

8. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შესაძლებელია შეიცავდეს შესასყიდი სამუშაოების ყველა ან ცალკეულ პოზიციებს. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული წინადადებები.

9. დამატებით ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირ(ებ)ისაგან: ეკა პაატაშვილი, არნოლდ დანელია, მისამართზე: თბილისი, 380060, კ. გამსახურდიას გამზ. №30, ოთახი №309, ტელ.: 387883, 393700, ფაქსი: 250169, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.**

## მხარე

# კიდევ ერთი ახალი მოძრაობა

**ზუგდიდში, ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის მზადების პერიოდში, კიდევ ერთ ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას ჩაეყარა საფუძველი.**

25 ივნისს ენგურქაღალდკომბინატის კულტურის სასახლეში ჩატარდა საზოგადოებრივი მოძრაობის „ბრძოლა სამართლიანობისთვის" დამფუძნებელი ყრილობა. ამ საზოგადოებრივი გაერთიანების მთავარი მიზანია: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა; სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისათვის ხელშეწყობა; საზოგადოებრივ საქმიანობაში ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა; ეროვნული ინტერესების განმტკიცება და დაცვა; საზოგადოებაში ქართული ტრადიციების აღდგენა და დამკვიდრება; კულტურული მემკვიდრეობის განვითარება.

დამფუძნებელმა ყრილობამ ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის თავმჯდომარედ აირჩია ქალბატონი ნაზი არონია, რომელიც ქალაქის გამგებლის პოსტისთვის იბრძვის.

**ოდიკ ძუხილავა.**
**„სრ". საკ. კორ.**

ქ. თბილისის მერიის შპს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საბინაო-კომუნალური გაერთიანება რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე დ. აღმაშენებლის პროსპექტი 140 ა ტ. 96-91-12.

შპს დირექცია.

2002 წლის 19 ივლისს 17 სთ-ზე დაბა გუდაურში გაიმართება სააქციო საზოგადოება **„გერგეთის"** აქციონერთა საერთო კრება.

**დღის წესრიგი:**

1. საქართველოს კონტროლის პალატის ინფორმაციის სს „გერგეთში" ჩატარებული 1997-2001 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსური რევიზიის შედეგების შესახებ განხილვა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
3. 2001 წლის საფინანსო-ეკონომიკური შედეგების ანგარიშის დამტკიცება;
4. 2002 წლის საპროგნოზო საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების განხილვა;
5. სს „გერგეთის" წესდებაში ცვლილებების შეტანა;
6. სხვადასხვა.

**სს „გერგეთის" დირექცია.**

## თარიღი

**კალათბურთელებმა მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ქართული სპორტის ისტორიაში. გასული საუკუნის 40-60-იანი წლები სწორედ მათი ზეობის ხანაა. თბილისის „დინამომ" არაერთხელ ისახელა თავი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებაში. ყველაზე დიდ და საპატიო გამარჯვებას ჩვენმა კალათბურთელებმა (ზურაბ მინაშვილი, რეზო გოგელია, ვალერი ალთაბაევი, ლევან მოსეშვილი, ანზორ ლეჟავა, ამირან სხიერელი, ილარიონ ხაზარაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე, ალექსანდრე კილაძე, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე პეტროვი, მთავარი მწვრთნელი ოთარ ქორქია) 1962 წელს მიაღწიეს – ჟენევაში მადრიდის „რეალი" დაამარცხეს 90:83 და ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს.**



მწვრთნელი – ოთარ ქორქია, გუნდის წევრები: ილარიონ ხაზარაძე, ლევან მოსეშვილი, ვალერი ალბათაევი, ამირან სხიერელი, ალექსანდრე კილაძე, ანზორ ლეჟავა, გურამ მინაშვილი, რევაზ გოგელია, ლევან ინწკირველი, ვლადიმერ უგრეხელიძე.

ფინალამდე ქართველმა კალათბურთელებმა ორ-ორჯერ დაამარცხეს რუმინეთის კკპ (77:76, 82:77), თურქეთის „დარუშაფაკი" (80:67, 84:48) და მოსკოვის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბი (75:71, 77:66).

და აი, გადამწყვეტი ორთაბრძოლა ჟენევაში. 1962 წლის 29 ივნისი. პირთამდე სავსე დარბაზი. ტრიბუნებზე ბუკებით შეიარაღებული ესპანელები ჭარბობდნენ, ცხადია, მასპინძლებიც მათ უჭერდნენ მხარს.

მოედანზე თბილისის „დინამოს" და მადრიდის „რეალის" კალათბურთელები გამოჩნდნენ და ხელის აწევით მიესალმნენ ქომაგებს. მქუხარე ტაში და ხავილი ერთბაშად მოსწყდა ტრიბუნებს...

მსაჯმა ხუთეულებს უხმო. თბილისელთაგან მოედანზე გავიდნენ მინაშვილი, უგრეხელიძე, ლეჟავა, ალთაბაევი და ხაზარაძე. ესპანელებსაც სულ დარჩეული ბიჭები ჰყავდათ: ლუისი, როდრიგესი, სევილიანო, პაიტაუერი, მორინოსი. „რეალის" მთავარმა მეპატრონემ სანტიაგო ბერნაბეუმ თასის ამ გათამაშებისთვის ამერიკიდან სპეციალურად ჩამოიყვანა 21 წლის ზანგი, 205 სანტიმეტრი სიმაღლის გიგანტი უეინ პაიტაუერი. მისი დიდი იმედი ჰქონდათ ესპანელებს, მათ სჯეროდათ, რომ თასს სამშობლოში წაიღებდნენ და დიქტატორ ფრანკოს მიართმევდნენ. ოღონდ, ოცნების აღსრულებამდე 40 წუთი რჩებოდა...

მატჩი დინამოელთა იერიშებით დაიწყო და ალთაბაევის ორი ზუსტი ტყორცნის შემდეგ ისინი დაწინაურდნენ. თუმცა, ესპანელები მალევე მოეგნენ გონს და ანგარიში გაათანაბრეს, მეხუთე წუთზე კი „რეალი" გავიდა წინ – 12:10. პირველი ტაიმი მაინც ქართველმა კალათბურთელებმა მოიგეს – 38:36.

შესვენების შემდეგაც ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა 33-ე წუთამდე. აქ ოთარ ქორქიამ წუთმესვენება აიღო და კიდევ ერთხელ დაარიგა შეგირდები. მას შემდეგ, რაც მოედანზე მოხდა, ამას არავინ ელოდა: „დინამოს" შეჩერება „რეალმა" ვერ შეძლო. ქართველ კალათბურთელთა ტყორცნები უფრო ხშირად აღწევდა მიზანს. საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე ჩვენები 13 ქულით გავიდნენ წინ. ბოლო წამებზე მოსეშვილისა და ინწკირველის შედეგიანმა ტყორცნებმა საბოლოოდ წერტილი დაუსვა მატჩს. გაიმარჯვა „დინამომ" 90:83 და ევროპის ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა. ეს წარმატება ჩვენს სპორტსმენებს ერთ-ერთმა პირველმა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვილი ჯონსმა მიულოცა.

თავის დროზე ამ მატჩის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. თუმცა, ინტერესმოკლებული არ იქნება ქომაგებს კიდევ ერთხელ შევახსენოთ ჩვენი სასიქადულო მწერლის გრიგოლ რობაქიძის ის ორი წერილი, რომლებიც მან 1962 წლის 30 ივნისს და 20 ივლისს ჟენევიდან გამოუგზავნა თავის დას – ლიდას:

**„გუშინ გაიმართა აქ შეჯიბრი კალათბურთელების – ქართველების და ესპანელების – პირველობისთვის ევროპაში. გაგებული გექნება: გაიმარჯვეს ქართველებმა: შვიდი პუნქტით გაუსწრეს ესპანელებს (90:83).**

**მარცხი ესპანელების კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ მათ არ ჰყოლოდათ ზანგი პაიტაუერი, გასაოცარი მოთამაშე (83 პუნქტიდან 32 მისია). ქართველები თამაშობდნენ აუღელვებლად, მეწყობილად, მეთოდურად – აქ ჩანდა უთუოდ ხელი მათი ხელმძღვანელის – ოთარ ქორქიასი.**

ესპანელებს ეტყობოდათ აღელვება, თამაშობდნენ უფრო ცალკეულად, არც საერთო გეზი ჰქონდათ ჯეროვნად მიმართული.

მე ძალიან ვღელავდი. გასაგებია: სისხლი! ეს გამარჯვება ქართველების დიდად მნიშვნელოვანია. დავინახე ყამირითგან ამოხეთქილი ძალა ქართული".

# „ყამირითგან ამოხეთქილი ძალა ქართული"

„...ქართველი კალათბურთელების გამარჯვება აქ, ჟენევაში, ესპანელებთან შეჯიბრში ჩემთვის მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი.

1. აქ ესპანელები ბევრნი არიან. ზოგიერთნი ბუკებით (საყვირებით) მოვიდნენ. ყვიროდნენ – გასამხნევებლად თავისიანებისა და, ცხადია, ნერვების ასაშლელად ქართველებისა. ვაკვირდებოდი ამათ: ყვირილი, ხივილი, განგაში – არავითარ გავლენას არ ახდენდა მათზე. არ ამჩნევდნენ, თუ არ იმჩნევდნენ. აღმოაჩნდათ გასაოცარი წვართო ხასიათის.

2. პირველ ნახევარში შეჯიბრისა ჩვენებმა 2 წერტით გაუსწრეს ესპანელებს. მე მჯეროდა, რომ ისინი პირველ შებმაში თუ ვერ გაიმარჯვებდნენ, არც დამარცხდებოდნენ, თანასწორ გამოვიდოდნენ ესპანელებთან ერთად, მეშინოდა მეორე შებმისა. სამინლად ვღელავდი. რატომ?

ცნობილია, რომ ქართველები, საერთოდ, პირველ შემართებაში „ხარჯავენ" მთელ „ცეცხლს" და შემდგომ ძალა აღარ ყოფნით: ცეცხლი აკლდებათ (მონღოლებს რომ არ გაეგოთ ეს თვისება ქართველთა, საქართველოს დაპყრობა ძალიან გაუჭირდებოდათ. „ქართლის ცხოვრებაში" არის სიტყვა შესახებ ამისა). ახლა ვიკითხოთ, რა მოხდა შეჯიბრის მეორე ნახევარში. თუ პირველ ნახევარში 2 წერტით გაუსწრეს ჩვენებმა ესპანელებს, მეორე ნახევარში – 5-ით. ცეცხლი არათუ მოაკლდათ, – პირიქით, კიდეც მოემატათ. ეს ისეთი დიდი ამბავია, რომ იგი სპორტულ გამარჯვებას სცილდება, ბევრად მეტია უკანასკნელზე, როგორც ქართველი – მე მხრებში გავიმართე.

3. გამარჯვებულები არ „აყვინჩილებულან" გამარჯვებით. ერთი მათგანის სახეზეც ვერ ამოიკითხავდი „ხომ გაჯობეთ!" ზრდილად, რაინდულად, ქართველურად გაუწოდეს ხელი მოპირდაპირეთ. დაუვიწყარი სურათი.

გამარჯვების ნახევარი თითქმის გამარჯვებულთა ხელმძღვანელს უნდა ვაკუთვნოთ: ოთარ ქორქიას, ეთქვათ პირდაპირ, მათს სულისჩამდგმელს. დიდი ოსტატი ყოფილა, დიდი! მატჩის დროსაც ამა თუ იმ დარიგებას აძლევდა აღზრდილებს თავისსა. აღსანიშნავია ესეც: ყოველ მათგანს ექცეოდა, როგორც ნამდვილი ძმა, უფროსი ძმა. კარგი იქნებოდა, გადასცემდე მას, რასაც აქ ვწერ შეჯიბრზე. კარგი იქნებოდა!

გავიფიქრე: მივესალმებოდი გამარჯვებულებს, – გადავიფიქრე. შეიძლება „ეუცხოვოთ-მეთქი", გავიფლე გულში (მიხვდები – რის გამო). სიხარულთან ერთად ბასრი ტკივილი ვიგრძენი სულის სიღრმეში..."

ზუსტად ორმოცი წელიწადი გავიდა იმ ღირსახსოვარი დღიდან, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის ისტორიაში.

**ვაჟა დანელია.**

## ჩოგბურთი

# რენა აბჟანდაძის VII მემორიალი

**„დინამოს" ჩოგბურთის მოედნებზე, სადაც წლების მანძილზე მოღვაწეობდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რენა აბჟანდაძე, ნამდვილი საჩოგბურთო ფესტივალი გაიმართა და ეს ყველაფერი უდროოდ დაღუპული აღმზრდელის ხსოვნას მიეძღვნა, რომელსაც 25 ივნისს დაბადების 62 წელი შეუსრულდებოდა.**

1986-87 წლებში დაბადებულ ქალიშვილთა პირადი ტურნირის ფინალში თიკა ასლანიშვილმა – 6:3, 6:4 მოუგო ანა ხვედელიძეს და მთავარ პრიზს დაეუფლა, რომელიც მას რენას ქალიშვილმა ნანამ გადასცა. მომდევნო – 1988-89 წლებში დაბადებულთა შორის ტოლი არ ჰყავდა მანანა შაფაქიძეს, რომელმაც მძაფრ ბრძოლაში – 3:6, 7:5, 6:3 მოუგო ანა ტატიშვილს. წარმატებას მიაღწიეს ტყუპმა და-ძმამ მარიამ და ნიკოლოზ ქორიძეებმა: მარიამმა პირველი ადგილი არავის დაუთმო 1990-91 წლებში დაბადებულთა პირად ტურნირზე, ხოლო ნიკოლოზმა ფინალურ მატჩში 6:0, 6:3 დაამარცხა ნუგზარ ბაგაური.

რენა აბჟანდაძის ხსოვნის თასი გათამაშდა უფროსი ასაკის ჭაბუკთა პირად ტურნირშიც, რომელიც ამ მართლაც შესანიშნავად მოწყობილი საერთაშორისო ასპარეზობის დახურვის საზეიმო ცერემონიალის წინ გაიმართა. ხოზარ გოქაძემ ორ პარტიაში – 6:3, 6:2 მოუგო შოთა ფარლალავას. იგი ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა ივანე გოგილაშვილმა თავისივე მეუღლის პრიზით დააჯილდოვა. რაც შეეხება 1992-93 წლებში დაბადებულ ბიჭების ფინალს, აქ ბიძინა ამაშუკელმა 6:1, 6:4 სძლია ნიკოლოზ ქოჩიაშვილს და პირველი ადგილი დაიკავა. 1988-89 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ფინალური მატჩი, სადაც ალექსანდრე ლომინეიშვილი გიორგი ხრიკაძეს ეთამაშებოდა, დამთავრდა ანგარიშით 2:1 (6:2, 6:7, 6:1) ხრიკაძის გამარჯვებით.

**შალვა ძორიძე.**





**სურათზე: რენას თასების მფლობელები, ასპარეზობის პრიზიორები და ორგანიზატორები.**
**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

## მძლეოსნობა

# მეორე ჯგუფში

**ტალინში** დასრულდა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. მეორე ჯგუფში ასპარეზობაში მონაწილეობდა რვა გუნდი, მათ შორის საქართველოს სპორტსმენებიც. დებულების მიხედვით, თითოეული გუნდი, როგორც ქალების, ასევე ვაჟების, განისაზღვრებოდა 24 მძლეოსნით. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო საქართველოდან ესტონეთში მხოლოდ 8 ქალი და 10 ვაჟი გაემგზავრა. შესაბამისად, შედეგებიც არცთუ სახარბიელოა: ორივე ჩვენმა გუნდმა მეშვიდე ადგილები დაიკავა. უროს ტყორცნაში მესამე ადგილზე გამოვიდა თბილისელი ლერი ჩიტაიშვილი (64 მ. 91 სმ), ხოლო გარდაბნელი დავით ილარიანი სიგრძეზე ხტომაში (7 მ. 61 სმ) და თარჯრბენში 110 მ. დისტანციაზე (14,36 წ.) მეოთხე იყო.

## ყოველი მხრიდან

# ჩემპიონატზე არც იწვევდნენ, ფინალის მსაჯობა კი მიანდეს

**უცნაურია, მაგრამ ფაქტია:** როდესაც ფეხბურთში ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატისათვის მსაჯებს არჩევდნენ, კინაღამ უარი უთხრეს 2001 წლის საუკეთესო საფეხბურთო მსაჯს იტალიელ პიერ-ლუიჯი კოლინას, იმის მომიზეზებით, რომ მან ვერ ჩააბარა კუპერის ტესტი, რომელიც მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში აუცილებელი მაჩვენებლებით ისაზღვრება. თუმცა ჯანსაღმა აზრმა იმარჯვა და კოლინა მაინც მოხვდა ჩემპიონატის მთავარ მსაჯთა კორპუსში.



42 წლის პიერ-ლუიჯიმ ჯერ ჯგუფურ ეტაპზე ინგლისისა და არგენტინის ნაკრებების მატჩზე იმსაჯა, ხოლო შემდეგ, მეორე რაუნდში, იაპონიისა და თურქეთის ნაკრებების შეხვედრას გაუძღვა. და აი, ცნობილი გახდა, რომ კოლინა დანიშნეს ჩემპიონატის ფინალური მატჩის – ბრაზილიისა და ინგლისის გუნდების შეხვედრის მთავარ მსაჯად. მას დაეხმარებიან შვედი ლეიფ ლინდბერგი და ინგლისელი ფილიპ მარპი. სათადარიგო არბიტრად დანიშნულია შოტლანდიელი ჰიუ დალასი.

მესამე ადგილისათვის სამხრეთ კორეისა და თურქეთის ნაკრებების დღევანდელი მატჩის მსაჯობა მიანდეს კუვეიტელ საად მანის.

აღსანიშნავია, რომ ფინალურ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ჩემპიონატის მთავარი მატჩის მსაჯად კოლინას კანდიდატურა თითქმის ერთადერთი იყო.

# შოტლანდიურ ვისკის რუსული არაყი ურჩევნია

**მართალია,** სახელოვანი ავტომრბოლი „მაკლარენის" პილოტი, შოტლანდიელი დევიდ კულტჰარდი მაგარ ალკოჰოლურ სასმელებს არ ეტანება, „მაგრამ თუ დალევაა, რუსული არაყი მირჩევნია შოტლანდიურ ვისკის, თუმცა ეს ძალზე არაპატრიოტულია", – აღნიშნავს დევიდი.

შოტლანდიელმა პილოტმა ისიც განაცხადა, რომ ფეხბურთში ახლანდელმა მსოფლიო ჩემპიონატმა მას მრავალი პრობლემა შეუქმნა. მრბოლმა თქვა, რომ მისი შეუყარებული სიუზანა წარმოშობით ბრაზილიელია და, ბუნებრივია, „ტეტრაკამ პოენებს" გულშემატკივრობს, ამიტომაც სხვა გუნდის ქომაგობა კულტჰარდს ოჯახური უსიამოვნებებით ემუქრება, ხოლო, რადგან შოტლანდიის ნაკრები ვერ მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ტურნირზე, ამიტომაც თანამემამულეთა ქომაგობის შესაძლებლობა არა აქვს.



თუმც ჩემპიონატში მონაწილეობდა სხვა ბრიტანული გუნდი – ინგლისის ნაკრები, მაგრამ მისი მხარდაჭერა უკმაყოფილების ქარიშხალს გამოიწვევდა მის სამშობლოში – შოტლანდიაში. ეს გუნდები, მოგეხსენებათ, შეურიგებელი მეტოქეები არიან.

# გერმანიის თავკაცები ფინალს დაესწრებიან

**დიდი** საფეხბურთო დღესასწაულის მთავარ მატჩს მრავალი საპატიო სტუმარი დაესწრება, მათ შორის – გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პრეზიდენტი იოჰანეს რაუ და კანცლერი გერჰარდ შრედერი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კვირას, 30 ივნისს იოკაჰამას სტადიონზე პლანეტის პირველი გუნდის სახელისთვის სწორედ გერმანიისა და ბრაზილიის ნაკრებები იპაექრებენ.

გერმანიის პრეზიდენტი ახლა სწორედ ამ რეგიონში იმყოფება – იგი ვიზიტადაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რიგ ქვეყნებში.

გერჰარდ შრედერი კი ფინალურ მატჩზე დასასწრებად კანადიდან გაემგზავრება, სადაც იგი „რვეულის" ლიდერების სამიტში მონაწილეობდა. ამომავალი მზის ქვეყანაში შრედერი ცოლთან დორისთან და თარჯიმანთან ერთად იაპონიის პრემიერ-მინისტრის ძიუნიტირო კოიძუმის პირადი თვითმფრინავით ჩაფრინდება.

გერმანიის საინფორმაციო წყაროების მიხედვით, ეს აბსოლუტურად უნიკალური მოვლენაა – უცხოელებს ჯერ არასოდეს უფრენიათ იაპონიის ლიდერების პირადი თვითმფრინავებით.

# ცინცხალი ამბები

**უიმბლდონის** ღია ჩემპიონატზე ჩოგბურთში რუსეთელი ევგენი კაფელნიკოვი დამარცხდა ბელგიელ პავერი მალისსთან. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთელი მეხუთე, ხოლო მალისი 27-ე ნომრად იყო განთესილი. მესამე წრეში ამავე ჩემპიონატს გამოეთიშა ტატიანა პანოვაც.



**„იუტა ჯაზის"** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ცნობილმა სპორტსმენმა 29 წლის გრეგ ოსტერტაგმა დიაბეტით დაავადებულ დას საკუთარი თირკმელი გადაუნერგა. „დონორის თირკმელი ნორმალურად მუშაობს. კალათბურთელისა და მისი დის, ემი ჰოლის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება", – განაცხადა ბეილორის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელმა რობერტ გოლდსტეინმა.



**სპორტის რედაქცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ალბომი

# ყველას რამე აქვს სახსოვარი



1936 წელი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან არსებული მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლის წევრები.

მომღერალთა გუნდის ლოტბარები: ჯოკო გუნია (ცენტრში ფერადი ჩოხით), მის გვერდით მარჯვნივ, კოლია ქაჩლიშვილი.

სხედან მოცეკვავეთა ანსამბლის წევრები: მელენტი ყურაშვილი (ცენტრში), ნინო ზუხუბაია (მარცხნივ) და თინა თურქია. სხვათა შორის, მოცეკვავეთა ანსამბლის ხელმძღვანელები იყვნენ ცნობილი ქორეოგრაფები ჯანო ბაგრატიონი და ილიკო სუხიშვილი.

ფოტო მოგვაწოდა ცისანა ახობაძემ.

ალმზრდელი

# ლევან მენაბდის გაკვეთილები

**48 წლის წინათ, პირველ სექტემბერს, დაიწყო ჩემთვის ეს გაკვეთილები.**

**ბატონი ლევანი მაშინ, თუმცა ახალგაზრდა დამრიგებელი და მეცნიერი, უკვე სახელმოხვეჭილი ფილოლოგი და პოპულარული პედაგოგი იყო.**

**მახსოვს, იმ სექტემბერში მეოთხეკურსელ ვახტანგ ჯავახაძის სიტყვები, დიდი სიამოვნება გელით, ძველი ქართული მწერლობის კარს ბატონი ლევანის ლექციები რომ გაგიხსნითო.**

რა დაგავიწყებს იმ ლექციების გემოს და მადლს. მთელი ჯგუფი მონუსხულივით ვითავისებდით ოქროპირი მჭევრმეტყველის სიტყვას და აზრს. ქამიდან ქამზე ბატონი ლევანის გაკვეთილებზე მხცოვანი კორნელი კეკელიძეც გვესწრებოდა, რბილად შემოაბიჯებდა, სვენებ-სვენებით მიიდოდა განაპირა მერხთან და უსმენდა თავის ახალგაზრდა მეგირდს. ზარის დარეკვის შემდეგ კმაყოფილების ღიმილდაფენილი დინჯად გადაგვავლებდა თვალს და ასევე უსიტყვოდ, წყნარად გვტოვებდა. მას რიდით მიაცილებდა ბატონი ლევანი და მომდევნო ლექციის დროს, ჩვენს შეკითხვაზე, რაო, ბატონმა კორნელიმო, — მხოლოდ გაიღიმებდა.

იმ წლებში ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, საშუალო სკოლებში ძველი ქართული მწერლობა მაინცდამაინც ყურადღებით არ ისწავლებოდა და უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოსული მომავალი ფილოლოგები და ჟურნალისტები, ამ უძვირფასესი სამყაროს აღმოჩენით გაბრუებულნი, ვეძებდით და ვიძენდით ყუბანეიშვილის ქრესტომათიის ტომებს და ყველაფერს, რაც ძველ მწერლობას შეეხებოდა.

ბატონი ლევანი ჩვენი უპირველესი გზამკვლევი, პრინციპული, მომთხოვნი და კორექტული მასწავლებელი იყო.

მერე და მერე, გაკვეთილების არეალი გასცდა უნივერსიტეტის კედლებს და ჩვენ ბედნიერება ვიყავით იმით, რომ მოვიარეთ მთელი საქართველო, უშუალოდ თვალი ვკიდეთ საუკუნეების სიღრმიდან შემორჩენილ მის თითქმის ყველა ძეგლს, ლექციები სწორედ აქაც რომ გრძელდებოდა. ამ ექსკურსიებზე გავიცანით ბატონი ლევანის დედა — ქალბატონი თამარი და მისი ქალიშვილი — პატარა დარეჯანი, დღეს თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი. თანდათან ყველა ჩვენგანისთვის ახლობელი და მშობლიური გახდა ლევან მენაბდის ოჯახი და ყოველთვის, ლხინი იყო თუ ჭირი, ჩვენ მათი მონაწილენი ვიყავით.

ლევან მენაბდის გაკვეთილები წლების მანძილზე გრძელდებოდა, მისი მრევლი იყო სულ ახალი და ახალი თაობები და თითოეული მათგანი, ბუნებრივია, ჩემზე კარგად მადლობით გაიხსენებს ამ გაკვეთილების შემოქმედს.

ერთსაც დავუმატებდი: ბატონი ლევანისთვის, გამორჩეული ლექტორისა და პედაგოგისთვის, არანაკლებ გამორჩეული ორგანიზატორული ნიჭი დაუმადლებია ღმერთს. მისი მუდამ მიზანსწრაფული ბუნების და ხასიათის შედეგად უნივერსიტეტში რუსთაველის შეუდარებელი კაბინეტი არსებობს. მაშინ, როცა წარმოუდგენლად ძნელი იყო მოსკოვსა, ლენინგრადსა და ბალტიისპირეთში ექსპედიციების მოწყობა, 60-70 სტუდენტის იქაური ქართული კულტურის ძეგლების გასაცნობად გამგზავრება, ბატონი ლევანისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, მისი მეცადინეობით თითქმის ყოველ წელს ესეხსეიატსკოესა თუ დონის მონასტერში, ბოროდინოს ველზე თუ ნეველის ლავრაში, ძველი საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვან ადგილებში, საკუთარი თვალით, უშუალოდ ჯღვიქვამდით ჩვენი წინაპრების ძალასა და მადლს.

ბატონ ლევან მენაბდის გაკვეთილები იმითაც გამოირჩეოდა, რომ გვაახლოებდა და გვაკავშირებდა სულ სხვადასხვა ასაკის ადამიანებს, სტუდენტებს და ლექტორებს, უფროსს და უმცროსს და ერთი საძმოს და სამეგობროს წევრებად გვხდიდა.

ასე დაიახლოვა და „აღმოაჩინა“ ახალგაზრდა ფილოლოგთა თაობებმა სოლომონ ხუციშვილი, გრიგოლ კიკნაძე, ნოდარ ჩხეიძე, რევაზ სირაძე, გრიგერ ფარულავა, ეახუშტი კოტეტიშვილი, თეიმურაზ მაღლაფერიძე, ზაალ ქვანია, ზურაბ სხვედიანი, ელიზბარ ჯაველიძე, თენგიზ ბუაჩიძე, გიორგი (იურა) ჯაფარიძე, ოლეგ გოლიაძე, თამაზ ფოფხაძე, ზურაბ სამხარაძე, ლავანდა კანკავა...



გადმოვაბიჯეთ ახალ ათასწლეულში და უკვე გაცხადდა ბატონი ლევანის ხმამაღალი ფიქრი: როგორ ვიქნებით მომავალ საუკუნეში?

კარგა ხანია მინდოდა დაწერა იმ წლებზე, გუდარეხისა და რკონის, საფარისა და ვარძიის, ლარგვისისა და წუნდის, ზარზმისა და უბისის მონასტრების სურნელით რომ მივსებდნენ მეხსიერებას.

ახლა, მოულოდნელმა სინამდვილემ, ჩვენი მასწავლებლის გარდაცვალებამ, სასწრაფოდ გადამატანინა ფურცელზე ბატონი ლევანისადმი ჩემი თაობისაგან სათქმელი მადლობა მისი განუმეორებელი გაკვეთილებისა და ჩვენდამი განსაკუთრებული მზრუნველობისთვის.

**გივი შეყილაძე.**

**სურათზე:** საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების სექტორის გამგე საურმაგ კაკაბაძე (მარჯვნივ) და პროფესორი ლევან მენაბდე ქართველ სტუდენტებს აცნობენ ძველ ქართულ ხელნაწერებს.

ლენინგრადი. 1968 წელი.

დღის სხარტულა

ჩემს თბილისში გაზი — ნო,
ზატო, ბლომად — კაზინო.

ჯ.

მუდარა

მოსკოვიდან თბილისისკენ
მომავალო გაზო,
სიტყვას გაძლევ,
არასოდეს აღარ
გაგაბრაზო!...
რაც გეკუთვნის,
გადაგიხდი, არ კი
ვიცი, რითი:
ხელფასიდან ხელფასამდე
ლარებს სიმწრით
ვითვლი!
... არ ყოფილა საშველი,
გინდ თავი მეიკალი!
ამ ერთხელაც გვაპატიე,
ძმაო დეიკალო!...

თამაზ ეპანოიძე.

პრეზიდენტის სტიპენდიატი

# სიკეთე ოჯახიდან მოსდევს

**საოცრად თბილი სოფელი მოზარდისთვის თავისებური „აკადემიაცაა“; — კეთილისთვის მაღალთა ცანიცა ეხმარებიან! — არაერთხელ სმენია ეს სიტყვები გოგონას, მამისეულ ნიჩბისში ბებიებისგან თუ მშობლებისგანაც. ჰოდა, როცა პრეზიდენტის სტიპენდიატმა პირველი „ხელფასი“ — 1200 ლარი მიიღო,** თუ რაში დახარჯა ნინომ ეს თანხა, უკვე ჩვენთან მოსულმა ჩამოგვითვალა:

— ჯილდოს შესახებ ნიჩბისში შევიტყვე: მამამ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იქ ჩამოიტანა. 200 ლარი ნიჩბისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას შევწირე. ის მარშან ჩემმა მშობლებმა აღადგინეს. კასპის ბავშვთა სახლს ერთი მანქანა ხილი ჩავუტანეთ და „ენკი-ბენკის“ სპექტაკლიც გავმართეთ; ამაში დედა დამეხმარა (ლამარა იმნაიშვილი ამ თეატრის პროდიუსერია).

ნიჩბისის სკოლის ბავშვებს მაგნიტოფონი ვუყიდე. სკოლაში თანაკლასელებსაც ვეწვიე. ჩემს ძმას თენგოს (ძმა 8 წლისაა) ველოსიპედი ვუყიდე. გიგიშა და მაკა პაჭკორიებს (მათ სახელოსნოში კერამიკისგან ჭადრაკის ფიგურებს ვამზადებ) სუვენირები მივუტანე. იქ „რომაელებს“ თეთრი კერამიკისგან ვამზადებ, „ეგვიპტელებს“ — შავისგან. დაფაზე მათი „ბრძოლა“ გაიმართება, ასე მაქვს ჩაფიქრებული (ნინოს ძალიან უყვარს ეგვიპტის, საბერძნეთის, ძველი რომის ისტორიებისადმი მიძღვნილი წიგნების კითხვა), დედას სამაჯური ვუყიდე, მამას კი — ჭიქები.

ნინოზე არაერთხელ გვსმენია სატელევიზიო ფილმიდან „მონოლოგი — ნინო იმნაიშვილი“, მისი მთავარი გმირიც თვითონაა. წარმატება კი თავისით არ მოდის: მან არაერთხელ გაიმარჯვა ვახტანგ ქარსელაძის სახელობის საჭადრაკო სკოლისა და ჭადრაკის სასახლეში გამართულ ტურნირებზე. მთავარ როლებს ასრულებს თეატრ „ენკი-ბენკის“ სპექტაკლებში, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე დედაქალაქის ბავშვებისთვის უფასოდ იმართება ხოლმე, და არა მარტო თბილისში, სოფელ ნიჩბისშიც. ნინოს მოსწონს ამ სოფლისადმი მშობლების ყურადღება...

გოგონა თბილისის 55-ე სკოლის მე-6 კლასის ხუთოსანი მოსწავლეა. მისი გატაცება სიმღერით, ჭადრაკით, კერამიკით. სკოლამიც არის ცნობილი. როცა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფო კონსერვატორიაში თავისი სახელობის სტიპენდიების გადასაცემად ახალგაზრდებთან მივიდა, მისი ყურადღება ნინოს ნამუშევარმა — კერამიკის ჭადრაკის ფიგურებმაც მიიპყრო...



კიდევ ვის დახასიათებებს დაეჯერება?

**ნელი ზურაბიშვილი, — საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის ვიცე-პრეზიდენტი:** „საქართველოს მისი სახით კარგი მომავალი ეზრდება.

**ზია კიტია, — ბავშვთა თეატრ „ენკი-ბენკის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:** დიდია მისი პასუხისმგებლობა სცენისადმი, განსახიერებული გმირებისადმი; ნინო მრავალმხრივი ნიჭითაა დაჯილდოებული:

**ალდე კაკაბაძე, — მხატვარი-კერამიკოსი:** გოგონა კერამიკის ხელოვნებას გიგიშა და მაკა პაჭკორიების სახელოსნოში ეუფლება. სისტემატურად მონაწილეობს თანამედროვე ხელოვნების გალერეაში გამართულ გამოფენებში. ნინოს ლეკისაგან მინიჭებული ნიჭი აქვს.

... იმასაც ამბობენ, გოგონას მამის, ცნობილი სპორტსმენის თამაზ იმნაიშვილის გენებიც დაჰყვაო. მაინც, საით გაიკვლევს გზას კითხვის ნიშნებით გადაპენტილი ნინოს ნიჭი? — სიერცე, რომელიც მას სჭირდება, უკვე მოძებნილი აქვს და იქ საკუთარ ადგილს სიკეთით ითვისებს... ის კი, ერთი ჩვეულებრივი მოსწავლეა, თანატოლთაგან გამორჩეული, საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი, კეთილი და ნიჭიერი, მისგან ბოძებული პირველი ჯილდო, პირველი „ხელფასი“ კეთილ საქმეს რომ მოახმარა...

**ნათელა ფაილოძე.**

**სურათზე: ნინო იმნაიშვილი თავის კერამიკულ ნამუშევრებთან.**

ღიმილის დოზა



**ტაქსის** უკანა სავარძელზე ქალი ჯდება ძაღლთან ერთად. მძღოლი მიბრუნდება და კითხულობს:

— ეს ძუკნა სად მიგყავს?

ქალი:

— ეგ ძუკნა კი არა, ხვადია!

— ჰოდა, მეც ხომ მაგას ვეკითხები!

* * *

— ავარია როგორ მოგიხდა?

— ბოთლს დავეჯახე.

— კი მაგრამ, გზაზე ვერ შეამჩნიე?

— როგორ უნდა დამენახა, როცა იმ ლოთს ჯიბეში ედო.

* * *

— რამდენ რძეს იძლევა თქვენი ძროხა?

— ათ ლიტრს.

— რას უშვრებით ამდენ რძეს?

— ორ ლიტრს ჩვენ თვითონ ვსვამთ. თორმეტს კი ბაზარზე ვყიდით.

* * *

— რისთვის მოხვდით ციხეში?

— ქრთამისთვის.

— ასე მალე როგორღა გამოგიშვეს?

— ქრთამით.

* * *

**გაიგე?** მეთუნუქე, ჩვენი სახლის სახურავს რომ არემონტებდა, მანქანას გაუტანია.

— საშინელებაა! სახურავზეც კი თავს უშიშრად ვერ იგრძნობ.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

გამოცა

# სანთელ-საკმეველი

**გრიგოლ ლორთქიფანიძე ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა, რომლის ცხოვრება გარკვეულ დრომდე ბურუსით იყო მოსილი, მაგრამ სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა და მისი ნამოღვაწარი დღეს საქვეყნოდ იქნა აღიარებული. სწორედ ამაზე მეტყველებს ახლახან გამოცემული ბიობიბლიოგრაფიაც, რომელიც შეადგინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა გრიგოლ ზარქუამ. ბიობიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია გრიგოლ ლორთქიფანიძის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და საარქივო მასალები. მას თან ერთვის დოკუმენტური წყაროების ვრცელი ნუსხა.**

ავტორმა მთელი ძალისხმევა მოახმარა აქ წარმოდგენილი დოკუმენტური წყაროების მიგნებას, შესწავლასა და ერთად თავმოყრას, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა არქივში რომ არის გაფანტული (სულ მითითებულია 138 საქმე და დოკუმენტურ-ლიტერატურული წყარო).

ბიობიბლიოგრაფია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი პირველი ცდაა ამ სახელოვანი პოლიტიკური მოღვაწის ცხოვრებისეული გზა-კვლევის შესასწავლად.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ცხოვრებიდან ავტორმა განსაკუთრებით ადგილი დაუთმო მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მეორე პერიოდს, როცა იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, განათლების მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე იყო, და, შემდგომ წლებს — საბჭოთა წყობილების პერიოდს, როცა მან დაუფარავი და პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადა არსებულ წყობილებას, მისი არასწორი პოლიტიკური ხაზის გამო.

ცნობილია გრ. ლორთქიფანიძის წერილები მთავრობის ხელმძღვანელებისა და პირადად ი. ბ. სტალინისადმი. განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა იგი სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვას. არსებული წყობილების წინააღმდეგ დაუფარავ ბრძოლას მოჰყვა მისი გადაყვანა მეტეხის ციხიდან მოსკოვის „ბუტირკის“ ციხეში, ქ. იაროსლავის საკატორღო ციხიდან — ქ. სუზდალის სამონასტრო საპყრობილესა თუ ქ. ვორონეჟში, გადასახლება ციმბირში, ქ. კუზნეცკში და გრონობორის რკინიგზის მშენებლობაზე, რომელსაც გრ. ლორთქიფანიძე „ამ ქვეყნიურ ჯოჯოხეთს“ უწოდებს. და, ბოლოს ავად სახსენებელი 1937 წელი... მშობლიურ თბილისში წამება და სიკვდილი.

ასეთი იყო შესანიშნავი პიროვნების, პოლიტიკური მოღვაწისა და მამულიშვილის გრ. ლორთქიფანიძის მძიმე ხვედრი, რომელსაც მიუხედავად მძიმე დღეებისა და წამებისა, არც მეგობრისათვის, არც ქვეყნისათვის, არც მისი მრწამსისა და პოლიტიკური მეხედულებებისათვის არ




უღალატნია. ამასთანავე ბიობიბლიოგრაფიის ავტორი გრ. ზარქუა განიხილავს გრიგოლ ლორთქიფანიძის შემოქმედებით მემკვიდრეობას.

იგი მის ნაშრომს „ფიქრები საქართველოზე“ „ქართული აზროვნების ფილოსოფიურ-ესთეტიკური ჟანრის შედევრს“ უწოდებს.

ბიობიბლიოგრაფიული ცნობარი გამოცემულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე. რედაქტორია პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე, ხოლო რეცენზენტები — პროფესორები გურამ ლორთქიფანიძე, მერაბ ვაჩნაძე და ვახტანგ გურული.

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტმა გრიგოლ ზარქუამ წლეულს 4 თებერვალს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი“.

**ცისანა სიხარულიძე.**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან პროფესორ

ლევან მენაბდის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ნინო, შვილები ლალი, მალხაზ, რძალი ხათუნა პოპიაშვილი, სიძე ოთარ ქეილითაია, შვილიშვილები გიორგი, ანა, რძალი ნაგო მილორავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თეატრისა და კინოს მსახიობი, დამსახურებული კინემატოგრაფისტი

შალვა ზაქარიას ძე დათუკიშვილი

პანაშვიდი 29 VI 5 სთ. გამოსვენება 30 VI, 1 სთ. დილმის მასივი., VI კვ. XII კორპ. ბინა 7. დაკრძალვა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

---

შვილები ვარია, ტელმანი, რძალი მაია მიქელაძე, შვილიშვილები ნინო, ქეთევანი, გიორგი, სიძე ზურაბ მღებრიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ არტემის ძე ერემოვი

პანაშვიდი 30 VI, 1 VII, 5 სთ. დაკრძალვა 2 VII, 3 სთ. ნინო ჩხეიძის 3.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

გრიგოლ არტემის ძე ერემოვი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იუწყება, რომ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ ერემოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თანაგრძნობას უცხადებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწეს ქეთევან ერემაძეს ბაბუის

გრიგოლ ერემოვის

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ ჯინჯოლავა ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ ერემოვი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მემნუნე, ნინო, მანანა, ლევან, თენგიზ ჩარკვიანები, რეზო ციციშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა შესანიშნავი ახალგაზრდა, ჭკვიანი, ერუდირებული, დიდი მომავლის მქონე, ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტის სტუდენტი, ცნობილი მედიკოსის, პროფესორ სერგო კობალაძის შვილიშვილი

სერგო კობალაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნოდარ ემუხვარი სამძიმარს უცხადებს კობალაძეების ოჯახს

სერგოს

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

თამაზ პატარიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება

სერგუნა კობალაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს კობალაძეებისა და მხეიძეების დიდ ოჯახს.

---

მელანო და ნიკო ლეკიშვილები ოჯახით უდიდეს მწუხარებას გამოთქვამენ

სერგუნა კობალაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

გელა ზაუტაშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს დავით ტატიშვილს მეუღლის

ეკა ტატიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს აკადემიკოს ბესარიონ ბიწაძეს დედის

ვისელის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი (სსიფ)
აცხადებს ტენდერს
შემდეგი სახის სოციოლოგიური
კვლევის შესასრულებლად:
სსიფ-ის მიერ დასრულებული მიკროპროექტების ზეგავლენის შეფასება მომხმარებლებზე.
ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში რეგისტრირებულ კერძო ორგანიზაციებს.
საკონკურსო დოკუმენტაციის გაცემა წარმოებს 2002 წლის 1 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის გამზირი 39 ა, მე-11 სართული.
ტელ: 23-02-13; 23-06-74; 25-04-42; 25-04-43.
სატენდერო პაკეტები გაიხსნება 2002 წლის 16 ივლისს 12 საათზე იმავე მისამართზე.

ხელოვნება

## შალვა დათუკიშვილი



სს „ქართული ფილმი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თეატრისა და კინოს მსახიობი, ღვაწლმოსილი კინემატოგრაფისტი **შალვა ზაქარიას ძე დათუკიშვილი.** ბატონმა შალვამ სამსახიობო მოღვაწეობა დაიწყო სამამულო ომის წლებში, მარჯანიშვილის თეატრში, ამავე დროს ჩართული იყო მედიცინის მუშაკთა და მოზარდ მაყურებელთა თეატრების მუშაობაში, იყო მოზარდ მაყურებელთა თეატრის დირექტორის მოადგილე.

50-იან წლებში აქტიურ შემოქმედებით მონაწილეობას იღებს ცნობილ კინოფილმებში: „ბაში-აჩუკი“, „მამლუქი“, „ქალის ტვირთი“, „ნინო“, „ფატიმა“, „მანანა“, „მაცი ხვიტია“, „მე ვიტყვი სიმართლეს“ და ა. შ.

60-იანი წლებიდან მუშაობას აგრძელებს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე: გადაღების მომზადების განყოფილების უფროსი, სინქრონული თარგმანის განყოფილების გამგე, ფილმის დირექტორი.

მეგობართა წრეში ცნობილი იყო სპორტული მონაცემებით, ცხენოსნობით, წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა კინოსტუდიის მონადირეთა კავშირს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბატონი შალვა ზემოჩამოთვლილ კინოფილმებში მონაწილეობდა არა მარტო როგორც როლის შემსრულებელი მსახიობი, არამედ როგორც ორგანიზატორული ტალანტით დაჯილდოებული პროფესიონალი პროდიუსერი.

შემოქმედებითი კოლექტივი კოლეგებისა და მეგობრების სახელით გამოთქვამს ღრმა მწუხარებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სს „ქართული ფილმი“.

გახსენება

## გოჩა ჩხეიძე



ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ტრაგიკულმა შემთხვევამ შენი სიცოცხლე გააქრო ხმის ამოუღებლად. მაგრამ შენი ნათელი სული დღენიადაგ ჩვენს შორის ტრიალებს ძალზე წმინდად და ძალზე ცხადად. ის ამჟამად კიდევ უფრო ახლოა ჩვენს ხილულ არსებობასთან და უფრო მეტად მონაწილეობს ჩვენს ქმედებებში.

მოულოდნელმა და ნაადრევმა სიკვდილმა (ჯერ ოცდაჩვიდმეტისაც არ იყავი) კიდევ უფრო მკაფიოდ ჩამოგვიყალიბა და წარმოგვიჩინა შენი თავისთავადი სახე, როგორც სინამდვილეში იყავი — ნიჭიერი, იუმორისა და ადამიანებისადმი სიყვარულის გრძნობით მომადლებული. შენისთანაზე ამბობენ, ცხოვრებას გვილამაზებდაო. ამას ამბობენ არა მხოლოდ ახლობლები, არამედ ყველა, ვინც გიცნობდა.

ამიტომაც ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, შენი სახით ქვეყანამ დაკარგა ერთგული, მაღალი ზნეობითა და ინტელექტით, შინაგანი კულტურითა და უანგარობით, პროფესიონალიზმითა და პრინციპულობით გამორჩეული მამულიშვილი.

ოჯახისთვის კი იყავი ნანატრი შვილი, მეუღლე, მამა და უტყუარი იმედი. ყოველთვის უღალატოდ იდექი იმ ადამიანების გვერდით, რომელთაც შენი სიყვარული, მეგობრობა და თანადგომა სჭირდებოდათ, მაგრამ არ დაგცალდა, მიგეღწია სათნო ცხოვრების მწვერვალისთვის, რომ კიდევ უფრო ბევრს გაეცანი, როგორც დიდად განსწავლული და ზნეობრივი პიროვნება.

ნათელი დაგადგეს მარადიულ სასუფეველში.

**მშობლები, ახლობლები, მეგობრები.**

## გოჩა ჩხეიძე



ქართველი შეილმკვდარ დედების ცრემლით და დარდით ვის გააკვირვებ?

37 წელი ვხარობდით შენით ჩემო გოჩა, ბედნიერები ვიყავით, რომ არა ის საბედისწერო დღე. იმ დღემ სამუდამო ტკივილი და განშორება მოგვიტანა.

შენს სიყვარულში შენი მეგობრებიც გვეცილებოდნენ. ყველასთვის დიდი იმედი იყავი, იცოდი ვაჟკაცურად თანადგომა.

ახლა ზეცაშია შენი სული. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ განუწყვეტელი ლოცვა-ვედრებით შევთხოვოთ მაცხოვარს და ღვთისმშობელს იმ ქვეყნად ყოფა გაგიადვილონ.

ალერსიანი იყავი და მეც შენს გულზე დაყრილ მიწას მოვეფერები, იქნებ მოგწვდეს ჩემი სითბო და მონატრება. გოჩა, რამდენ კეთილ საქმეს დააკლდა შენი ხელი.

ოჯახი გოდებს, გოდებს დედ-მამა, შენი ცოლ-შვილი. ენატრები ყველას და მათ შორის, მეც.

**შენი დოდო ბიცოლა ოჯახით.**

მამა ექვთიმე (ჩივაძე) და გელა ჩივაძე თანაუგრძნობენ ბატონ ლევან ფრუიძეს მძახლის

ქეთევან ლაზაშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურაბ ზოტიაშვილი, ბონდო ზულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20